



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამეცნიერო კონფერენცია


**„ქართულ-თურქული ურთიერთობები“**

30 მარტი, 2012, გორი, საქართველო

GORI STATE TEACHING UNIVERSITY  
INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY

The Scientific Conference  
**“Georgian-Turkish Relations”**

March 30, 2012, Gori, Georgia



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2012

წინამდებარე სამეცნიერო შრომების კრებული მოიცავს 2012 წლის 30 მარტს ჩატარებულ ა(ა)იპ-გორის სასწავლო უნივერსიტეტისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციაზე - „ქართულ-თურქული ურთიერთობები“ წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებს.

The Collection covers the scientific works presented at the joint Scientific Conference of NPLE-Gori Teaching University and International Black Sea University - "Georgian-Turkish Relations" held on March 30, 2012.

#### საორგანიზაციო კომიტეტი:

**გიორგი სოსიაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი (კომიტეტის თავმჯდომარე)

**შევეტე ერჯან თუნჩი**, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

**გიული ალასანია**, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი

**გიორგი ხორბალაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასისტენტ-პროფესორი

**ალექსანდრე მღებრიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი

**ლევან მიდოდაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი

**ქეთევან ბარბაქაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

**მზია ზანგალაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი

**ნუგზარ აბრამიშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

**ანა იმნაძე**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

**ელდარ მამისთვალაშვილი**, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი

**ნათელა დოღონაძე**, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი

**თამარ შიოშვილი**, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

**ფარუქ გურსოი**, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

**ილიას უსტუნერი**, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ენათა სკოლის დირექტორი, ასოცირებული პროფესორი

**ილიას ჩილოღლუ**, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი

© გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2012

გამომცემლობა „**UNIVERSAL**“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჰაბაშვილის ბაზზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-820-7



## **ORGANIZATION COMMITTEE:**

**Giorgi Sosiashvili**, Rector of Gori State Teaching University, Professor (Head of Organizational Committee)  
**Şevket Ercan TUNÇ**, Rector of International Black Sea University, Professor  
**Giuli Alasania**, Vice Rector of International Black Sea University, Professor  
**Giorgi Khorbaladze**, Head of Administration of Gori State Teaching University, Assistant Professor  
**Aleksandre Mgebrishvili**, Deputy Rector of Gori State Teaching University, Professor  
**Levan Midodashvili**, Head of the Quality Assurance Service of Gori State Teaching University, Professor  
**Ketevan Barbakadze**, Dean of Department of Humanities of Gori State Teaching University, Associate Professor  
**Mzia Zangaladze**, Dean of Department of Education of Gori State Teaching University, Exact and Natural Sciences, Doctor  
**Nugzar Abramishvili**, Dean of Department of Social Sciences, Business and Law of Gori State Teaching University  
**Ana Imnadze**, Head of Office of Public Relations of Gori State Teaching University  
**Eldar Mamistvalishvili**, Head of the Educational Scientific Centre of History and Archaeology of Gori State Teaching University, Professor  
**Natela Doghonadze**, Vice Rector of International Black Sea University, Professor  
**Tamar Shioshvili**, Dean of the Humanities and Education Faculty of International Black Sea University, Professor  
**Faruk GÜRSOY**, Dean of the Social Sciences Faculty of International Black Sea University, Associate Professor  
**Ilyas ÜSTÜNYER**, Head of Language School of International Black Sea University, Associate Professor  
**Ilyas ÇILOĞLU**, Dean of the Business Management Faculty of International Black Sea University, Associate Professor

## **PROGRAM COMMITTEE:**

**Eldar Mamistvalishvili**, Head of the Educational Scientific Centre of History and Archaeology of Gori State Teaching University, Professor (Head of Program Committee)  
**Giorgi Sosiashvili**, Rector of Gori State Teaching University, Professor  
**Giuli Alasania**, Vice Rector of International Black Sea University, Professor  
**Tamar Gogoladze**, Professor of Gori State Teaching University  
**Vianor Akhalaia**, Head of the Centre of Georgian Language and Literature of Gori State Teaching University, Professor  
**Zurab Chkhikvadze**, Head of Foreign Language Faculty of Gori State Teaching University, Professor  
**Tea Khorguashvili**, Head of Business Administration Faculty of Gori State Teaching University, Associate Professor  
**Harun Cimke**, Doctor of International Black Sea University  
**Ketevan Sikharulidze**, Associate Professor of International Black Sea University, Doctor  
**Irina Bakhtadze**, Associate Professor of International Black Sea University, Doctor  
**Faruk GÜRSOY**, Dean of the Social Sciences Faculty of International Black Sea University, Associate Professor  
**Tea Kbiltsetskhlashvili**, Associate Professor of International Black Sea University, Doctor

## **EDITORIAL BOARD:**

**Eldar Mamistvalishvili**, Head of the Educational Scientific Centre of History and Archaeology of Gori State Teaching University, Professor (Head of Program Committee)  
**Giorgi Sosiashvili**, Rector of Gori State Teaching University, Professor  
**Giuli Alasania**, Vice Rector of International Black Sea University, Professor  
**Tamar Gogoladze**, Professor of Gori State Teaching University  
**Vianor Akhalaia**, Head of the Centre of Georgian Language and Literature of Gori State Teaching University, Professor  
**Zurab Chkhikvadze**, Head of Foreign Language Faculty of Gori State Teaching University, Professor  
**Tea Khorguashvili**, Head of Business Administration Faculty of Gori State Teaching University, Associate Professor  
**Harun Cimke**, Doctor  
**Ketevan Sikharulidze**, Associate Professor of International Black Sea University, Doctor  
**Irina Bakhtadze**, Associate Professor of International Black Sea University, Doctor  
**Faruk GÜRSOY**, Dean of the Social Sciences Faculty of International Black Sea University, Associate Professor  
**Tea Kbiltsetskhlashvili**, Associate Professor of International Black Sea University, Doctor

ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო სტუმრებო, პატივცემულო საზოგადოებავ!

მადლობას მოგახსენებთ კონფერენციაში მონაწილობისა და მობრძანებისათვის. ეს ჩვენთვის დიდი პატივია.

ჩვენი დღევანდელი სამეცნიერო კონფერენცია “ქართულ-თურქული ურთიერთობები” გორის სასწავლო უნივერსიტეტსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის მრავალწლიანი მჭიდრო და ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობის კიდევ ერთი გამოძახილია.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე, 1992 წლიდან საქართველო თურქეთისათვის მეტად მნიშვნელოვან პარტნიორად იქცა. თურქეთი ადასტურებს და მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. განსაკუთრებით საგულისხმოა თურქეთის რესპუბლიკის მხარდაჭერა საქართველოსათვის ყველაზე მწველადობის ჟამს – 2008 წლის აგვისტოს ომის დროს.

მოცემული ქვეყნები დაინტერესებულნი არიან არსებული დინამიურად მზარდი ურთიერთობების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აყვანით.

დღეისათვის საქართველოსა და თურქეთს შორის ჩამოყალიბებულია მჭიდრო ურთიერთობების ფართო სპექტრი, სახელდობრ: თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში; რეგულარული, როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი პოლიტიკური დიალოგი; თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურის მიმართულებით;

მნიშვნელოვანია განათლების სფეროში მჭიდრო კონტაქტები, სტუდენტების გაცვლითი პროგრამები და სხვ.

საქართველო-თურქეთს შორის არსებული სამართლებრივ-სახელმეკრულებო ბაზა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა სფეროს მოიცავს.

ამდენად, საქართველოსა და თურქეთს შორის დღეისათვის შექმნილი მჭიდრო დიპლომატიური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები სწორედ ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივებზე გვაფიქრებინებს. ჩვენი კონფერენციის მიზანია ესაა – მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ამ ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით.

გისურვებთ წარმატებებს.

პატივისცემით,

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

პროფესორი **გიორგი სოსიაშვილი**

Ladies and gentlemen, dear guests, dear audience!

Thank you so much for taking part in the conference and your attendance. It's a great honour for me.

The Conference “Georgian-Turkish Relations” held today is a way of showing up a close and fruitful collaboration between Gori Teaching University and the Black Sea International University.

Since 1992, after restoration of the Georgian sovereignty, Georgia has been a considerable partner for Turkey. Turkey acknowledges and supports Georgia's territorial integrity and sovereignty. Here should be mentioned the support of Turkish Republic towards Georgia while hard times - the War in August 2008.

The mentioned countries tend to deepen dynamically increasing relationship between each other.

The relationship between Georgia and Turkey has a wide spectrum, namely: collaboration in the frames of the International organizations; regular, bilateral and multilateral political dialogues; collaboration in the sphere of self-defense from the viewpoint of the Georgian energetic security, trade-economic and cultural directions;

Close relations in the sphere of education, students' exchange programs are of a significant importance.

Memorandums between Georgia and Turkey includes practically all spheres of collaboration.

Accordingly, the close diplomatic, cultural, political and economic relations between Georgia and Turkey give reason to think about the perspectives of deepening these relations. The purpose of our conference is as follows - to do a bit for increasing these relations between two countries.

Wish you success.

Yours sincerely,

Gori State Teaching University Rector

Professor **Giorgi Sosiashvili**

პატივცემულო რექტორო, კოლეგებო და სტუმრებო!

გმადლობთ მოწვევისათვის. ჩემი უნივერსიტეტის სახელით უნდა ვთქვა, რომ გვიხარია დღეს აქ ყოფნა.

დღეს შევიკრიბეთ ჩვენი ურთიერთობების გასაუმჯობესებლად და სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად.

მსოფლიოს გლობალურ სოფლად გადაქცევამ ადამიანის ბედი უნიკალური გახადა. ამ გლობალურ სოფელში ჩვენი მთავარი მოვალეობაა შემდგომი თაობებისათვის მშვიდობიანი მომავლის უზრუნველყოფა. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია მშვიდობიანი თანაცხოვრება და მის შესანარჩუნებლად შრომა

მეორე მხრივ, გვჯერა რომ ყველა ადამიანი ერთად აღებული ერთი მთლიანი ორგანიზმია. თითოეული ადამიანი ამ ორგანიზმის უჯრედი, და თითოეული ორგანო – ამ სხეულის შემადგენელი ნაწილი. ერთი უჯრედი ან ორგანო მეორის წინააღმდეგ არ მიდის. თუ ერთი ორგანო დაავადებულია, მთელი სხეული შეუძლოდაა. ჩვენი ერთი ხელი მეორის წინააღმდეგ არ მოქმედებს, ერთი თვალი – მეორის წინააღმდეგ და ა.შ.

ესაა ჩვენი თვალთახედვა და აღნიშნული თვალთახედვა აყალიბებს ჩვენს ყველა ურთიერთობას.

არსებობს რუმის გამოხატულება. მისი სიტყვებით, ადამიანებს, რომლებიც ერთნაირად გრძნობენ, შეუძლიათ გაუგონ ერთმანეთს, ხოლო მათ, ვინც ერთ ენაზე ლაპარაკობენ – არა.

ვიმედოვნებ, ჩვენი კარგი ურთიერთობა და მეგობრობა საუკუნოდ გაგრძელდება. მჯერა, რომ ეს კონფერენცია ბევრს შემატებს მას.

ყველას ბედნიერ და წარმატებულ შეხვედრას გისურვებთ.

საუკეთესო სურვილებით,

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი

პროფ. დოქტ. **შევქეთ ერჯან თუნჯი**

Dear rector, dear colleagues and dear guests!

Thank you for your invitation. On behalf of my university, I should say that we are glad to be here today.

Today, we came together to make our relations better and to develop a more beautiful world.

Since the world became a global village, human destiny became unique. In this global village, we have to leave a peaceful future to our next generations. So we have to be in peace with each other and work in order to sustain it.

On the other hand, we believe that all human beings in total are like a single body. Then, each person can be accepted as a cell of that single body, and each organ is like a complementary unit of that body. None of the cells or organs is against to the others. If one organ has an illness, the whole body feels discomfort. One of our hands doesn't behave against the other; one of our eyes does not behave against the other and so on.

This is our point of view, and it establishes all of our relations.

There is Rumi's saying. He says that humans who share the same sensation can understand each other but the ones who can speak the same language cannot.

I hope our good relations and friendship will continue to eternity. I believe that this conference will add much to it.

I wish you all a happy and successful meeting.

Best Regards,

Rector of the International Black Sea University

Prof. Dr. **Sevket Ercan TUNC**

## Giuli ALASANIA

Professor Dr., Vice-rector of International Black Sea University, Director of IBSU Scientific Research Institute, Head of Organizing Committee of the 7<sup>th</sup> Silk Road International Conference “Challenges and Opportunities of Sustainable Economic Development in Eurasian Countries”

Many centuries have witnessed the Georgian-Turkish relationships, which in fact started when Turkish speaking people appeared in the Caucasus region, namely in the first century. In the first millennium of A.D. this interrelationship bore a positive character. Huns and Khazars used to join their forces with Georgians against other invaders, like Persians and Arabs. The battles very often took place on the territory of Georgia and the country turned into a battlefield. Due to the fact that Georgia was frequently split up into two parts and was under the control of different forces, frequent were the cases when Georgians fought against Georgians. The battle of Khazars for Tbilisi in 628 is an example of this. Khazars played an essential role in the process of unification of Georgia. It is known that Leon, the principal of Abkhazia was born to a Khazar mother, and relying on Khazar Khakan army, Leon managed to unify western part of Georgia.

Since the 11th century Georgians had intensive relationships with Seljuk-Turks, who had built a strong empire in the near East and posed a permanent threat to the neighboring territories. Alp-Arslan, Melik-Shah and others invaded Georgia several times and caused great damage to the country. This hindered considerably successful process of unification. However, the integration still took place and the kings of unified Georgia, who continued repelling Seljuks' attacks, at the same time, were establishing various contacts, even marital relationships with them. It is known that Rusudan, the sister of Queen Tamar (12th-13<sup>th</sup> centuries), was married to the ruler of Trabzon Empire. Rusudan, Queen Tamar's daughter was married to the son of Mughis Ad-din Turil Shah, Amir of Erzurum. And Tamar, Rusudan's daughter, who was known in Turkey as Gürcü Hatun, was married to Ghias Ed-din Keikhusrev II, the son of Alaad-Din Keikobad I, the Rum Sultan. This was the unification against a stronger enemy, the Mongols. However none of the allies managed to protect themselves from new invaders and in 1243 after the defeat of Rum Seljuks at Kose Dag, the Mongols concluded a peace treaty with Georgians. As a result, all these countries came under the control of the Mongols. Sultanate of Rum, which appeared to be longer living compared to Seljuk Empire existing till 1157, gave birth to the new Ottoman Empire in 1299.

Throughout the entire XV century Georgia was hit by invasions of Kara Koyunlu (Black shepherds) – Kara Iusup, Jahan Shah, and Ak Koyunlu (White Shepherds) – Uzun Hasan, Yakub Khan. As a result of these numerous invasions Georgia fell apart into several regions at the end of the 15<sup>th</sup> century.

The Georgians and the Ottomans were first exposed to each other in the second half of the 15<sup>th</sup> century, after the collapse of Constantinople in 1453, which was also known as Istanbul and in 1461 Trabzon Empire stopped its existence. By that time the border between Georgia and Ottoman Empire lay on the Rkinis Palo (Kemer Burun) just like it previously existed between Georgia and Trabzon Empire. However, in the mid-16<sup>th</sup> century the border between the Ottoman Empire and Georgia was relocated to Gonio and it did not change till the beginning of the 18<sup>th</sup> century.

Since 1555, under the conditions of the Amasya treaty between the Ottomans and Persians, Georgia was divided into two parts; western Georgia came under the control of the Ottomans and Eastern Georgia befell Safavid Persia. However, the abovementioned treaty did not reflect the real situation for that time and the two great states still had to occupy it. In the same 16<sup>th</sup> century the Ottomans claimed control over Mountainous Adjara and Southern Georgia. “Vilayeti Gurjistan” was created, however, its borders were constantly changing. Since 1578 the Ottoman Pasha sat in Poti, and the majority of captives were transported from there. There is an assumption that the Ottomans did not annex Georgia since they needed its territory to transport captives, while slave trade was prohibited by the law on the territory of the Ottoman Empire. This, in its turn, is a disputable issue.

In the time of the war between the Ottomans and Persians (1578-1590), the Ottomans temporarily occupied Sukhumi and invaded even Eastern Georgia. For a certain period Pasha was resided in Tbilisi. However, the situation changed during the reign of Shah Abbas I who managed to reinforce the conditions of 1555 peace treaty. There was one difference, though. The southern Georgia (Samtskhe-Saatabago), like the whole Georgia, previously divided between the Ottoman Empire and Persia, now was completely occupied by the Ottomans. In 1723 the Ottomans again managed to invade the territory of eastern Georgia and conquer Tbilisi. At that time the strongholds of western Georgia was occupied by the Ottoman garrisons, and it was due to the fact that Russia became stronger, developing strong interest towards South. This was the period when traditional state of affairs changed in the Georgian-Ottoman relationship.

Despite the fact that the Ottomans had not come to Georgia with peaceful intentions, open confrontation between the Georgians and the Ottomans were still not frequent. Most of the time the Georgians did not pay a tribute and did not bear any military obligations towards the Ottomans. The relationship with the Ottomans began when Georgia was dissolved and involved into internal wars. The Georgian governors often fought one other and sought support either from Iran or the Ottomans at different times. However, from that time on, the Ottoman Empire became the main target for Russia, and Georgia often served as a battlefield in the confrontation of the two states.

The articles of peace treaties concluded after the wars of the years of 1768-74, 1787-91, 1806-1812, 1828-29, 1877-78 between Russia and the Ottoman Empire as a rule touched the Georgian territories as well. Determining the borders of Georgia, which was incorporated into Russia in the early 19<sup>th</sup> and in the first quarter of the 20<sup>th</sup> centuries, continued throughout World War I, and was finally set up only under the agreements concluded after the war. More

specifically, the agreement was achieved by the peace treaties of Moscow and Kars of 1921, and was overall confirmed in 1926.

Diplomatic relations between Turkey and Georgia were established as early as at the beginning of 20<sup>th</sup> century, when Georgia managed to regain its state independence for incomplete three years. At that time the representatives of the Georgian Embassy headed by Simon Mdivani arrived in Ankara late at night, where Mustafa Kemal welcomed the diplomatic corps of Georgia. The Georgian mission was represented by a lieutenant Dimitri Shalikashvili, father of American brothers, Malkhaz and Otar Shalikashvili. During the reception ceremony Mustafa Kemal stated: "We are linked to Georgia not only through liking, but these links are strengthened by our common goals. We need strong East, we are in special need of strong Caucasus, and in particular, the most important nation in Caucasus, we need Georgia, strong and independent." In 1921 the Bolshevik army annexed independent Georgia and it was isolated from the rest of the world, including Turkey, for a long time. The border separated not only the two countries, Turkey and Georgia, but also many families were split up for a long time.

Stalin's project of the World War II to divide Turkey into separate parts was considered seriously and lost its importance only after Stalin's death. In the same years Turkey joined NATO and as a result the border between Turkey and Georgia for a long time turned to be an insuperable fence and obstacle for the relationship between the two countries.

In August 31<sup>st</sup>, 1988 the outpost highway of Sarfi was opened, which intensified the relationship between Republic of Turkey and Georgia. A part of 'Great Silk Road' was opened which, in turn, would promote the development of tourism, cultural and educational links, and what is most important, would encourage the reunion of blood relatives.

Turkey was one of the first countries which recognized the independence of Georgia (December 17, 1991). Similarly, it was one of the first countries Georgia established diplomatic relations with (May 21, 1992) and the agreement was signed in 1992, July 30. Much time has passed by since then and while analyzing this relationship, it can be stated that much has been done by the two countries.

An agreement was signed in Tbilisi, November 21, 2007 between Georgia and the Republic of Turkey to avoid double taxation of income and prevention of tax evasion.

An agreement on free trade between Georgia and the Republic of Turkey was signed in Tbilisi, November 21, 2007, and for many years Turkey has retained and still retains a leading position among trade partner countries of Georgia;

On April 4<sup>th</sup>, 1996 an agreement was signed between the governments of the Republics of Turkey and Georgia concerning customs border posts and a new agreement was signed on June 11, 2010 on introducing amendments in the old agreement;

The Memorandum of Mutual Understanding between the governments of Georgia and the Republic of Turkey was signed on June 11, 2010 provides an agreement between the two governments on mutual exploitation of customs border posts;

The Act was signed on May 31, 2010 which ensures the introduction of amendments in Visa Agreement of April 4, 1996 concluded between the Government of Georgia and the Government of Turkey. As a result, the citizens of the two countries can easily cross the border using their ID cards.

Our relationship developed in a dynamic way was throughout the recent years and embraced all fields. Cooperation in the field of power-engineering and transportation should be specially highlighted. Projects: Baku-Tbilisi-Supsa, Baku-Tbilisi-Jeihan (oil pipe-lines), Baku-Tbilisi-Erzurum (gas pipe-line).

There are intensive relationships in the field of education. Number of Turkish as well as Georgian Universities cooperate fruitfully, having exchange programs and joint projects. Since 1990s a group of Turks entered Georgia and made sound investments in the field of education. In cooperation with the Ministry of Education and Science of Georgia they founded schools and the International Black Sea University, where the languages of instruction are Georgian and English. Along with providing quality education these institutions bear special mission – they function as a bridge between Georgia and Turkey, Georgia and the rest of the world. The performances of these schools have already yielded positive results. A milestone has been laid to ensure cooperation with various universities and schools not only in Georgia and Turkey, but Georgia, Turkey, Europe and the USA. There are several exchange programs operating. The Georgian students, as well as school-pupils study abroad at some educational institutions for one or two semesters and gain international experience. Through these programs many Georgians have got to know Turkey and fell in love with this wonderful country. Similarly, many Turkish, US and European students have developed close links with Georgia. The guests of the two countries usually live in families; that promotes friendship and respect, as well as deep understanding of different cultures. Olympiads are often held, and there is a wonderful tradition of organizing annual international conferences. The eight schools and the International Black Sea University in Georgia closely cooperate with the Georgian universities and schools. They have supported other universities to establish language centers. The cooperation between the International Black Sea University and Gori State University has a long history. The cooperation has been very fruitful up to day. Today's conference can serve as one more evidence.

Let me use this opportunity and kindly welcome all the participants and organizers, and wish you all success.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

იოსებ ალიმბარაშვილი - ქართლ-კახეთის სამეფოსა და თურქეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში და რუსეთი .....	11
ვიანორ ახალაია - თურქული ენობრივი ელემენტები ლაზურში .....	14
ირინა ბახტაძე - თურქი სტუდენტების მიზნები, მიღწევები და მოტივაცია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში.....	18
ნინო ბუზიაშვილი - სოფელი რუისი 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით .....	25
თამარ გოგოლაძე - ერთი ისტორიული პასაჟი ჟამთააღმწერლის მატანესა და მხატვრულ ტექსტებში .....	27
შალვა ვანიშვილი - ქართველი მეცნიერები - ქართულ-თურქული ურთიერთობების მკვლევრები .....	31
მარიამ კობერიძე - თურქულიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულები ზემოაჭარულში .....	34
თინათინ კუბლაშვილი - მხარდაჭერა ქართულ-თურქული ურთიერთობის განვითარებისათვის .....	36
ემზარ მაკარაძე - ცნობილი თურქი ჰუმანისტი - მესუთ ბოზჩირი .....	40
ელდარ მამისთვალიშვილი - გორის მოსახლეობა „ოსმალობის“ პერიოდში (ოსმალური წყაროების მიხედვით).....	43
მალხაზ მაცაბერიძე - საქართველო და თურქეთის ინიციატივა კავკასიის ქვეყნების კონფერენციის მოწვევის შესახებ (1921 წლის იანვარი).....	47
ნაილი მელანაშვილი, მაკა სოსანიძე - ტურიზმის განვითარების ტენდენციები თურქეთსა და საქართველოში.....	50
ალექსანდრე მღებრიშვილი - ქართულ-თურქულ კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობათა ისტორიიდან .....	53
თინათინ მშვიდლობაძე - ელექტრონული ლექსიკონის ეფექტურობა ქართულ-თურქულ ლინგვისტიკაში .....	57
ნიკოლოზ ოთინაშვილი - ონომასტიკური ძიებანი ფრონეს ხეობიდან .....	59
ლალი ოსაძე, სოფიო ცეცხლაძე - საქართველო-თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობები ენერგეტიკის სფეროში.....	61
ქეთევან სიხარულიძე - თეფეგიოზი და ცალთვალა გოლიათები ქართულ ფოლკლორში .....	64
გიორგი სოსიაშვილი - ცხინვალი 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით ...	66
ლალი სრესელი - თურქული ინვესტიციები ქართულ ეკონომიკაში .....	70
ილიას უსტუნერი - ორჰან ფამუქის რომანების ქართული თარგმანები (თურქულ ენაზე) .....	127
თამარ შიოშვილი - თურქეთის წვლილი საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საქმეში.....	75
ჰარუნ ჩიმქე - ქართულ-თურქულ ანდაზათა შედარებითი ანალიზის სხვადასხვაგვარი ასპექტები ...	77
მამუკა ჯოღობორდი - „თურქეთი“, „თურქნი“ „მეფეთა ცხოვრებაში“ .....	81

## CONTENTS

<b>Ioseb Alimbarashvili</b> - <i>THE RELATIONS BETWEEN KARTL-KAKHETI KINGDOM AND TURKEY IN THE 60-70s OF THE XVIII CENTURY AND RUSSIA</i> .....	85
<b>Vianor Akhalaia</b> - <i>TURKISH LINGUAL ELEMENTS IN THE LAZ LANGUAGE</i> (In Georgian Language) .....	14
<b>Irina Bakhtadze</b> - <i>GOALS, ACHIEVEMENTS AND MOTIVATION OF TURKISH STUDENTS AT IBSU</i> .....	87
<b>Nino Buziashvili</b> - <i>THE VILLAGE OF RUISI ACCORDING TO "THE 1728 TBILISI VILAIETY INVENTORY BOOK"</i> .....	92
<b>Tamar Gogoladze</b> - <i>A HISTORICAL PASSAGE FROM THE COMPOSITIONS OF A CHRONICLER AND FEATURE TEXTS</i> .....	94
<b>Shalva Vanishvili</b> - <i>GEORGIAN SCIENTISTS - THE EXPLORERS OF GEORGIAN-TURKISH RELATIONSHIPS</i> .....	96
<b>Mariam Koberidze</b> - <i>LEXICAL UNITS BORROWED FROM TURKISH LANGUAGE IN ZEMOACHARIAN</i> .....	98
<b>Tinatin Kublashvili</b> - <i>SUPPORTING AND ENCOURAGING THE DEVELOPMENT OF GEORGIAN-TURKISH RELATIONSHIP</i> .....	99
<b>Emzar Makaradze</b> – <i>THE FAMOUS TURKISH HUMANIST - MESUT BOZKIRE</i> .....	102
<b>Eldar Mamistvalishvili</b> - <i>GORI POPULATION DURING THE PERIOD OF THE OTTOMAN RULE (BASED ON THE TURKISH SOURCES)</i> .....	104
<b>Malkhaz Matsaberidze</b> - <i>THE JOINT INITIATIVE OF GEORGIA AND TURKEY TO CONVENE THE CONFERENCE OF THE SOUTH CAUCASIAN COUNTRIES (JANUARY, 1921)</i> .....	106
<b>Naili Melanashvili, Maka Sosanidze</b> - <i>TOURISM DEVELOPMENT TENDENCIES IN TURKEY AND GEORGIA</i> .....	109
<b>Aleksandre Mgebrishvili</b> - <i>FROM THE HISTORY OF THE GEORGIAN-TURKISH CULTURAL-EDUCATIONAL RELATIONS</i> .....	110
<b>Tinatin Mshvidobadze</b> - <i>THE EFFECTIVENESS OF ELECTRONIC DICTIONARY OF THE GEORGIAN - TURKISH LINGUISTICS</i> .....	113
<b>Nikoloz Otinashvili</b> - <i>ONOMASTICAL SEARCHES FROM PRONE GORGE</i> .....	115
<b>Lali Osadze, Sophie Tsetskhladze</b> - <i>GEORGIA-TURKEY ECONOMIC RELATIONS IN THE ENERGY SECTOR</i> .....	116
<b>Ketevan Sikharulidze</b> - <i>TEPE GIOZ AND ONE-EYED GIANTS OF THE GEORGIAN FOLKLORE</i> .....	119
<b>Giorgi Sosiashvili</b> - <i>ABOUT TSKHINVALI ACCORDING TO "GREAT DEFTER OF TBILISI VILAYET" IN 1728</i> .....	120
<b>Lali Sreseli</b> - <i>THE TURKISH INVESTMENTS IN GEORGIAN ECONOMICS</i> .....	124
<b>Ilyas Üstünyer</b> - <i>ORHAN PAMUK ROMANLARININ GÜRCÜCE ÇEVİRİLERİ</i> (In Turkish Language) .....	127
<b>Tamar Shioshvili</b> - <i>CONTRIBUTION OF TURKEY TO THE INTERNATIONALIZATION OF HIGHER EDUCATION IN GEORGIA</i> .....	132
<b>Harun Chimke</b> - <i>ASPECTS OF COMPARATIVE ANALYSIS OF GEORGIAN AND TURKISH PROVERBS</i> .....	134
<b>Mamuka Jolbordi</b> - <i>"TURKEY", "THE TURKISH" IN "THE LIFE OF KINGS"</i> .....	137

## ქართლ-კახეთის სამეფოსა და თურქეთის ურთიერთობა XVIII საუკუნის 60-70-იან წლებში და რუსეთი

იოსებ ალიშვარაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

თეიმურაზ II-ის პეტერბურგში უშედეგო ელჩობის შემდეგ (1760-1761 წწ.), რუსეთის მთავრობას სერიოზული საფიქრალი გაუჩნდა, ერეკლეს მათდამი რაიმე სიმპათია კიდევ შერჩებოდა თუ არა (Маркова, 1966; 131)

მდგომარეობა დაამძიმა ტოტლებენის ავანტიურებმაც, რომელმაც ერეკლეს საწინააღმდეგო ქმედებები და ქვეყნის სტრატეგიული ციხეების დაკავება დაიწყო, ამიტომ ქართლ-კახეთის მეფე 70-იან წლებში აქტიურად დაადგა თურქეთთან დაახლოების კურსს.

რუსები ჯერ კიდევ 1768 წელს, ომის დაწყებამდე სერიოზულ ეჭვს გამოთქვამდნენ, ერეკლეს თურქეთის წინააღმდეგ მოქმედებებთან დაკავშირებით, რადგან ქართლ-კახეთის მეფეს თავის სამფლობელოს დაცვა მხოლოდ ლეკებისაგან სჭირდებოდა და თურქეთთან პრობლემები არ ჰქონდა. უფრო მეტიც, საიმპერატორო კარი შიშობდა, თეიმურაზის ვაჟს იმერეთის მეფე სოლომონიც არ გადაებირებინა თურქეთის სასარგებლოდ (მაჭარაძე, 1988; 90-91).

ერეკლემ მართლაც სცადა სოლომონ I-ის შერიგება სულთნის კართან. სწორედ მისი დიპლომატიის შედეგი იყო, რომ 1768 წელს სოლომონს ფირმანი მოუვიდა, რომლის მიხედვით, სულთანი „ქრისტიან მფლობელთა შორის სახელგანთქმულ სოლომონს“, იმერთა მეფედ აღადგენდა (ბერძენიშვილი, 1973; 420).

ერეკლე, 1776 წლის დეკემბერში, თავის დესპანს - გიორგი (მირზა გურგინა) ენაკოლოფაშვილს ჩილდირის (ახალციხის) ვალის დახმარებით სტამბულში გზავნის. დედაქალაქში ჩასვლისთანავე ერეკლეს ელჩი შეხვედრია უმაღლეს მოხელეებს: რეის ეფენდისა და ბეილიქთი ეფენდის (გიგინიშვილი, 1982; 80).

ეს ელჩობა რუსებს, ბუნებრივია, მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ. რუსეთის სტამბულელი ელჩი სტახიევი თავის ხელმწიფეს აცხობინებს, რომ რუსეთს სანერვიულო არაფერი აქვს, რადგან ერეკლეს ელჩს სტამბულში ცუდად შეხვდნენ, მხოლოდ მცირედიდ დასაჩუქრეს და სულთან არც აპირებს მის მიღებას (ბერძენიშვილი, 1967; 168).

თუმცა, სტახიევის სხვა მოხსენებებიდან ცხადი ხდება, რომ სინამდვილეში ყველაფერი სხვაგვარადაა. მომდევნო წერილში გაწბილებული ელჩი იწერება, რომ სულთანს (აბდულ-ჰამიდ I – 1774-1789 წწ.) ერეკლეს ელჩი კიდევ მიუღია და მისთვის წყალობაც მიუცია, რომ ერეკლესა და სულთანს შორის სამეგობრო ტრაქტატიც დადებულია (ბერძენიშვილი, 1967; 168).

უფრო მეტიც, სტახიევი იტყობინება, რომ ერეკლეს ელჩი მხოლოდ ქართლ-კახეთის კი არა, მთელი აზერბაიჯანელი ხანების სახელითაც ლაპარაკობს (გიგინიშვილი, 1982; 80).

სულთანს ერეკლესთვის მეგობრობის პირობის სანაცვლოდ ძვირფასი საჩუქრები: 1000 ოქრო, სიასამურის ქურქი და შვეკამული ცხენი გამოუგზავნია. საპასუხო საჩუქრები სტამბულში ერეკლესაც გაუგზავნია: თეთრი ქურქი, პერანგები და შალეული (გიგინიშვილი, 1982; 80)

1780 წლის თებერვალში ერეკლეს ელჩი კიდევ ერთხელ ჩასულა სტამბულში. სტახიევი პეტერბურგში შემფოთებული იწერება, რომ ერეკლესა და სულთანს შორის სამეგობრო ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ ერეკლეს ელჩი ქერიმ - ადა (Карым ага) ისე ჰყავთ ჩაკეტილი, რომ რაიმეს გაგება შეუძლებელია (ბერძენიშვილი, 1967; 168-170).

თუმცა, რუსეთის ელჩს რაღაც საკითხების გარკვევა მაინც მოუხერხებია. აგენტები სტახიევის აცხობინებენ, რომ ერეკლემ 1779 წელს განმდგარი ჰუსეინ ალი-ხანის წინააღმდეგ ერევანზე ილაშქრა, გაიმარჯვა, დიდძალი ნადავლი წამოიღო და უამრავი სომეხი გადმოსახლა საქართველოში. თავის მხრივ, სტახიევი დასძენს, რომ ოსმალეთი რეალურად აფასებს ერეკლეს ძალას და მასთან კავშირით ცდილობს დაამარცხოს ირანი და მთელი კავკასია გაუერთგულოს (ბერძენიშვილი, 1967; 168). სტახიევი ცდილობს რაიმე გაარკვიოს ერეკლე-ოსმალეთის სამომავლო ურთიერთობების შესახებ და სტამბულიდან გამომგზავრებულ ერეკლეს ელჩს თავის აგენტს (სომეხ ვაჭარს) გამოაყოლებს თან, იმ დავალებით, რომ რაიმე შეიტყოს ამ ხელშეკრულების შესახებ და ორი თვის ვადაში უკან ჩაუტანოს ახალი ამბავი. სანაცვლოდ, გასამრჯელოდ სომეხი აგენტი 300 პიასტრს მიიღებს (ბერძენიშვილი, 1967; 168).

ოსმალეთთან ურთიერთობის დალაგებამ ერეკლეს ბევრი პრობლემა მოუხსნა. ჯერ იყო და სულთნის ნებართვით ანატოლიიდან (გიუმშიშხანედან) მრავლად ჩამოსახლა სამთამადნო საქმის მცოდნე

ბერძნები, რითაც წარმატებული ახტალა-ალავერდის მადნები ამუშავა და ქვეყნის შემოსავალი მნიშვნელოვნად გაზარდა.

ურთიერთობები დალაგდა ტრადიციულ მეტოქეებთან: ომარ-ხანსა და ახალციხის სულეიმან ფაშასთანაც. 1776 წლის 29 აპრილით დათარიღებული ერთი დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ ქართლელი გიორგი ავაქაშვილი ოჯახთან ერთად, რამდენიმე წლის წინ დაუტყვევებითა და ახალციხეში გაუყიდათ.

ავაქაშვილის დედა ფაშასთან მისულა, გათავისუფლება და ქართლში დაბრუნება უთხოვია. „ფაშა გასწყრომია (ტყვეების გამყიდველს - ი. ა.) და ჩვენ დაუხსნივართ და გამოუშვივართ, მე იმას ყმას აქ არავის გავასყიდვინებო. არ ვიცი მოყვარე რომ ყოფილა ის ფაშა ამათი თუ მეგობარი, ამიტომ გამ[ო]უშვივართო“, აცხადებდა გიორგი ავაქაშვილი ერეკლესთან სათხოვარში (**ქართული, ტ. VII; 339**).

აღნიშნულ წლებში ერეკლესთან სიახლოვეს ესწრაფოდა ომარ-ხანიც, რომელიც ქართლ-კახეთის მეფესთან მოწერილ წერილებში ერთგულებას „შვილების სახელოსა“ და „მამა-შვილობის“ ფიცით უმტკიცებდა (**ეროვნული, 1449; 2824**).

დაღესტნელებთან მშვიდობა ჩანს 1780 წლის 16 დეკემბრით დათარიღებულ დოკუმენტშიც, სადაც ქალაქის (თბილისის - ი. ა.) მოურავი დავითი ლეკიანობით დაფანტული ყმების დაბრუნებას ითხოვს და მეფისადმი მიმართვაში აღნიშნავს: „ღმრთის მოწყალებით და თქვენის დოვლათით ლეკისაგან მშვიდობა არისო“ (**ქართული, ტ. VII; 494**).

XVIII საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისში, ირან-ოსმალეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა და ომის დაწყებას ბევრი აღარაფერი უკლდა. ერეკლეს პოზიცია ორივე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გახდა, ამიტომ ირანის ვეკილმა 1777 წლის 24 ივლისს ქართლ-კახეთის მეფეს დიდი საჩუქრები გამოუგზავნა და „წყალობა-სიყვარულის“ სიტყვა შემოუთვალა. (**ბერძენიშვილი, 1973; 431**).

ზემოთქმულის მიუხედავად, ერეკლემ არჩევანი ოსმალეთზე გააკეთა, რამაც ქერიმ-ხანი აღაშფოთა. ირანის მბრძანებელმა მხედრობა შეკრიბა და თავისთან მოუწოდა ქართლის ტახტისმადიებელ - ალექსანდრე ბაქარის ძეს და დაღესტნელ მთიელებს ქართლ-კახეთზე სალაშქროდ, მაგრამ მისმა სიკვდილმა 1779 წელს ეს გეგმები ჩაშალა (**Маркова, 1966; 373**).

ქართველი მეფის თურქებთან კავშირი არც რუსებს მოუვიდათ თვალში, მით უფრო, რომ 70-იანი წლების მეორე ნახევრისათვის ერეკლე საკმაოდ მოძლიერდა.

რუსებს „მავედრებელი“ და მათი ხელის შემყურე ერეკლე აწყობდათ და არა ძლიერი, რომელიც საკუთარი ძალებით ახერხებდა პრობლემების გადაჭრას, ამიტომ აქამდე ჩრდილში მყოფ ქართლის სამეფო ტახტის მადიებელ ალექსანდრე ბაქარის ძეს მიუბრუნდნენ. ბატონიშვილიც მაშინვე ენერგიულად ამოქმედდა. იგი ჯერ ყაზარდოში ჩავიდა, შემდეგ – დაღესტანში. იქიდან იბრემ ხანის თანხლებით ტარკში გაემგზავრა შამხალ მურთუზლისთან და ერეკლეს წინააღმდეგ შემწეობა ითხოვა. მალე ბატონიშვილი დერბენტში აღმოჩნდა ფათალი-ხანთან. აქვე მოვიდა პეტერბურგიდან გამოქცეული ერეკლეს კიდევ ერთი ოპონენტი - ალექსანდრე ამილახვარი.

ფათალი-ხანმა ალექსანდრეები კარგად მიიღო და დიდ ჯარსაც შეჰპირდა. მისთვის ქართლის ტახტის მადიებელი ბატონიშვილი მეტად ძვირფასი სტუმარი იყო და ერეკლეს დასამარცხებლად ამაზე უკეთეს შემთხვევას ვერ იპოვიდა (**ბერძენიშვილი, 1973; 426**).

ქართლ-კახეთის მეფე ხვდებოდა, რომ ალექსანდრეს განდევნა დარუბანდსა და იმიერკავკასიიდან მხოლოდ რუსეთს შეეძლო, მაგრამ ეს უკანასკნელი ამ გარემოებას სწორედ ერეკლეზე ზეგავლენის მიზნით იყენებდა (**ბერძენიშვილი, 1973; 451**).

ქერიმ ხანის გარდაცვალების შემდეგ, ზენდების ძალაუფლება ირანში მნიშვნელოვნად შესუსტდა და ცალკეულმა სახანოებმა დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყეს. მათ შორის ყველაზე ძლიერი იყო ირანის დიდი ვეკილი - ალი-მურად-ხანი. ძალაუფლების კიდევ უფრო ზრდის მიზნით, იგი რუსებს დაუკავშირდა. ეს ფაქტი რუსების ინტერესებშიც შედიოდა და მურად-ხანის მიერ საიმპერატორო კარზე გაგზავნილი მირზა-მუჰამედი უკან დიდძალი საჩუქრებით გამოისტუმრეს (**Джевдет паша, 1888; 379**) და რუსი ელჩიც გამოაყოლეს, მაგრამ სანამ ისინი შირაზში ჩავიდნენ, ალი-მურად-ხანი გარდაცვლილიყო და ირანის მმართველად აღზევებული ჯაფარ-ხანი დახვდათ, ამიტომ რუსი დიპლომატი უკან დავალების შეუსრულებლად დაბრუნდა.

რუსეთის ეს ნაბიჯი იმიერკავკასიის ხანებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ხოის მმართველი ახმედ-ხანი ერზრუმის ვალს - ხაჯი-ალი-ფაშას ატყობინებდა, რომ რუსეთის ნამდვილი მიზანი ირანთან მშვიდობა დაამყაროს, ემსახურება მათ მზაკვრულ ჩანაფიქრს - ახერბაიჯანის მოსაზღვრე ტერიტორიები ხელთ იგდოსო (**Джевдет паша, 1888; 380**). იგი სტამბოლსაც სთხოვდა გამოეხიზლებას და იტყობინებოდა, თუ იქიდან დახმარება და მფარველობა დროულად არ იქნებოდა, მრავალი მუსულმანი მტრის ხელში აღმოჩნდებოდა. რუსეთის ამგვარმა ქმედებებმა დიდი გარჯის ფასად დალაგებული

ურთიერთობები ქართლ-კახეთის მეფეს კვლავ გაურთულეს. მეფის წინააღმდეგ ისევ ამოქმედდა ახალციხის სულეიმან ფაშა.

ერეკლეს წინაშე მთელი სიმწვავეით დადგა სამეფოს დაკარგვის საფრთხე, მით უფრო მას შემდეგ, რაც მდგომარეობის სტაბილიზების მიზნით გატარებულ ყველა ღონისძიებაში ხელი მოეცარა (ორი ელჩობა ევროპაში, ყაზარდოელების გადმოსახლების საკითხი და სხვ.). რა თქმა უნდა, ყველა ზემოხსენებულში რუსეთის ხელი ერია. დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა იმას, რომ პრობლემის გასაღები პეტერბურგში იყო. მეფე დათანხმდა შესულიყო იმპერატორის მფარველობაში, იმ პირობით, რომ საიმპერატორო კარს ხელი უნდა აეღო ალექსანდრე ბაქარის ძის მხარდაჭერაზე. ერეკლე იმპერატორს მიმართავდა, ოფიციალურად გამოცხადებულიყო რუსეთის მფარველობა მისადმი ისე, რომ მის შვილებს და შთამომავლებს „პაპების სამკვიდრო და ამდენი გარჯით და ღვაწლის დადებით აშენებული ქვეყანა არ დაკარგვოდათ, რომ ალექსანდრე ბაქარის ძის მსგავს ბედის მამიებლებს უმეცარი ხალხი არ აპყოლოდა“ (**საქართველოს, 1973; 689**).

როგორც კი მხარდაჭერის გარანტია მიიღეს, რუსებმა მაშინვე დააგზავნეს მიმართვები ყიზლარის კომენდანტთან, ასტრახანის გუბერნატორთან და სხვა დადესტნელ მთიელ ბელადებთან, რომ არ აღმოეჩინათ დახმარება ალექსანდრე ბაქარის ძისათვის (**Маркова, 1966; 374**). 1783 წლის ნოემბერში (ამ დროისათვის უკვე გაფორმებული იყო გეორგიევსკის ხელშეკრულება) მაიორი კომარსკი დერბენტში ჩავიდა ფათალი ხანთან ბატონიშვილისა და ამილახვრის გადასაცემად. რუსებს ორივე ალექსანდრეს „ყიდვა“ ფათალი ხანისგან სულ ერთი ოქროს სათუთუნე და 500 ოქროს „ჩერვონცი“ დაუჯდათ (**ამილახვარი, 1997; 121**).

10 ნოემბერს კომარსკი და ორივე ალექსანდრე ასტრახანს გაემგზავრნენ. მალე ალექსანდრე ამილახვარი ვიბორგის ციხეში ჩასვეს, ხოლო ალექსანდრე ბაქარის ძე პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ გააგზავნეს სმოლენსკში და ყოველწლიურ სარჩოდ 1200 მანეთი დაუნიშნეს. უშედეგოდ ელოდა იგი იმპერატორის შეწყალებას. 1784 წლის ივნისში დააპატიმრეს და პატიმრობაში მყოფი იქვე გარდაიცვალა 1791 წელს (**Маркова, 1966; 376**).

ალექსანდრე ბაქარის ძის ცხოვრება კლასიკური ნიმუშია რუსეთის რეალური პოლიტიკის კავკასიაში. ტახტმადიებელი ბატონიშვილის ფაქტორი კარგად გამოიყენა საიმპერატორო კარმა ერეკლეს წინააღმდეგ და ყველა წამოწყება ჩაუშალა, სამაგიეროდ მნიშვნელოვნად დააჩქარა ქართლ-კახეთის რუსეთის „მფარველობაში“ შესვლა. როგორც კი თავისას მიაღწიეს, რუსებმა ბატონიშვილს ყველა პრივილეგია მოუსპეს, ოჯახს დააცილეს და პატიმრის მდგომარეობაში ჩააყენეს, სადაც ყველასაგან მიტოვებული გარდაიცვალა.

რაც შეეხება ერეკლეს, სწორედ ოსმალეთთან ზემოხსენებული დადებითი ურთიერთობების გააქტიურება იყო ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც, რუსებმა გეორგიევსკში ქართლ-კახეთისათვის ბევრად უკეთეს პირობებს მოაწერეს ხელი, ვიდრე ეს 70-იანი წლების დასაწყისში მოხდა.

#### **ლიტერატურა:**

1. ამილახვარი ალექსანდრე, გეორგიანული ისტორია, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ბიოგრაფიული ნარკვევი დაურთო ვაჟა კვიციანი, თბ., 1997.
2. ბერძენიშვილი ნიკოლოზ, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, თბ., 1967.
3. ბერძენიშვილი ნიკოლოზ, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1973.
4. გიგინეიშვილი ოთარ, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982.
5. ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 1449.
6. მაჭარაძე ვ. მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი III; რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო, თბ., 1988.
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.
8. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980.
9. ქართული სამართლის ძეგლები, ის. დოლიძის რედ. ტ. VII, თბ., 1981.
10. Маркова О. Россия Закавказье и международные отношения в XVIII веке. Москва 1966.
11. Маркова О. Феодальная реакция на прогрессивную политику единодержавия Грузии (Выступление князя Александра Грузинского 1766-1783 гг.), კრებულში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.
12. Джевдет паша. Описание события в Грузии и Черкасии по отношению к Османской империи от 1192 года по 1202 год хиджри. (1775-1784). Перевод на русского - М. А. Гамазова. Русский Архив. Москва 1888. кн. I. №3.

## თურქული ენობრივი ელემენტები ლაზურში

ვიანორ ახალაია

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ერთ-ერთი უძველესი ქართველური ენა ლაზურ-მეგრული საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზანურის სახელწოდებით არის დამკვიდრებული, დღეს მას „კოლხურსაც“ უწოდებენ. ლაზური (ჭანური) და მეგრული ერთი ენის ზანურის (კოლხურის) დიალექტადაა მიჩნეული. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ლაზებსა და მეგრელებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შენარჩუნებული ტერიტორიული მთლიანობა. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით ასე იყო I-II საუკუნეში. შემდეგ ერთ-ერთი ქართველი ტომთაგანი შიგ შუაგულში შეიჭრა და მეგრელები და ლაზები ერთი-ერთმანეთს დააშორა. ბუნებრივია მათი ენობრივი ურთიერთქმედება შეწყდა და განვითარება დამოუკიდებელი გზებით წარიმართა. ენობრივ დიფერენციაციას ხელი შეუწყო არა მარტო გათიშვამ, უდიდესი მნიშვნელობისა იყო ენობრივი გარემოცვა, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ.

დიდი იყო ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურული გავლენა ლაზურზე, განსაკუთრებით, ტრაპიზონისა და რიზე-ათენის რეგიონში მცხოვრებ ლაზთა მეტყველებაზე. ვიწე-არქაბ-ხოფის რეგიონი თავისი მჭიდრო კონტაქტის გამო ქართულენოვან სამყაროსთან ამ გავლენას ნაკლებ განიცდიდა. 1453 წელს თურქ-ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, რასაც მოჰყვა გარდატეხა წინა აზიის ხალხთა პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ლაზების ერთი ნაწილი კონტინენტალურ საბერძნეთში გადასახლდა და მათი ენა ბერძნულმა შთანთქა, ლაზების ძირითადმა ნაწილმა კი, რომელიც მშობლიურ მიწა-წყალზე დარჩა, შეინარჩუნა მთლიანობა და ენა, მაგრამ გართულდა კომუნიკაცია ლაზურსა და მეგრულს შორის, ადრე მათ შორის სხვაობა ისე მცირე იყო, რომ გაგებინების პრობლემა არასოდეს არ მდგარა. უკიდურესად შესუსტდა ურთიერთობა ქართულენოვან სამყაროსთან, ლაზები თურქულენოვან გარემოცვაში აღმოჩნდნენ.

მიუხედავად ასეთი იზოლაციისა, ფონემათა ინვენტარისა და პარადიგმატული მიმართებით ლაზური და მეგრული დღესაც გასაოცარ სიახლოვეს ინარჩუნებენ, ხოლო ფონემათა დისტრიბუციული მიმართებების თვალსაზრისით თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. (1, 163)

ქართულ-ზანურ ენა-კილოთა ურთიერთგავლენის პროცესი არასოდეს შენელებულა. ამას განაპირობებდა ქართველ ტომთა როგორც ტერიტორიული ახლობლობა და კულტურულ-ეკონომიკური მჭიდრო კავშირი, ისე ქართველური ენობრივი სამყაროს ერთიანობა და ეროვნული კონსოლიდაციის ხანგრძლივი ისტორიული გზა.

ლაზეთის ოსმალეთის იმპერიის მფლობელობაში შესვლის შემდეგ, ბუნებრივია, დამკვიდრდა მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ლაზებსა და თურქებს შორის. რა თქმა უნდა, ამ ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხთა მეტყველებაზე.

თურქულის გავლენა ლაზურზე ძირითადად გამოვლინდა ლექსიკური ერთეულებისა და სინტაქსური კალკების სახით. ჩვენ შევეცადეთ წარმოვადგინოთ ლაზურში არსებული ზოგიერთი თურქული ენობრივი ელემენტი.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ლაზურში იხმარება ბერძნულიდან შემოსული **ოტი** „რომ“-ის და თურქულიდან შემოსული **ქი**, ასევე „რომ“-ის მნიშვნელობით. ნ. მარი თავისავე „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკაზე“ თანდართულ „ჭანურ-რუსულ ლექსიკონში“ მიუთითებს, რომ **ოტი** „რომ“ კავშირი იმავე ხ. (ხოფურში ვ.ა.) შეიძლება შევცვალოთ თურქ. -ქი-თ (2, 177). სხვაგან სხვა მასალებთან დაკავშირებით **ოტი**-ს პარალელურად ქი-ს ხმარებას აღნიშნავს (2,212) არნ. ჩიქობავა ამ ნასესხები აფიქსების შესახებ წერს: „ჭანურს ამ მნიშვნელობით („რომელიც“ კავშირის ადგილას, როცა „რომ იკავებს - ვ. ა.) გამოყენებული აქვს თურქულიდან ნასესხები - ქი (II ჩი-ათინ) და ბერძნულიდან გადმოღებული **ოტი**“. (3, 184)

**ოტის** გამოყენება თუ ათინური კილოკავით შემოიფარგლა, სამაგიეროდ - ქი II ჩი-ს ხმარება შეზღუდული არ ჩანს. **ქი** გვხვდება ხოფურში, ვიწურ-არქაბულში, ათინურში კი -ქი-ც გვხვდება და მისგან მიღებული -ჩი-ც (ქი>ჩი ქ-ს პალატალიზაციის შედეგია). საყურადღებოა ის, რომ ერთსა და იმავე მთქმელთან ათინური კილოკავებში -ქიII-ჩი თანაარსებობენ: დივი თქუ-ქი „ასლანიში ბახჩემა მენებოშქვათ!“ „დევა თქვა, რომ ასლანის ბაღში შევუშვათო“. ბიჭი-თი თქუ-ჩი. „პათუ! მუ კავული პათე“. „ბიჭმა თქვა, რომ გავაკეთოთ, რა ნიზლავი გავაკეთოთ“.

ის ფაქტი, რომ ერთი და იმავე მთქმელის მეტყველებაში - ქი და - ჩი ერთმანეთს ენაცვლება (ზოგჯერ ერთსა და იმავე ფორმებთან), გვავარაუდებინებს, რომ პროცესი -ქი II -ჩი ლაზურში ბოლომდე არაა მისული და ცვლილებაც სპონტანური ხასიათისაა.

თურქულენოვანი სამყაროდან შემოსული - ქი „რომ“, „თუ“-ს მნიშვნელობით დღესაც ცოცხალია, მაგალითად, ზოგ დადესტურ ენაში სწორედ ამოსავალი - ქი ფორმით: რუთულურში „და“, „ან“, „რომ“ მნიშვნელობით (4, 588), უდიურში-„რომ“ მნიშვნელობით (5, 658) თაბასარანულში -„რომ“ მნიშვნელობით (6,588), ხინალუდიურში -„რომ“ ფუნქციით (7, 672).

-ქ ი „თურქული კავშირია, რომელსაც ლეზგები იყენებდნენ, მაგრამ უამსუფიქსოდაც ძალზე იოლად გადაიან-ო“ (8, 254), რომ შენიშნავენ, გარკვეულწილად ლაზურის მიმართაც შეიძლება ითქვას, რაგდან აქ - ქი ადვილად გამოიყენება მისივე ფუნქციის, ოღონდ საკუთარი - ნა, - ში კავშირ-ნაწილაკის გვერდით.

-ქი- -ნა

უნუ-ქი „ლაზეფეკალა გახთა-ნა-აა, სინ-თი, ქონაგნევ“-აა! „უთხრა, რომ „ლაზებთან რომ გაიარო, შენც გაიგებო“.<sup>1</sup>

-ქი- -ში

ემუშენი -ქი გილიტესკონ-ში, ძიასინტეს. „იმიტომ, რომ ჩამოსვლისას რომ უნდა ენახათ“.

განხილული საილუსტრაციო მაგალითები გვიჩვენებენ, რომ - ქი (>ჩი), კავშირებს შეუძლიათ გამოხატონ ქვემდებარული, პირდაპირ დამატებითი, განსაზღვრებითი, შემასმენლური, დროის გარემოებითი, ვითარების, მიზეზის და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებანი.

არნ. ჩიქობავა -ოტი, - ქი II>ჩი აფიქსების ერთ-ერთ ფუნქციაზე, გამოხატოს განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, საგანგებოდ მიუთითებდა, რომ ჭანურისათვის უჩვეულოა განსაზღვრებით დამოკიდებული წინადადება: ეს სავსებით გასაგებია: „რომელიც“ სიტყვით დაკავშირებული დამოკიდებული წინადადება ქართულშიც წიგნური წარმოშობისაა, ხალხურ მეტყველებას არ ახასიათებს და ამ მნიშვნელობით იყენებენ ზემოთ ჩამოთვლილ აფიქსებსო.

ხომ არ შემოსულან ეს კავშირები ლაზურში უპირველესად განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებათა გასაფორმებლად, ხოლო შემდეგ შეიძინეს მათ სხვა დამოკიდებულ წინადადებათა აგების უნარი?

რაც შეეხება **ე გ ე რ** „თუ“ თურქულ-სპარსულიდან ნასესხებ კავშირს, იგი დროის გარემოებითი დამოკიდებულ წინადადებაებთან დავადასტურეთ:

„**ე გ ე რ** ახმატქე მა ვარ ემჭოფატუკო თი-ჩქიმი გომდინარე მა!

ბზოანტი (დიუმეზ. I, 121) „თუ ახმეტმა მე არ მეშინიაო, თავს დავიღუპავ - მეთქი, ვამზობდი“.

ახლა თურქულის სინტაქსური კვლევების შესახებ ლაზურში. ნ. მარი აღნიშნავდა: „ჭანურის სინტაქსის ყველაზე უფრო ორიგინალური მოვლენა დამოუკიდებელი კონსტრუქციებია, სახელდობრ, გარემოებით წინადადებათა გამოხატვა კავშირის გარეშე; ეს კი დაფუძნებულია შესაძლებლობაზე, მორფოლოგიურად გამოიხატოს ერთსა და იმავე სიტყვაში ერთდროულად მიმართება დროსთან, პირთანაც და ადგილთანაც“ (2, 79); იქვეა: „სქოლასტიკური გრამატიკის ყველასათვის გასაგებ ენაზე ეს ნიშნავს, რომ ჭანურში ზმნური ფორმები ... იბრუნვიან“.

არნ. ჩიქობავას აზრითაც, ჭანურის ბრუნვის პროცესთან დაკავშირებით აღსანიშნავია „...ერთი თავისებური მოვლენა: ბრუნვის დაბოლოებას ხშირად დაირთავს ზმნის ფორმა“ (3, 63).

ამის მაგალითად არნ. ჩიქობავას მოჰყავს ზემოთ მოყვანილი ფორმების ანალოგიური ნიმუშები და განაგრძობს: „სხვა ბრუნვის დაბოლოებაც შეიძლება ვიპოვოთ ზმნის ბოლოს“ (3, 64). მოყვანილია ასეთი ნიმუშები:

1. ციდეს, ციდეს დო ფადიშაჲ ოხორი **ნ ა ხ ო ლ უ ტ ე-შ ა**, თოლჩიქ უწყუჩი დერემენჯის (ჩიქ., II,97) „იარეს, იარეს და ხელმწიფის სახლს **მ ი უ ა ხ ლ ო ვ დ ე ბ ო დ ნ ე ნ ა მ დ ი ს** მელიამ უთხრა მეწისქვილეს“, ე.ი. „სანამ ხელმწიფის სახლს მიუახლოვდებოდნენ, მანამდის უთხრა მელიამ...“

2. თანგრქი მერჟუ ჰე კოჩის, **ნ ა - გ ე ტ კ ო ჩ ე ს - შ ე ნ ი** (ჩიქ. I, 43) „ღმერთმა მისცა ამ კაცს იმისათვის, რომ ის გააგდეს“ (ზედმ. „**რო მ გა ა გ დ ე ს - ი ს ა - თ ვ ი ს**“)

3. ასლანიშ ბექე-თი, დივეფექ-ნა **ი მ ხ ო რ ტ ე ს - კ ე ლ ე**, ოჭკომს ქოგომჭკუ (ჩიქ., II, 38) „ლომის ბიჭმაც დაიწყო **ჭ ა მ ა ი ქ ი თ კ ე ნ**, საითკენაც დევები ჭამდნენ“ (ზედმ. „დევები რომ **ჭ ა მ დ ნ ე ნ - კ ე ნ**“...)

4. წკარი **ტ უ ბ უ ტ ა-შ ა ქ ი ს** მქვერი... ეშებმერთ დო ონცორუს ქოგებობლამთ (ჩიქ., II,61) „სანამ წყალი გათბებოდეს (ზედმ. „წყალი **გ ა თ ბ ე ბ ო დ ე ს - ა მ დ ი ს**“) ფქვილს (ზედმ. „ფქვილი“) ამოვიღებთ და საცერზე დავყრით“.

<sup>1</sup> საილუსტრაციო მასალა მოგვყავს წიგნიდან: ვ. ახალაია, ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები, თბ.

(1.) - შ ა მიმართულებითი ბრუნვის ფორმანტია ზანურში; (2.) - შ ე ნ ი „რადგანაც“ კავშირის მაგივრობას ეწევა; (3.) „-კ ე ლ ე უდრის ქართულ - კ ე ნ („კერძ“) თანდებულს: ... დაერთვის ნათესაობითსა და დაშორებითს“ (3, 66); - შ ა ქ ი ს რთულია: - შ ა (მიმართ. ბრუნვის ნიშანი) + -ქ ი ს „მდის“ (3, 66).

ზმნის ფორმა დაირთავს ბრუნვის დაბოლოებასო, არნ. ჩიქობავა რომ ბრძანებს, მხედველობაშია პ ი რ ო ვ ა ნ ი ფ ო რ მ ა. ამის ნიმუში ქართული სინამდვილიდანაცაა ცნობილი:

„... **გამიხარდი** და **ვიცი** ორივე ზმნაა, რადგანაც მათ ასეთი პარალელური ფორმები მოეპოვება: **გამიხარდი**, **გამიხარდა**; **ვიცი**, **იცი**, **იცის** და სხვ. მაგრამ „გამიხარდი“ სახელია ამ შემთხვევაში: „ხევსურები ვაჟს სახელად **გამიხარდის** აც არქმევენ“, „ვიცი-მეთქი, ერთხელ წამომცდა, ამ **ვიცი** მ დამლუპა - აქ „ვიცი“ ზმნის ფორმაა, სახელსავით წინადადების წევრად (სუბიექტად) გამოყენებული და მოთხ. ბრუნვაში დასმული“ (10, 66).

სარწმუნო ნიმუში იმისა, რომ ზმნის პირიანი ფორმა შეიძლება იბრუნვოდეს და იმავდროულად თანდებულსაც ირთავდეს, ქართულშიცაა:

„... **ა ა ჯ ლ ი ჩ ე**-ს შესახებ იმავე სულხანს ნათქვამი აქვს: „**შეაგლიჯეს ა ვ ი თ**“. „შეაგლიჯე“ კი ბრძანებითი კილოს ფორმაა მეორე პირისა. აი, ეს ფორმა სახელის ფუნქციით არის აღებული, მიცემითშია დასმული და დართული აქვს „ვით“: **შეაგლიჯეს ა-ვ ი თ** (9, 77)

**შეაგლიჯეს ა-ვ ი თ** რიგის შემთხვევებში „ქართული ენის კილოკავებში - **ვ ი თ** თანდებულს გარკვეული ნიუანსები შეაქვთ ზმნის მნიშვნელობაში - იგი თავისი ფუნქციით სიტყვათწარმოების სუფიქსებს ედრება (10,96).

აღნიშნავენ, რომ ასეთი მოვლენა ქართულის დიალექტთაგან დასტურდება თუშურ, მთიულურ და გურულ დიალექტებში, სათანადო მაგალითები დაიძებნება, აგრეთვე, ქართულურში, კახურსა და ლეჩხუმურში (10,96).

ასე რომ, ჭანურის ის თავისებურება, რაც ზმნის პირიან ფორმაზე ბრუნვის ნიშნისა და თანდებულის (ან ნაწილაკთა) დართვითაა გამოწვეული, ქართულ დიალექტთათვის არ ყოფილა უცხო. ამდენად, ასეთი წარმოება ქართულში (resp. ქართველურ ენებში) პოტენციურად, ჩანს, არსებობდა, რომლის ფაქტიური რეალიზაციაა ზემოთ მოყვანილი შემთხვევები.

საკითხავი ისაა, ეს თვით ქართულის ნიადაგზე წარმოჩნდა, თუ სხვა რომელიმე ენის გავლენით. ამ კონტექსტში საინტერესოა ს. ჯიქიას შეხედულება, ჭანურის ზემოთ განხილული შემთხვევები **თურქულის კალკიაო** (11,369-377). აქ შევჩერდებით მკვლევარის თვალსაზრისზე ჭანურში დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადების ჩამოყალიბების თაობაზე.

ს. ჯიქია წერს: **ლაზური კ უ ლ ე** ნათესაობითს ითხოვს... თურქულში დროის [გარემოებით] დამოკიდებული წინადადების ამ ტიპს ის თავისებურება ახასიათებს, რომ ყოველთვის **ზმნის ფუძისგან ნაწარმოები** -dik ფორმისაგან შედგება; ეს ფორმა დაწყ. ბრუნვაშია **zonra** თანდებულთან დაკავშირებით“. (11,371; ხაზგასმა ჩვენია -ვ.ა).

თურქულში ზმნის ფორმაა დაწყ. ბრუნვაში (თანდებული ითხოვს ამას), ხოლო ჭანურში კი უკუღე (ოკულე, ეკულე) ზმნისართები, რომლებიც თანდებულის ფუნქციასაც ითვისებენ, თვით შეიცავენ დაწყებითობის გამომხატველ **-ლე** აფიქსს (12,65). მაგრამ ჭანურში მთავარი ისაა, რომ აქ ასეთი **ფორმები ზმნის ფუძისაგან არაა ნაწარმოები (იგი პირიანი ფორმებისაგანაა)**; მეტიც, -შკულე რიგის მწარმოებლები ჯერ გაფორმდნენ სახელთან (მართავენ სახელს ნათესაობით ბრუნვაში), შემდეგ არიან ზმნის პირიან ფორმებთან გადანაცვლებული.

აქ უპირიანია გავიხსენოთ ზანური ენის მეგრული დიალექტის ზემოთ მოყვანილი ვითარება, სადაც **უკული** დასტურდება ოდენ ცალკე მდგომ თანდებულად (ასევე ზმნისართადაც): ჭიჭე **ხანი-ში უკული** ხოლო ქიდიმახე შხვაქე (მეგრ., II, 12) „ცოტა **ხნის შემდეგ** კვლავ დაიძახა სხვამ“.

მეგრული დიალექტი ხანი-ში უკული „ხნის შემდეგ“ ტიპის წარმოებაზე შეჩერებულა... ჭანურში პროცესი კი, როგორც ვნახეთ, ბოლომდეა მისული; ამიტომაც აღვნიშნეთ ზემოთ: ჭანურში ანალიზური წარმოება სინთეტურითაა შეცვლილი. აქ, კი, რა თქმა უნდა, თურქულს შეეძლო მოეხდინა გავლენა და, ამდენად, მის კალკზეც გვესაუბრა, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, ეს ენაში არსებული პოტენციის გამოვლინება იყოს.

ანალოგიურ ვითარებაშია დღეს ქართულს მოწყვეტილი ფერეიდნული, რომელშიც „განსაკუთრებით ჩანს სპარსულის ზეგავლენა ფრაზების წარმოებაში. ხან სპარსული და ქართული სიტყვა ქმნის ფრაზას, ხან ქართული ან არასპარსული სიტყვებია აღებული, მაგრამ ფრაზა სპარსულ ყაიდაზეა გამართული: ვაჭრობა ვქნათ (= ვივაჭროთ)“ (13, 218).

ს. ჯიქიას შეხედულება, თურქულში „დროის დამოკიდებული წინადადების“ შესახებ კორექტივს მოითხოვს, რადგან, მისივე განცხადებით, თურქულ ენას „...**კ ი პ ო ტ ა ქ ს უ რ ი** წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ა რ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ს და, ამდენად მაკავშირებელი სიტყვები „რომ“, „რომელიც“, „რადგანაც“, „ვინაიდან“ და



მისთანანი თურქულს არ გააჩნია (გვიანდელი ნასესხობანი ენის ბუნებას ამ შემთხვევაში ვერ განსაზღვრავს). ამ ვითარების ერთგვარი კომპენსაციაა ის გარემოება, რომ თურქულს მოეპოვება მნიშვნელოვანი რაოდენობით გრამატიკული კატეგორიები (აბსოლუტივები, მიმდებარეობები, ე.წ. dik და -acak ფორმები), რომლებსაც მაკავშირებელი სიტყვების გარეშე შეუძლიათ გამოხატონ ჰიპოტაქსურ წინადადებათა შინაარსი“ (11, 369-370; დაყოფა ჩვენია -ვ.ა.).

ის, რაც თურქული ენის მიმართ აქ ითქვა, საზოგადოდაა დამახასიათებელი ისეთი ენებისათვის, რომელთაც ჰიპოტაქსური კონსტრუქციები არ განვითარებიათ. მაგალითად, დაღესტნურ თუ ნახურ ენათათვის. აი, რაა ნათქვამი ამის შესახებ ხუნძურ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაზე:

„ერთი და იმავე აზრის სინტაქსურად გამოხატვის ამ ორი სხვადასხვა შესაძლებლობიდან (მარტივი ან რთული წინადადების საშუალებით) ხუნძურს მოეპოვება გამოხატვის ერთადერთი საშუალება (მარტივი წინადადების საშუალებით)... ასეთ მარტივ წინადადებაში ბუნებრივად მონაწილეობს მიმდებარეობის, აბსოლუტივის, მასდარის და სხვა ფორმები, რომლებიც თავისი შინაარსით ეტოლება დამოკიდებული წინადადების ზმნას მასთან ხმარებული მაქვემდებარებელ კავშირთან ერთად“ (14,69).

ნახურ ენათა სინამდვილეშიც ასეა, ოღონდ აქ „ბაცბური და პანკისის ქისტური ქართული ენობრივი კოლექტივის გარემოცვაშია მოთავსებული, სახელმწიფოებრივ დაწესებულებებსა და სკოლაში ქართული ენაა გამოყენებული. ამიტომ აღნიშნული მეტყველება განიცდის როგორც ქართული ენის დიალექტების, ისე სალიტერატურო ქართულის დიდ გავლენას. ჰიპოტაქსის ჩამოყალიბება ბაცბურსა და პანკისის ქისტურში ქართული ენის გავლენით უნდა აიხსნას“ .

ეს გასაგებია, ბაცბურისა და პანკისის ქისტურისათვის ჰიპოტაქსური კონსტრუქცია არ იყო ნიშანდობლივი, როგორც ნახურ ენათა წევრთათვის, მაგრამ დაიწყო იმდენად, რამდენადაც ქართული ენის გავლენის ქვეშ მოექცა. მაშასადამე, ჭანურში თურქულის „დროის დამოკიდებული წინადადების“ ბადალი კონსტრუქცია ვერ მოგვეცემა რთული ქვეწყობილის სახეს, რადგან თურქულისათვის ჰიპოტაქსი საერთოდ უცხოა.

ამდენად, - **შ კ უ ლ ე (-ჭ კ უ ლ ე, -შ ქ უ ლ ე)** ფორმატიანი კონსტრუქციების ადგილი მარტივ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი ა; მაგალითად, წინადადება **ხ ო მ ბ ა შ კ უ ლ ე** დომჯახარე „როცა გაშრება, დავბეგვავ [კვეს]“ კი არაა, არამედ „გაშრობის შემდეგ დავბეგვავ [კვეს]“ გახლავთ და **ხ ო მ ბ ა შ-შ კ უ ლ ე** სინტაქსის თვალსაზრისით დროის გარემოებაა.

ამის დამადასტურებელია - **შ კ უ ლ ე (-ჭ კ უ ლ ე, -შ ქ უ ლ ე)** სხვა მეტყველების ნაწილებთან, სადაც ასეთი ფორმა დროის გარემოებაა.

დო მციქა **ჩ ქ ვ ა-შ კ უ ლ ე** ჩობანი ქომობთუ მჩხუფეთე ბარაზე „და ცოტა **ხ ნ ი ს შ ე მ დ ე გ** (ზედმ. „სხვის შემდეგ“) მწყემსი მოვიდა ცხვრებთან ერთად“.

**ჭ უ მ ა ნ ი-შ კ უ ლ ე** ონდლეი ენ „დილის შემდეგ შუადღე არის“, არ **ს ა ა თ ი-შ კ უ ლ ე** დოთანუ „ერთი საათის შემდეგ გათენდა“.

ყველა შემთხვევაში -**შ კ უ ლ ე (-ჭ კ უ ლ ე, -შ კ უ ლ ე)** ფორმანტიანი ფორმები სინტაქსურად მარტივი წინადადების წევრებია - დროის გარემოებაა:

„ხნის შემდეგ“, „დილის შემდეგ“, „ერთი საათის შემდეგ“ ჩვეულებრივი კონსტრუქციაა ქართულსა და ზანურში. ქართულში ანალიზური წარმოებაა, ზანურის მეგრულ დიალექტშიც ასეა, მხოლოდ ჭანურია, სადაც ანალიზური წარმოების გვერდით განვითარდა სინთეტური წარმოებაც და, რაც მთავარია, ის ზმნის პიროვან ფორმებს განუვითარდათ. ჩანს, აქაა გარკვეული გავლენა თურქულისა, თუმცა არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ჭანურში, ერთი მხრივ, ტენდენციაა რთული ფორმის (მაგ., სუმ დლა-ში უკულე „სამი დღის შემდეგ“) გამარტივებისა (დლა-შკულე „დღის შემდეგ“) და, მეორე მხრივ, ტენდენციაა უნიფორმაციისაკენ (ზმნის პირიანი ფორმა ისევე იქცევა, როგორადაც სხვა მეტყველების ნაწილები - ფუნქციურად არსებითი სახელია).

ამიტომაც, როცა უნიფორმაციის ტენდენციაზე ვსაუბრობთ, უპირველესად მხედველობაში გვაქვს იმ ენობრივი პოტენციის არსებობაზე ჭანურში, რის რეალიზაციას შეუწყო ხელი, ჩანს, თურქულმა, რომელიც აქ უფრო ენობრივი კატალიზატორის როლში მოგვევლინა: თურქული ენის სტრუქტურამ, შესაძლებელია, დააჩქარა ლაზურში ასეთი ცვლილებები.

რაც შეეხება თურქულ-ლაზურ ლექსიკურ ურთიერთობებს, საენათმეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ თურქული სახელები ლაზურის ორგანულ ნაწილად ვერ იქცა, ვინაიდან არ დაექვემდებარა ლაზური ფონოტაქტიკის მოქმედებას; რაც შეეხება ზმნას, ის სავსებით ჩაჯდა მსესხებელი ენის გრამატიკულ ყალიბში. არსებითად გამოვლინდა თურქულიდან ნასესხები ზმნების წარმოების სამი ტიპი:

I - თურქული ზმნები, რომელთაც „ლაზური პრეფიქს-სუფიქსალური წარმოება აქვთ: ო-ჩალიშ-უ „მუშაობა“, II - შედგენილი ზმნები, რომელთა თურქულ სახელად ნაწილს ემატება ლაზური დამხმარე

ზმნა: ინნადი ოხვენუ „გაჯიუტება“, III - შედგენილი ზმნები, რომელთაც სახელადი ნაწილისაგან ნაწარმოები აქვთ ზმნები, მაგრამ ზმნური ნაწილი აღარ ახლავთ: ოხეზმეტუ „მოვლა“ /hizmet etmek/.

#### ლიტერატურა:

1. ნ. ქუთელია, ფონეტიკური ევოლუცია და ფონოტაქტიკა, კრებულში: ქუთაისური საუბრები - VI, ქუთაისი, 1999.
2. Н.Я Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, с П. Б., 1910.
3. არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბ. 1936.
4. Е. Ф. Джейранашвили, Рутульский язык. – ЯН СССР, IV, М., 1967.
5. Е. Ф. Джейранашвили, удинский язык., ЯН СССР, IV, М., 1967.
6. А. А. Магаметов, Табасаринский язык, АН СССР. IV, М., 1967.
7. Ю. Д. Дешериев, Хиналугский язык, А.Н. СССР, IV, М., 1967.
8. П.К. Услар, Этнография Кавказа, Языкознание. VI, Кюринский язык, Тифл. 1896.
9. ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.
10. ზ. ჯაფარიძე, -ვით თანდებულის ხმარებისათვის ზმნასთან ქართულში, ქესს, ტ.3, თბ., 1963.
11. ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, 2. თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში. -წგ-ში: ორიონი, აკაკი შანიძეს, თბ., 1967.
12. კ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბ., 1993.
13. არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი -ოსუ-ის მოამბე, ტ.7, თბ., 1927.
14. არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბ., 1961.

### TURKISH LINGUAL ELEMENTS IN THE LAZ LANGUAGE Vianor Akhalaia, Gori State Teaching University, Full Professor RESUMÉ

The Turkish influence on the Laz language got revealed through lexical units and syntactical vellums; some of them are represented in the following work.

#### თურქი სტუდენტების მიზნები, მიღწევები და მოტივაცია შავი ზღვის უნივერსიტეტში

*ირინა ბახტაძე*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

1990-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, დაიწყო ახალი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება სხვა ქვეყნებთან. თურქეთის რესპუბლიკა ერთ-ერთი პირველი იყო, რომელთანაც საქართველომ მჭიდრო პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები დაამყარა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი დღეს იმის მაგალითია, რომ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობები განვითარების ახალ ეტაპზეა ასული.

1992 წელს მიღწეული გადაწყვეტილებამ დაარსებულიყო ერთობლივი უნივერსიტეტი ხელი შეუწყო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს (შზსუ) ჩართულიყო საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში. 1995 წელს იგი გაიხსნა ერთი - ბიზნესის მართვის ფაკულტეტით და ჩაირიცხა 19 სტუდენტი - 15 თურქი და 4 ქართველი; დღეს-დღეობით კი აქ სწავლას ეუფლება 1150 სტუდენტი 56 აკრედიტირებულ პროგრამაზე სწავლების სამივე დონეზე.

21-ე საუკუნის დასაწყისში შზსუ არაერთ ფუნქციას ასრულებს: უპირველესყოვლისა იგი ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტი არა მხოლოდ საქართველოში არამედ შავი ზღვის რეგიონში; იგი არის ხიდი ორ კულტურას შორის სადაც სტუდენტები, მეცნიერები და პოლიტიკოსები ხვდებიან და ხდება


აზრების ურთიერთგაცვლა. უნივერსიტეტი არის ინიციატორი სამეცნიერო დისკუსიებისა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე როგორც არის უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში, გლობალიზაცია, დიალოგი ცივილიზაციათა შორის, და სხვა.

სტატის მიზანია გააანალიზოს შავი ზღვის უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი ასპექტები და წარმოაჩინოს თურქი სტუდენტების წარმატებები და მათი მიღწევები უნივერსიტეტის მიღმა. ჩვენი მრავალნაციონალური შავი ზღვის უნივერსიტეტი არის ადგილი, სადაც დაიწყო ცივილიზაციათა შორის დიალოგი დამოუკიდებელ საქართველოში. იგი აძლევს შესაძლებლობას სტუდენტებს სხვადასხვა ქვეყნიდან იპოვონ საერთო საფუძველი კონსტრუქციული დიალოგისათვის და მიაღწიონ მშვიდობიან თანაარსებობას. თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ჰუმანისტი და ინტელექტუალი ფეთჰულაჰ გიულენი არის იმ მოძრაობის ლიდერი, რომელიც ამკვიდრებს ერთა შორის პატივისცემას, ტოლერანტობას, სიყვარულსა და მოუწოდებს ადამიანებს მაღალი მორალური ღირებულებების დამკვიდრებისაკენ. მისი იდეოლოგია ძირითადად ეყრდნობა სხვადასხვა რელიგიებსა და ცივილიზაციათა შორის მშვიდობიან თანაარსებობას. თურქული ჩაღლარის საგანმანათლებლო სკოლებისა და ინსტიტუტების ქსელის არსებობა მთელს მსოფლიოში ამ ფილოსოფიის კარგი დემონსტრირებაა. შხსუ, რომელიც თავის მეთოთხმეტე გამოშვებას იძღვსასწაულებს 2012 წლის გაზაფხულზე, დაარსდა და კვლავ აგრძელებს იყოს ამ პრინციპების ერთგული. სტატის მიზანია გააანალიზოს თურქი სტუდენტების მიზნები და მის კულტურულ, სოციალურ და აკადემიურ მხარეზე გაამახვილოს ყურადღება.

ჩვენი უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურა მაღალ ეთიკურ და მორალურ ნორმებს ეყრდნობა. პირველ რიგში, იგი სენსიტიურია გენდერული საკითხების მიმართ და სათანადო კლიმატს ქმნის თურქი სტუდენტი გოგონებისთვის. უნივერსიტეტი ერთგულია ფეთჰულაჰ გიულენის იდეებისა, რომელიც ცდილობს მიაგნოს გონივრულ გადაწყვეტას დემოკრატიისა და ისლამის თანაარსებობისა და გაემიჯნოს ისლამურ რადიკალიზმს. თურქი სტუდენტი გოგონები წარმატებით აგრძელებენ სწავლას უნივერსიტეტის სამაგისტრო და სადოქტორო კურსებზე. გენდერული პოლიტიკა აქტიურად ტარდება თანამშრომლების შერჩევის კუთხითაც. დღესდღეობით ხუთი თურქი ქალი თანამშრომელი (უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტები) წარმატებით აგრძელებენ მოღვაწეობას სხვა ეროვნების თანამშრომლებთან ერთად.


2009-2012 წლებში კურდამთავრებულ თურქებს შორის ბიჭი სტუდენტები (78%) წარმოდგენილია უმრავლესობაში გოგონებთან შედარებით (22%). მიმდინარე სასწავლო წელს გოგო სტუდენტები სწავლობენ ბიზნესის (3), ტექნოლოგიის და საინჟინრო (4), ჰუმანიტარულ (3), სოციალური მეცნიერების (6) ფაკულტეტებზე. ჩემი რვა წლის პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე შხსუ-ში საშუალება მომეცა დავეკვირვებოდი თურქი გოგონა სტუდენტების მიერ მიღწეულ პროგრესს საბაკალავრო სწავლების დონეზე. ისინი კლასში არ გამოირჩევიან მაღალი აქტივობით, არ არიან დისკუსიებში მაქსიმალურად ჩართულები, და მაინც ისინი ეტაპობრივად აუმჯობესებენ თავიანთ სწავლის უნარ-ჩვევებს, აგრეთვე პრეზენტაციისა და წერის ხარისხს. მეოთხე, დამათავრებელ კურსზე, ისინი წარმატებით ართმევენ თავს საბაკალავრო 35-გვერდიანი სადიპლომო ნამუშევრის შესრულებას და საჯარო დაცვას. მათ მიერ მიღწეული შედეგები საშუალოდ უტოლდება 80-85 ქულას, ცალკეულ შემთხვევაში კი იმსახურებენ კომისიის უმაღლეს შეფასებას.

სქემა 1. კურსდამთავრებულთა რაოდენობა 2009-2012 წლებში გენდერის მიხედვით



თუმცა პირველ გამოშვებაში თურქი სტუდენტები პროცენტულად სჭარბობდნენ ქართველ და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს (19:4), 2002-3 წლებში თურქი და ქართველი სტუდენტების შეფარდება თითქმის ტოლი იყო, ხოლო მომდევნო წლებში მკვეთრად იმატა ქართველმა და სხვა ეროვნების სტუდენტებმა და შესაბამისად შეიცვალა პროცენტული მაჩვენებელი. 2008 წელს შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტების კურსდამთავრებულთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა.


სქემა2. შხსუ კურსდამთავრებულთა რაოდენობა 1999 – 2008 წლებში




ამჯერად უნივერსიტეტში ირიცხება 1150 სტუდენტი სწავლების სამივე საფეხურზე. მიმდინარე პერიოდში უნივერსიტეტის მთლიანი სტუდენტების მხოლოდ 15% შეადგენენ თურქები. რა არის ასეთი ტენდენციის მიზეზები? ჩემი პირადი შეხედულებაა, რომ უნივერსიტეტი, რომელმაც ასეთ წარმატებებს მიაღწია ბოლო წლებში და საკმაოდ პოპულარული გახდა შავი ზღვის რეგიონში, უნდა იყოს მიმზიდველი ბევრი თურქი სტუდენტისთვის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შხსუ-ს სტუდენტები წარმატებით აგრძელებენ სწავლას უმაღლეს საფეხურზე საქართველოს ან სხვა უნივერსიტეტებში, ევროპაში, ამერიკაში; ასევე წარმატებით საქმდებიან. ამდენად, მიზეზები თურქეთიდან სტუდენტების

დენადობის ნაკლებობის უფრო სხვაგან უნდა ვეძებოთ. ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ენის ბარიერი. უნივერსიტეტში სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. ხოლო თურქი სტუდენტებს, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არ აქვთ კარგი საბაზისო მომზადება ინგლისურ ენაში და უხდებათ ენობრივი ბარიერის გადალახვისათვის სერიოზული მომზადება. ხშირად ეს ხდება ჩვენი უნივერსიტეტის მოსამზადებელ ფაკულტეტზე, რომელიც გაიხსნა დაარსების წელსვე და მას შემდეგ ეფექტურად ემსახურება ამ პრობლემის გადაჭრას. მოსამზადებელ ფაკულტეტზე წელს ირიცხება 99 სტუდენტი, რომელთაგან მხოლოდ სამია არა თურქი ეროვნების. მოსამზადებელი ჯგუფების დონე განსხვავდება, ისევე, როგორც სტუდენტების შედეგები. ქვემოთ წარმოდგენილ სქემაზე ჩანს, თუ როგორი მიღწევები ჰქონდათ საშუალოდ თურქ სტუდენტებს მოსამზადებელ ფაკულტეტზე 2010-2011 წლებში. სქემა ჩანს რომ, 2010-ში თურქი სტუდენტების 81% წარმატებით ჩააბარა გამოცდა. აღსანიშნავია პროგრესი წინა წელთან შედარებით, როცა მხოლოდ - 71% გადალახა ბარიერი წარმატებით.

სქემა 3. ინგლისურის მოსამზადებელი კურსდამთავრებულთა მიღწევები 2010- 2011 წლებში



უნივერსიტეტის დაარსებიდან დაწყებული თურქ სტუდენტთა რაოდენობა მოსამზადებელ ფაკულტეტზე მუდმივად იზრდებოდა, ხოლო 2011-2012 წლებში მიაღწია 90-ს. მათ, ვინც წარმატებით ჩააბარა ფინალური გამოცდები ჩაირიცხა შსსუ-ში. აღნიშნული ტენდენცია სავარაუდოდ უნდა გაგრძელდეს შემდეგ წლებშიც. უნივერსიტეტი ატარებს საერთაშორისო განათლების უმაღლეს სტანდარტებთან მაქსიმალურად მიახლოების პოლიტიკას და ეს პოლიტიკა კიდევ უფრო გაძლიერდება უახლოეს წლებში.



რატომ არის შხსუ მიმზიდველი, როგორც უმაღლესი განათლების კერა თურქი სტუდენტებისათვის?

უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტი სთავაზობს მაღალი ხარისხის უმაღლეს განათლებას, იგი სამ საუკეთესო უნივერსიტეტებს შორის არის საქართველოში, მაღალი რეიტინგი აქვს შავი ზღვის რეგიონში და კონკურენციას უწევს ევროპისა და თურქეთის უნივერსიტეტებს სწავლების ხარისხით, პედაგოგიური კადრებით და სამეცნიერო პოტენციალით, რისი დადასტურებაც არის ყოველწლიური საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციები, რომლებსაც ტრადიციულად მართვას უნივერსიტეტი და სულ უფრო მეტ პუპოლარობას იძენს საერთაშორისო მასშტაბით.

უნივერსიტეტი სწრაფი ტემპით ვითარდება, სწავლების საფასური ბევრად ნაკლებია ვიდრე თურქეთის კერძო უნივერსიტეტებში, და ეს არ ხდება სწავლების ხარისხის ხარჯზე. საქართველოს, როგორც თურქეთის მეზობელ ქვეყანას, დიდი უპირატესობა აქვს თურქი სტუდენტების მოზიდვის თვალსაზრისით. მტკიცე პოლიტიკური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის, უაღრესად სასურველი კლიმატური პირობები, იაფი ბინის ქირა და საცხოვრებელი ხარჯები, აგრეთვე, ხელსაყრელი ბიზნეს გარემო ბიზნეს საქმიანობის დასაწყებად, და სხვა შესანიშნავი პირობებია თურქი სტუდენტების მოსაზიდად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა თურქმა შხსუ კურსდამთავრებულმა წამოიწყო მცირე ბიზნესი საქართველოში, ან ჩაება მისი თანამემამულეების ბიზნესში და წარმატებით აგრძელებს საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე. მათ წარმატებას ხელს უწყობს აგრეთვე ისიც, რომ ისინი საკმაოდ კარგად ეუფლებიან სალაპარაკო ქართულ ენას უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში. აქ შეძენილი კონტაქტები, აგრეთვე ქართული კულტურის ადათ-წესების გაგება და შეთვისება შემდგომ ეხმარებათ წარმატების მიღწევაში.

ჩვენი უნივერსიტეტი საუკეთესო პირობებს სთავაზობს კურსდამთავრებულებს აკადემიური კარიერის წარმატებით გაგრძელებისთვის. ამჟამად, ექვსი ჰუმანიტარული ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტი, რომლებმაც დაამთავრეს ამერიკისმცოდნეობის ბაკალავრიატი, წარმატებით აგრძელებს სწავლას განათლების სამაგისტრო პროგრამაზე (3 სტუდენტი), და სადოქტორო პროგრამაზე (3 სტუდენტი).


დასაქმების თვალსაზრისით, თურქი კურსდამთავრებულთა შესაძლებლობები საკმაოდ მაღალია. ისინი იწყებენ თავიანთ კარიერას ჩაღლარის ქსელის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, ჩვენს უნივერსიტეტში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ბანკებში და კერძო სექტორში. მაგალითად, სამ თურქ პროფესორს, რომლებმაც საქართველოში დაიცვეს სადოქტორო დისერტაციები, ხელმძღვანელი პოზიციები უკავით შავი ზღვის უნივერსიტეტში.

სისტემატიური ხასიათს ატარებს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლა ამერიკის და ევროპის უნივერსიტეტებს სორის.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ოჯახებით სახლდება საქართველოში, უმეტესად თბილისში, აგრეთვე ქუთაისსა და ბათუმში, რაშიც ხელს უწყობს ხელსაყრელი საცხოვრებელი პირობები, სტაბილური პოლიტიკური ვითარება, კარგი თურქული სკოლები, მოქალაქეების ტოლერანტული განწყობა და მეგობრული ურთიერთობები კოლეგებთან, ჯანსაღი საკვები და გაადვილებული კომუნიკაცია (უვიზო მიმოსვლა) თურქეთთან. არაოფიციალური ინტერვიუების დროს თურქმა სტუდენტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ყველაზე დიდი როლი მათ ინტეგრაციაში ითამაშა შხსუ-ს საორგანიზაციო კულტურამ, რომელიც ეფუძნება თურქ და ქართველ სტუდენტებს შორის ნდობის და მეგობრობის მტკიცე საფუძვლების ჩაყრას. ხალხური დიპლომატია დღესდღეობით უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სტაბილური, მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებაში ხალხთა შორის. ერთ-ერთი სწორედ ეს ფუნქცია აკისრია დღეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს.


შხსუ თურქი სტუდენტების სწავლისა და აკადემიური მიღწევების შესახებ მოძიებული მონაცემების საფუძველზე შევადგინეთ ცხრილი რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ არიან გადანაწილებულნი ფაკულტეტების მიხედვით. სტუდენტთა ყველაზე დიდი რაოდენობა (28) სწავლობს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ხოლო მას მოსდევს კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო ფაკულტეტი - 20 სტუდენტი.

სქემა 5. შხსუ თურქი სტუდენტები ფაკულტეტების მიხედვით 2009-2012 წლები.



კვლევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა თურქი სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას. დეტალურმა შესწავლამ გვიჩვენა რომ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების GPA მერყეობს 50,86 - 92,31 შორის, ამდენად საშუალოდ მივიღეთ - 77.

წარმოდგენილ სქემაზე ნაჩვენებია თურქი სტუდენტების აკადემიური მოსწრება ფაკულტეტების მიხედვით.



შევისწავლეთ აგრეთვე თურქი სტუდენტების GPA დინამიკაში. მონაცემები სტაბილური იყო 2004-5 წლებამდე, ხოლო შემდგომ წლებში გვაქვს მნიშვნელოვანი ზრდა. კომპიუტერული და საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტების GPA არის ყველაზე მაღალი და უტოლდება 1541,41. შემდეგი ყველაზე მაღალი მოსწრება აქვთ ამერიკისმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს რომელთა უმრავლესობაც, უნდა აღინიშნოს, არიან გოგონები, რადგან დასახელებული მიმართულება მეტად პოპულარულია თურქ გოგონათა შორის. შსს-ის სწავლების მეთოდები, კურიკულუმი, პროგრამის სპეციფიკა, პედაგოგების გულისხმიერება და თანადგომა ეხმარება მათ გადალახონ კულტურული ბარიერები, შეითვისონ სწავლის ახალი უნარ-ჩვევები, გაიზარდნენ პიროვნულად და ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად.

როგორც უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწემ, თანამარინა ყიფიანმა განაცხადა თავის ინტერვიუში, მისია რომელსაც შსს ემსახურება გაცილებით დიდია ვიდრე ეს შეიძლება აისახოს კონკრეტულ მიღწევებში. მისი უდიდესი ღირებულება გარდა ხარისხიანი უმაღლესი განათლების უზრუნველყოფისა უდაოდ არის ხალხთა შორის მეგობრობის ხიდის გადგმა, რომელიც ემსახურება მშვიდობისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას. უნივერსიტეტის შედეგები უნდა განვიხილოთ ისეთ საერთაშორისო საკითხების ჭრილში, როგორცაა: მულტიკულტურალიზმი, გენდერული თანასწორობა, უმაღლესი განათლებადა რეფორმები, ერთა შვიდობიანი თანაარსებობა, რელიგიური ტოლერანტობა, და სხვა მნიშვნელოვანი თემები. შავი ზღვის უნივერსიტეტის ორგანიზაციული კულტურა, ხარისხის მართვა, ეთიკა, მისი სწრაფი განვითარების და გარდაქმნების მექანიზმები სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს რაც ერთობ საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის გამოცდვების გაზიარების თვალსაზრისით.

**ლიტერატურა:**

1. Alasania, Giuli,(2007). “Regional and Global Integration of Georgia”. in journal: II International Forum: Globalization and Dialog between Civilizations. Tbilisi, Black Sea University
2. მაკარაძე, ე. (2008). ფეთქულაჰ გიულენი. თბილისი: ჟურნალ „ახალი ხიდის“ გამოცემა.
3. IBSU, Students’ Affairs Department. Data on students’ graduation, GPA, nationality, achievements.
4. ქეროლი, ჟილ (2009). ცივილიზაციათა დიალოგი: გიულენის ისლამური იდეალები და ჰუმანისტური მოძღვრება. თბილისი: ჟურნალ „ახალი ხიდის“ გამოცემა.



## სოფელი რუისი „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“-ს მიხედვით

*ნინო ბუზიაშვილი*

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის  
სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სპეციალისტი

საქართველოში ხალხის აღწერის გარკვეული წესი არსებობდა. აღწერის წესი სამეფოს ოთხ სადროშოს ან სასარდლოდ დაყოფის პრინციპზე იყო დამყარებული. შესაბამისად ხალხის ან ქვეყნის აღწერაც ოთხ სადამწერო ერთეულად იყო დაყოფილი და მთელი სამეფოს მოსახლეობის აღწერაც ოთხ დავთარში უნდა ყოფილიყო მოთავსებული.

ზემო ქართლის სადროშო მოიცავდა ნემვის, კორტანეთის და ტაშისკართგან გამოყოფილ საამილახვროს. ამ სადროშოს სათავეში „ზემო ქართლის სარდალი“ ედგა. (4 : 25).

საინტერესოა, რომ დაყოფის ეს პრინციპი იქნა შენარჩუნებული ქვეყნის ოსმალურ ყაიდაზე გარდაქმნის შემდეგაც, რაც ნათლად ჩანს „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“... სადაც სოფ. რუისი ჩართულია ამილახვრის მფლობელობაში მყოფი სავაკუფო ჯამში. (1 : 376).

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან წყაროს თბილისის ვილაიეთში შემავალ ცალკეულ რაიონებსა და კონკრეტულ საზღვრებზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში „თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დაცული ცნობები შეიძლება განხილულ იქნეს მრავალმხრივი თვალსაზრისით: ისტორიულ-გეოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სტატისტიკური.

ვიდრე უშუალოდ აღნიშნული დოკუმენტის განხილვას შევუდგებით, მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ოსმალების დაპყრობის შემდეგ ანუ იქიდან, რა დროიდანაც იწყება ე. წ. „ოსმალთა“ და რა შედეგები მოიტანა ჩვენი ქვეყნის განვითარება.

ოსმალთა მოხელეებმა გორის ღვაში სულ აღწერეს 614 სოფლის 15 534 მამაკაცი. უნდა ითქვას, რომ ამ დოკუმენტის შედგენის პრინციპი თითქმის ანალოგიურია ქართული დავთრების აღწერის. მთელ დავთარში წესად არის მიღებული, რომ თითოეული სოფლის მცხოვრებთა სიის ბოლოს მეკომურთა და გადასახადის გადამხდელ მამაკაცთა რაოდენობაა დასახელებული. აღსანიშნავია, რომ ქართული დავთრების აღწერილობის მსგავსად აქაც ყურადღება გამახვილებულია ქართულ სოციალურ სტრუქტურასა და ტერმინოლოგიაზეც. ასე მაგ: სოფ. რუისის მკვიდრი ზაალ ძე ბაჰადურისა – აზნაურია.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სოფ. რუისი შედის გორის საყადიოში შემავალ საამილახვროს ნაჰიში, რომელიც სავაკუფო ჯამია, თბილისში მყოფ რეჯებ ფაშას ხელთაა და მას ექვემდებარება.

ვაკუფი, გ. ფუთურიძის განმარტებით, არის ქონება, რომელიც საქველმოქმედო მიზნით შეიწირებოდა. ვაკუფებს შეადგენდა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ან სულთნის, დიდი ფეოდალების, დიდვაჭრებისა და, საერთოდ, კერძო პირების მიერ შეწირული უძრავი და მოძრავი ქონება საბაჟოს, ქარვასლის, მადაროების, წისქვილების და სხვა შემოსავალი, სახნავ-სათესი მიწები, რომელიც ხმარდებოდა მეჩეთების, დევრიშთა სავანეების, მედრესეების საქველმოქმედო დაწესებულებების, უფასო სასადილოების, სავადმყოფოების მშენებლობასა და შენახვას. ვაკუფების ჩამორთმევა, მიტაცება, გაყიდვა აკრძალული იყო. მისი შემოსავალი არ იბეგრებოდა. (3 : 138).

საინტერესოა აღწერილი რუისის სავაკუფო ჯამის აღწერილობა. შემდეგ მოცემულია ტექსტი ვაკუფების გამრავლებასა და მათ მოვლა-პატრონობაზე. ვაკუფების მფლობელთა უფლება სავაკუფო ქონებაზე და მისი განკარგვისა და მემკვიდრეობით გადაცემის თაობაზე.

„ხსენებული ვაკუფი სამოსელია ჩემი ცხოვრებისა და მმოსავს ვიდრ არ გარდავიცვლები და დავმკვიდრები იმქვეყნიურ სამყოფელში, ხსენებული ვაკუფიდან გადიდდება მემკვიდრეებიდან მემკვიდრეებამდე, შვილებიდან შვილიშვილებამდე, საუკუნიდან საუკუნემდე, ეპოქიდან ეპოქამდე და აღასრულებენ ამ ვალდებულებებს. დარჩენილი თანხა მიეცეს შვილებს თანაბარი განაწილების წესით და გადაეცეთ სამფლობელოთ შთამომავლებს საუკუნიდან საუკუნემდე, ეპოქიდან ეპოქამდე, ვიდრე აღასრულამდე. (1:385)

მას შემდეგ, რაც ოსმალებმა ქვეყანა დაიპყრეს (1724-27), თბილისის ვილაიეთში აქტიურად დაიწყო ვაკუფების შექმნა, რაც მათ საშუალებას მისცემდა ქვეყნის სრული გაოსმალეობისა. ვაკუფების სიმრავლე ამ მოსაზრების ნათელი და რეალური დადასტურებაა. ვაკუფებს განაგებენ

მუსლიმი გამგებლები, რომლებიც არიან „კეთილშობილი და უპატივცემულისი, მფარველი შესაბამისად სარწმუნოებისა და ჭემმარტებისა“. ადგილზე ოსმალურ გადასახადთა აკრეფა ქართული წესის მსგავსად ქალაქის მმართველების ვალის, გამგებლების მიერ ხდებოდა, რაც უმაღლესი ფეოდალური პატივი და თანამდებობა იყო. ისინი სარგებლობდნენ პრივილეგიებით და როგორც ჩანს მათთვის ლოცვის აღმვლენელთა თაობაზე ყოველწლიურად 7,5 ქილა ხორბალს ახდევინებდნენ.

რუისის სავაკუფო გადასახადების ბოლოში ჩამოთვლილია ვაკუფების მფლობელთა სახლების აღწერილობა, რომელიც მოედანზეა გაშენებული და მის შემადგენლობაში შედის ბალი გაშენებული სეიდ აბადში, რაოდენობა 8. აქვე არის პატიოსანი ჯამე (საკრებულო მეჩეთი, რომელშიც საპარასკევო და სადღესასწაულო ლოცვა იმართებოდა უზნების მცირე მეჩეთების მრავალ პარასკევობით ჯამეში იყრიდა თავს და იქ ლოცულობდა) 3: 174 საბძელი სათივე, ფარდული ჩალისთვის, დუქნები არამუსლიმთა გასაჩერებელი ადგილი, უცხოელთა სადგომი. ერთი საჯინიზო ტახტიანი სახლი 3. ზედა სართულიანი სახლი ხუთი კარით და 5 აივნით. შესასვლელი ჰოლი 1.

საინტერესოა, რომ აქვე მოხსენიებულია წყლის მეპატრონეთა კარი სახლის ოდენობა ორი.

როგორც ჩანს განსაკუთრებულ მეთვალყურეს ნიშნავდნენ წყალზე, რომლის შესანახადაც გადასახადებში დასახელებული ხორბალი 7,5 ქილას შეადგენს ყოველწლიურად. „სარჩო წყლის მეთვალყურეთა თაობაზე, სარჩო 10 ხორბალი ყოველწლიურად 7,5 ქილა“ (1:385). აქვე ვხვდებით ფრიად საინტერესო ოსმალურ საგადასახადო ტერმინოლოგიას. ზოგიერთი მათგანი უცნობიც კი იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელთა განმარტებაც, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. ჩამოთვლილია მუსლიმი მოხელეების თანამდებობრივი სია, რომელთა შენახვისთვის „საერთო ჯამი თანამშრომელთა სარჩოს თაობაზე, ხორბალი ქილა 285“ (3:385). იბრაჰიმ ფაშასთვის წყლის არხების შესაკეთებლად, ვეზირ ილჰაჯ რეჯებ ფაშას ნებით, მუთეველის მფლობელს თანხის გაღება ფიქსირებულ იქნა ყურუმში 50, ახჩა 6000. თბილისის და მის შემოგარენში არსებული დიდებული ვეზირის მეცადინეობით, ისჰაკ ფაშას უდიდებულესობის ჯამი შერიფების ხარჯებისათვის, თაფლის სანთელის, ერბოს, სანთელის და განახლებული კანდელების, ცოცხების და ჭილოფების ხარჯებისათვის, ყოველ წლიურად 9400 ახჩა. დიდებული ვეზირის ილჰაჯ რეჯებ ფაშას უწარჩინებულებობის მუთეველის ხელით გაღება. დადასტურებულ იქნა. ყურუმში 78 და მესამედი ახჩა 9400. (1 : 386).

როგორც ჩანს საქმე გვაქვს ოსმალურ ფეოდალურ დამოკიდებულებასთან, სადაც ადგილობრივი მოხელე ანგარიშვალდებულია და ალბათ პასუხისმგებელიც მის სამფლობელოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. „1728 წლის თბილისის ვილაიეთს დიდი დავთრის“ მიხედვით სოფ. რუისის სავაკუფო ჯამის, მფლობელობაში შედიოდა მეზობელი სოფლების სასირეთის და ბეზნისის სათესველი მინდვრები და ექვემდებარება ამილახვარს. სოფ. რუისი კი სავაკუფო ჯამია. იგი თბილისში მყოფი რეჯებ ფაშას ხელთაა და ექვემდებარება ხსენებულს.

რუისის დავთრის დაჯამებაში არის სახლი 200, კაცი 449, ჯამი მარცვლეულისა ისფენჯი კაცი 449 თითოეულს 120. ახჩა 53 880. დავთრის სია წარმოდგენილია არა გვარების, არამედ მამის სახელის მიხედვით. სოფ. სასირეთში გადასახადის გადამხდელთა რაოდენობაა სახლი 2. კაცი 23. ხოლო სოფ. ბეზნისში სახლი 15. კაცი 37. საბოლოოდ რუისის სავაკუფოში შემავალი სოფლებიდან მიღებული გადასახადები „ყველაფერზე“ შეადგენდა 236770 ახჩას დავთრის ამ ფურცლებიდან ირკვევა, რომ აქ განვითარებული იყო მეხილეობა, მებოსტნეობა, მევენახეობა, მარცვლეული კულტურა, მისდევდნენ მეფუტკრეობას, მეცხვარეობას, მესაქონლეობას.

მიუხედავად აღნიშნული მდგომარეობისა „ოსმალის“ დროინდელ ქართლში (რუისი, ბეზნისი, სასირეთი) გლეხობის დიდი უმეტესობა ჩანს ისევ ქრისტიანია, რასაც მოწმობს ფართოდ გავრცელებული გადასახადი „ისფენჯი“ რომლის გადახდა ქრისტიანულ მოსახლეობას ჰქონდა დაკისრებული. წისქვილების ამ რაოდენობით არსებობა კი (21) მიგვანიშნებს ბაზრის მარტივ პრინციპზე: არ არსებობდა მოთხოვნა, ცხადია არც იქნებოდა მათი არსებობის აუცილებლობა.

საინტერესოა, რომ რუისში არ ასახელებენ ეკლესიას, მაშინ როდესაც ბეზნისის სიის ბოლოს მოხსენიებულია ეკლესია, რომელსაც ასევე ახდევინებდნენ გადასახადს.

მნიშვნელოვანია აღწერის ნუსხათა ბოლოში დაფიქსირებული საზღვრის დადგენის პრინციპი, რომელიც ეხება ამ ვაკუფს და მისი საზღვარი ვრცელდება „ავალიშვილის სამფლობელოს ჩრდილოეთ მხრიდან ქვიან ადგილებამდე. იქიდან ამირეჯიბის შვილის სამკვიდრომდე მდებარე სოფელ სავდამინამდე. ერთის მხრივ ქვებიან ბორცვამდე, იქიდან მხრიდან სოფელ სავდამინიდან (?) სოფელ რუისამდე. აქედან ამილახვრის შვილის სოფლებიდან, სოფ. ტინისხიდან აღმართულ ქვიან ბორცვამდე. მის სიახლოვემდე. იქიდან სოფელ ცხინვალამდე და მათ შორის არსებულ

ახალდაბამდე. იქვე სოფლის ეკლესიამდე. იქიდან კი მდინარე მტკვრამდე ვრცელდება სამხრეთით მხარეა. აქ მთავრდება მისი საზღვრები” (1 : 383).

1728 წლის “თბილისის ვილაიეთის დიდ დაფთარში” დაცული ცნობები გვამძლევს საშუალებას მოვლენების სხვა კუთხით შეფასებაში.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას რომ საქმე გვაქვს ოსმალურ ინსტიტუციონალურ რეორგანიზაციასთან, რომელიც შედარებით ლიბერალური და შემწყნარებლურია.

1728 წლის “თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი” კიდევ ერთი უტყუარი დასტურია ზემოაღნიშნული მოსაზრების გასამტკიცებლად.

#### **ლიტერატურა:**

1. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილურებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ (წ. I, თბ., 2009 და წ. II, თბ., 2010).
2. გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI – XVII საუკუნეებში თბ., 1958.
3. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ, II, თბ., 1973.
4. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IV თბ., 1996.
5. ბერძენიშვილი ნ., XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან თბ., 1944.

### **ერთი ისტორიული პასაჟი ჟამთააღმწერლის მატაიანესა და მხატვრულ ტექსტებში**

*თამარ გოგოლაძე*

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ქართული ისტორიული წყაროები და, განსაკუთრებით „ქართლის ცხოვრება“, საუკუნეთა მანძილზე იქცევდა ავტორთა ყურადღებას მომავალი ლიტერატურული ტექსტების შესაქმნელად. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესოა XIII-XV საუკუნეების მემატაიანის, ჟამთააღმწერლის, თხზულება, რომელიც, საინტერესოდ მოგვითხრობს რა აღნიშნულ ეპოქაში მშობლიური ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ამავდროულად იძლევა საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების (კერძოდ, რუმის სასულთანოს) შესახებ საინტერესო ინფორმაციებს. „ჟამთააღმწერლის თხზულება მისი მაღალი ღირსებების გამო ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის შეფასებული პირველხარისხოვან წყაროდ როგორც საქართველოს, ისე მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესასწავლად“. [საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1979:22] ივ. ჯავახიშვილი, ახასიათებს რა ჟამთააღმწერლის თხზულებას, გაცემით შენიშნავს: „ხალხურ ზღაპრებს, „გვართა საქმეებზე“ ზეპირ-გამოცემას, საგმირო პოეზიის ნაწარმოებებს ჩვენი ჟამთააღმწერელი, მამასადამე, ისტორიისათვის დამამცირებლად და უჯეროდ სთვლიდა.

ასეთი მკაცრი მსჯელობის შემდგომ პირდაპირ გასაოცარია, როგორც მოხდა და როგორ შეიტანა მანვე თავის თხზულებაში ის მართლაც-და „ზღაპარნი“, რომელიც მოთხრობილია ლაშა-გიორგის ძისადმი ხაროში მყოფ გველების სიყვარულის შესახებ...“ [ჯავახიშვილი VIII 1977:200]. როგორც პავლე ინგოროყვაც აღნიშნავს: „ჟამთა-აღმწერლის თხზულება ძველი ქართული საისტორიო მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის. იგი შეიცავს უმდიდრეს მასალას მე-13-14 საუკუნეთა ისტორიისათვის, ამასთან, ავტორი დიდი მწერალიცაა, მისი თხზულება დიდი ლიტერატურული ღირსებებითაა აღბეჭდილი“ [ინგოროყვა, 1963:119]. ასე, რომ თავად ჟამთააღმწერლის თხზულებაც შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარად მხატვრულ ტექსტად, რომელშიც ისტორიული ფაქტი ზოგჯერ საკუთარი ლირიკული გადახვევით ივსება. ერთი ასეთი პასაჟია ჟამთააღმწერლის თხზულებიდან, კერძოდ რუმის (თხზულებაში საბერძნეთის) სულთანის ყიასადინის (ღიასედინ ქაიხოსრო II) სიყვარული რუსუდან დედოფლის ასულის თამარ ბატონიშვილისადმი (შემდგომში გურჯი-ხათუნად წოდებულის)

და ლაშა გიორგის ვაჟის, დავითის, თავგადასავალი. აღნიშნული თემა გამოიყენა შემდგომად XIX საუკუნის მეორე ნახევარში გრიგოლ რჩეულიშვილმა (1820-1877) თავის ისტორიულ რომანში „თამარ ბატონიშვილი“ (დაიბეჭდა 1862 წ. ჟ. „ცისკარში“), რომელიც 20-იოდე წლის შემდეგ გაუღეპსავს პოეტ რაფიელ ერისთავს (1824-1901), სახელწოდებით „თამარიანი“ (1888 წ.). ეს სიუჟეტური ქარგა საინტერესო აღმოჩენილა პოეტ სიმონ გუგუნავასათვის, რომელსაც 1888 წელს შეუქმნია ამავე სახელწოდების პოემა. რ. ერისთავის პოემა პიესად („თამარ ბატონიშვილი“) გადაუკეთებია კოტე მესხს (1857-1914) და იგი თურმე იდგმებოდა კიდევ ქართულ სცენაზე. სამწუხაროდ, ვერ მივაგენით იმ ინფორმაციას, რომ, მოგვიანებით, სვიმონ ქვარიანს, მწერალსა და ლიტერატურათმცოდნეს შეექმნას ამავე სახელწოდების პოემა...

2011 წელს, სერიით „ახალი ქართული ლიტერატურა“ გამოდის დათო ტურაშვილის „გურჯი-ხათუნი და თერთმეტი მოთხრობა“. რომანში „გურჯი-ხათუნი“ ავტორი, ცდილა რა შეესწავლა ისტორიული წყაროები იკონიის (აქ იგი იკონიად მოიხსენიებს) დედოფალზე, უცხოური თუ ქართული მასალების გამოყენებით, ქმნის პოსტმოდერნის ჟანრის ნაწარმოებს, რომელშიც ჟამთააღმწერლიდანაცაა ამონარიდები, არსებული თუ მწერლის ფანტაზიით შექმნილ-მონათხრობილნი. ესაა ინტერტექსტუალური, ცენტონური ნაწარმოები. აქ ზემოხსენებული ისტორიული პასაჟი გაზუნდოვნებულია და იქმნება ახალი მითოსური ტექსტი, რომელშიც ძირითადი აქცენტი გადატანილია ყიასდინის სიკვდილის შემდგომი პერიოდის გურჯი-ხათუნის თავგადასავალზე, შუა საუკუნეების რუმის სასულთანოს ერთგვარ სალონურ ცენტრზე, რომლის წევრები პოეტი რუმიც იყო და ლეგენდარული მოლა ნასრუდინიც.

აღნიშნული ტექსტი მცდელობაა შექმნას სამშობლოს მოწყვეტილი თამარის უმშვენიერესი შვილიშვილის ყოფის სურათი უცხოეთში, განსხვავებით წინამორბედი ჟამთააღმწერლიდან მოყოლებული გუგუნავას პოემის ჩათვლით.

ჩვენი ინტერესი არა თავად თამარის ისტორიაა, არამედ ის ისტორიული პასაჟი, რომელიც საფუძვლად დაედო ჟამთააღმწერლის თხზულებას, ხოლო შემდგომად გახდა ასე საინტერესო და მომხიბლავი თემა რამდენიმე ქართველი მწერლისათვის.

წინამდებარე საკითხზე მსჯელობა ლიტერატურათმცოდნეთა ნააზრევში, არაერთხელ გამხდარა კამათის საგანი, მაგრამ მისი ძირითად ასპექტები ეხებოდა იმ ფაქტს, თუ როგორ უნდა განეცადოს გრიგოლ რჩეულიშვილს „თამარ ბატონიშვილზე“ მუშაობისას ა. დიუმას „ორი დიანას“ გავლენა (ჯ. ჭუმბურიძე) „... თამარ ბატონიშვილის“ ლიტერატურული წყაროს ძიების დროსაც, გამოირკვა, რომ გრ. რჩეულიშვილს უსარგებლია ფრანგი რომანისტის ა. დიუმას მამის ისტორიული რომანით - „ორი დიანა“, თავისებურად დაუმუშავებია მისი სიუჟეტი და ზოგიერთი პასაჟი გადმოუკეთებია [ქართული ლიტერატურის ისტორია III 1969:259]. ეს ჩაკვლევა გრ. რჩეულიშვილის ერთი პირველი კრიტიკოსის ანტონ ფურცელაძის, შენიშვნის შედეგადაა წარმოებული, რომელმაც პირველმა მანიშნა მკითხველ საზოგადოებრიობას, რომ „თამარ ბატონიშვილი ფრანგული ისტორიული რომანების გატაცების შედეგად არის შექმნილი“ [„ცისკარი“, 1863:15].

ამდენად გრიგოლ რჩეულიშვილის ისტორიული რომანის ქარგა მაინც ჟამთააღმწერელთანაა დაკავშირებული, გავლენით თუ მწერლის ფანტაზიით კი შემოყვანილია ტრადიციული „სატრფიალო სამკუთხედისათვის“ აუცილებელი პერსონაჟი თამარ ბატონიშვილის სატრფო შალვა ახალციხელი.

რამდენადაც ყველაფერი თავად ჟამთააღმწერლის ტექსტიდან ამოდის (ვ. კოტეტიშვილი, ჯ. ჭუმბურიძე, ნ. ანდრონიკაშვილი), გავიხსენოთ ის ისტორიული პასაჟი, რომელიც ასეთი პოპულარული გახდა 6-7 საუკუნის შემდგომი პერიოდის მხატვრული ტექსტებისათვის.

ჟამთააღმწერელი, მოგვითხრობს რა რუსუდანის გათხოვებას, ასულისა და მის (დავით ნარინის) დაბადების ამბავს, შემდგომ შენიშნავს: „და იქორწილა ტოდრილის შვილი, რომლისაგან იშვა ასული სიტურფე-აღმატებული და უწოდა სახელი სანატრელისა დედისა მათისა თამარ. და კვალად მიუდგა და შვა ძე, და უწოდა სახელი დავით და კვალად ზრდიდა ძმისწულსა მისსა, ძესა ლაშა-გიორგისსა დავითს.

ხოლო ვითარ აღიზარდა ასული მათი თამარ, ესმა საბერძნეთისა სულტანსა, ძესა ნუქარდინისსა, ყიასდინს, ქმნულ-კეთილობა მეფისა ასულის, ევედრა მრავალთა ნიჭთა და ძღვენთა მიერ, რათა მისცეს ცოლად ასული მისი თამარ, და აღუთქვა ფიცით არა დატევიდა სჯულისა ქრისტიანეთა. რომელ ისმინა მეფემან რუსუდან და მისცა ასული მისი სულტანსა ყიასდინს“. [ქართლის ცხოვრება II 1959:176]. ამის შემდეგ იწყება ჯალალ-ედ-დინის მიერ საქართველოს დაპყრობა. მტრისგან შევიწროვებული რუსუდანი გადაწყვეტს უღალატოს ლაშა გიორგისადმი მიცემულ ფიცს და „მოიგონა საქმე ყოველთა მიერ განსაკრთომელი“, გაგზავნა ძმისწული თავის სიძესთან ყიასდინ სულთანთან, „რათა წარსწყმიდან და იყოს დაუმფოთველად ძისა მისისა დავითისათვის და არა განაყოფად მეფობისა“ [ქართლის ცხოვრება II 1959:180].

„ვითარ მიიწია დავით წინაშე სულტანისა და მამის დისწულისა მის, რუსუდანის ასულისა თამარის, რომელსაც სულტანი სახელად უწოდდა გურჯი - ხათუნად, იხილეს იგი და შეიყუარეს, თვისთა

თანა დაიპყრეს პატივითა და გურჯი - ხათუნ დედოფალიცა კეთილსა უყოფდა ყრმასა, ზიდის მესა დავითს და არა ისმინეს ზრძანება მკლველებრივი მეფისა რუსუდანისაი და ფრიად პატივ-სცემდეს დავითს“. [ქართლის ცხოვრება II 1959:180].

ამის შემდგომად რუსუდანი, პოლიტიკური მოსაზრებებით, უთვლის ყიასდინს, რათა მოაკვდინოს მისი ძმისშვილი, რომ უზრუნველი მეფობა ჰქონდეს მას და მის ძეს დავითს.

მაგრამ, ჟამთააღმწერლისავე სიტყვით, ყიასდინმა და თამარმა ყურად არ იღეს რუსუდანის თხოვნა, მხოლოდ მესამე წერილის შემდგომ, რომელშიც იგი ამხილებდა საკუთარ ასულსა და ძმისშვილს მრუშობაში, აღშფოთდა სულთანი, იმ უდიდესი სიყვარულის წილად, რომელსაც იგი გრძნობდა თამარის მიმართ, უდიდესი სიძულვილით აღივსო თამარისა და დავითისადმი, ხოლო დავითის დასჯა ზრძანა.

აქ მოჩანს ჟამთააღმწერლის ღრმა გულისტკივილით აღსავსე ლირიკული ჩანართი, რომელშიც ზიზღითა და ვაებით იხსენებს ამ საქმის წამქეზებელს, რომელმაც დაივიწყა ნათესაობა და გაწირა საკუთარი შვილიც კი.

ჟამთააღმწერელი დახელოვნებული მწერლური ოსტატობით გადმოსცემს ყიასდინის სულიერ მღელვარებას, ხან რომ მოუბრუნდებოდა გული ყრმა დავითის მიმართ, ხანაც კვლავაც ეწყებოდა აღშფოთება. აი გაწირა ზღვაში დასანთქმელად კიდევ, მაგრამ გადარჩა შემდგომ დავითი, ისევ შეიპყრეს და ახლა გველებით სავსე ხაროში ჩააგდეს.

ავტორი ამავედროულად გადმოსცემს თამარის დიდ განცდებს, ფიზიკურ და სულიერ შეურაცხყოფას ზიდაშვილის ასე დატანჯვის გამო, მაგრამ აქვე მიანიშნებს იმ ერთგულებაზეც, რომლითაც ასე იყო გამსჭვალულნი გურჯი ხათუნის პიროვნება.

და აი 5 წლის შემდგომ უმეფობის ეპოქაში, როდესაც დავით ნარინი გაემგზავრა ყარაყორუმში, კვლავ ქართველები ითხოვენ ჭემმარტ მეფეს, დავით ლაშას ძეს, ყიასდინი გაცეზულია. მას დავითი ცოცხალიც აღარა ჰგონია, მაგრამ აი ამოიყვანენ ხაროდან დავითს, „ხოლო სულტანი ლმობიერ იქმნა, გაბანა და მრავალი ნიჭი მიანიჭა: შესამოსელი, ცხენნი რჩეულნი, ოქრო და ვერცხლი. ფრიად პატივ-სცა და შენდობასა ევედრებოდა და ესრეთ წარმოავლინა“ [ქართლის ცხოვრება II 1957:219].

მოგვიანებით ჟამთააღმწერელი იმასაც გვამცნობს, რომ ყიასდინი მონღოლებმა დაიბარეს ყარაყორუმში. აქ მან 5 წელი დაჰყო, რის შემდეგაც დაბრუნდა სამშობლოში.

სხვათა შორის, ქვეყნებისა და ისტორიულ პირთა დასახელებისას, ჟამთააღმწერელი იყენებს მისი დროის ტერმინოლოგიას, მაგ: ყიასდინი (ნაცვლად ღიასედინ ქაიხოსრო II-ისა), საბერძნეთის სულტანი (ნაცვლად რუმის სულთანისა) და სხვ. მისგან განსხვავებით დათო ტურაშვილი ყიასდინის სრული სახელით წარმოდგენას ცდილობს: ტოდრილ შაჰის ვაჟი, რუსუდან დედოფლის მეუღლე დავუდ მოღის ედ-დინი, თამარის მეუღლე გიას (ან ყიას) ედ-დინ ქაიქუ-ბადი (ან ქაიყუბი) ან ქაიხურსრევი და სხვ.

ამ ისტორიულ პასაჟს ამყარებდა ჟამთააღმწერლის გულისტკივილი რუსუდან დედოფლის ავ საქმეთა გამო, მაგრამ თითქოს რჩებოდა რაღაც „უხილავი ჩრდილი“, რომელიც თამარ ბატონიშვილს უშლიდა ხელს სრულად თანაერგრძნო მასზე ასე შეყვარებული სულთანისათვის. ჟამთააღმწერლთან ამ „უხილავ ჩრდილს“ „სამშობლოდან შორს ყოფნა ქვია თითქოს“, რაც ასე საინტერესოდ გამოჩნდება XXI საუკუნის მწერლის დათო ტურაშვილის „გურჯ-ხათუნში“. ქალ დედოფლის მიმართ სამეფო კარის მგოსნის თაყვანისცემა თითქოს არაა საკმარისი: „ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველ მზეთუნახავს, ცამეტი წლის თამარ რუსუდანის ასულს, სელჯუკეთის პრინცზე გარიგებით გათხოვილს, შემდგომში ქვეყნიერების დედოფალს - გურჯი - ხათუნს მშობლიურ საქართველოში ერთი დიდი დარდი მაინც არ დარჩენოდა...“ [ტურაშვილი 2011:7].

ეს დიდი დარდი გრ. რჩეულიშვილის ისტორიულ რომანში ასევე ისტორიული პიროვნება, შალვა ახალციხელი „ადმოჩნდა“, რომელმაც ასევე ლეგენდარულად „გაიკაფა გზა“ რ. ერისთავის, კ. მესხისა და ს. გუგუნავას ნაწარმოებებში. სულთანის მიერ დავით ლაშას ძის უდანაშაულოდ ცნობა სწორედ იმ წერილთანაა დაკავშირებული, რომელსაც ავტორის ფანტაზიით ასე სასოებით ინახავდა შალვა ახალციხელი. ჯალალ-ედ-დინის და მისი მოკვლის შემდეგ კი მოკვლის ახალუხის ფარჩის ჯიბეში შენახული თამარის წერილი იპოვეს შალვასადმი, რის შემდეგაც თამარი გაანდობს თავის მეუღლის, რომ მასზე დაქორწინებამდე ისა და შალვა დანიშნულები ყოფილან. რუსუდანმა იცოდა ეს, არ ისურვა მათი ქორწინება და ყიასდინს მიათხოვა ასული.

ყიასდინი რწმუნდება თამარის უმანკობასა და უდანაშაულობაში და პატივით ათავისუფლებს დავით ლაშას ძეს.

აღნიშნულ „სამკუთხედს“ გრ. რჩეულიშვილი სხვადასხვა ამბებით ავსებს და ისტორიულ სინამდვილის „ჩრდილს“ რომანტიკული კუთხით ავითარებს. თუმცა მკვლევარი ნ. ანდრონიკაშვილი არ მიიჩნევს აღნიშნულ ტექსტს რომანტიკულ პროზად და მას სენტიმენტალიზმის გამოვლინებად ასახელებს ქართულ ლიტერატურაში, თუმცა ამავედროულად მიანიშნებს, რომ „გრ. რჩეულიშვილი ეძებს,

სესხულობს, ბიძის მხოლოდ გარეგნულს, მხოლოდ ფორმას, შინაარსი, - ის, რისი თქმაც სურს, რისი გამოხატვაც მას უნდა, - თავისია „ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული“. [ანდრონიკაშვილი, 1984:48].

ამდენად ისტორიული პასაჟი მხოლოდ ამ კუთხითაა შევსებული გრ. რჩეულიშვილის მხატვრულ ტექსტში. რაც შეეხება პერსონაჟთა ხასიათების, სულისკვეთების გამოხატვას, აქ ავტორი საოცრად ოსტატურად ხატავს ყიასდინ სულთანს, თამარს. გრ. რჩეულიშვილი წარსულიდან ქალზე უნახავად შეყვარების ერთ გავრცელებულ სტერეოტიპსაც მიმართავს, კერძოდ, ყიასდინ სულთანი პირველად სწორედ მხატვრის მიერ შექმნილ თამარის პორტრეტით მოიხიბლება, ხოლო ნახვის შემდგომ კი შთაბეჭდილება უფრო უძლიერდება.

დ. ტურაშვილი რჩეულიშვილისეულ პოეტიზირებას წარსულის აღდგენის მცდელობით ჩაანაცვლებს. მისი მთხრობელები ცდილობენ თითქოს აღადგინონ ის დაკარგული მოზაიკის ნაწილები, რომლებისგანაც ერთიანი პორტრეტი უნდა შეიქმნას, პორტრეტი გურჯი ხათუნისა, მომხიბლავი, სევდიანი, განათლებული ქალბატონისა, რომლის სახელიც ვარსკვლავს უწოდეს. აქ სიუჟეტში ერთობა მისი მეორე მეუღლე, ყიასდინ ქაიხოსრო II გარდაცვალების შემდგომ, სულთანის მრჩეველი და ვეზირი, მუინ-ედ-დინ სულიმან ფერვანე, რომელსაც იგი ცოლად გაჰყვა სელჩუკიანთა ტრადიციის თანახმად. აქვეა საქართველოდან გადმოხვეწილი ყმაწვილი მურზაყანიც, რუმიც და ადამიანები, რომელთა წრეში უხდებოდა ყოფნა გურჯი ხათუნს.

ბევრი რამ რომანტიული, თუნდ სენტიმენტალურიც დ. ტურაშვილის ტექსტში პოსტმოდერნის ჩარჩოშია მოქცეული და განვითარებული, იგი ტოვებს შთაბეჭდილებას რეალობისა და ამავედროულად თითქოს მწერლის ფანტაზიის ნაყოფიცაა, უცნაურად მომხიბლავი და მშვენიერი. ყიასდინ სულთანი ამ ნაწარმოებში ისევე ცოცხალია და ხატოვანი, როგორც მისი მეუღლე. ჟამთააღმწერლის მხატვრული ტექსტიც ამ რომანში შედის სწორედ ზემოდასახელებული პასაჟით. მაგრამ მთავარი გმირი აქ თამარი და ყიასდინია, კიდევ რუმი, მოლა ნასრედინი და სხვა.

გრ. რჩეულიშვილის რომანის გალექსვამ თითქმის არ შეცვალა სიუჟეტი რ. ერისთავისა და ს. გუგუნიას ტექსტებში. ამბავი იგივეა, მოთხრობილი მეტ-ნაკლები მხატვრულობით. შედარებისათვის მოგვყავს რამდენიმე აზრად სხვადასხვა ტექსტებიდან:

„ყიასდინ სულტანიცა და თამარიც უყურებდნენ ზღვის პირზედ აღშენებულს მარმარილოს სასახლიდგან ამ ხომალდსა, ვიდრე თვალნი მათნი მისწვდებოდნენ, ხოლო როდესაც სივრცემ დამალა იგი, მათ დაღონებით შეხედეს ურთი ერთსა და ერთმა მარგალიტის მსგავსმა ობოლმა ცრემლმა ჩამორბინა თამარის ღაწვზედ: მას მოაგონდა თავისი მშობლიური ქვეყანა, თავისი წარსული ბედნიერება...“ [რჩეულიშვილი 1990:119]

„თამარი და ყიასდინი უცქეროდნენ გემის სვლასა, უყურებდნენ ზღვის ფრთონასა, ომი ჰქონდა თითქო ზღვასა. ჩუმად ისხდნენ, ურთიერთსა არა სცემდნენ თითქო ხმასა, და თამარი, ზოგიერთხელ შესცქეროდა ლაჟვარდ ცასა“.

„ყელში ცრემლი მოეზვინა, ყიასდინთან მოსარიდი, და ღაწვებზე გადმოჰვორდა ერთი წყვილი მარგალიტი“. [ერისთავი, 1998:271]

„თან მიჰყავდა მეფის შვილი მას ბრწყინვალე ამალითა, ხელმეორედ დანაბადი, აღმოსრული სამართა. სულთანი თვალს ადევნებდა სასურველის თამართა, თამარს ცრემლი განუწყვეტი მოსდიოდა კამართა“. [გუგუნიანი, 1957:165]

დ. ტურაშვილთან ეს ეპიზოდი ძირითადად ჟამთააღმწერლის ტექსტს იმეორებს.

წინამდებარე მხატვრული ტექსტები, თავად ისტორიული ტექსტის ჩათვლით, ცხადყოფს რამდენად საინტერესო და დამაინტრიგებელი აღმოჩნდა მწერლის ფანტაზიისათვის ეს ერთი პასაჟი რუმის სულთან ყიასდინის, მისი მეუღლის თამარის, დავით ლაშასძის თავგადასავლით, რამაც განაპირობა კიდევ მისი პოპულარობა და „გურჯი ხათუნის“ ნაკვალევის ძიება XXI საუკუნეშიც, რაც მასზე თვით ახალი მითის დაბადების მცდელობად წარმოგვიდგება დ. ტურაშვილის „გურჯი-ხათუნში“.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორიის... 1979: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1979.
2. ინგოროყვა 1963: ინგოროყვა პავლე, თბ. ტ. I, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1963.
3. ქართული ლიტერატურის ისტორია II, 1969I: „ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. III, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1969.

4. „ცისკარი“, 1963: ქ. „ცისკარი“, 1863, №1.
5. ქართლის ცხოვრება, 1958: „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1959.
6. ტურაშვილი 2011: ტურაშვილი დათო, „გურჯი-ხათუნი და თერთმეტი მოთხრობა, თბ., 2011.
7. ანდრონიკაშვილი 1984: ანდრონიკაშვილი ნიკა, „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1984.
8. რჩელიშვილი 1990: რჩელიშვილი გრიგოლ, „თამარ ბატონიშვილი“, თბ., „ივერია“, 1990.
9. ერისთავი 1958: ერისთავი რაფიელი, „რჩელი თხზულებანი“, თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1958.
10. გუგუნავა 1957: გუგუნავა სიმონ, „თამარიანი“, თბ., „საბჭოთა მწერალი“, 1957.
11. ჯავახიშვილი VIII 1977: ჯავახიშვილი ივ. თხზ. ტ. VIII, თბ., 1977.

## ქართველი მეცნიერები - ქართულ-თურქული ურთიერთობების მკვლევრები

*შალვა ვანიშვილი*

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, დოქტორი

შოთა რუსთაველმა, რომლის ჩაუქრობელი სხივები თანაბრად მოეფინების მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, შთამომავლობისათვის გასაგებად და დასამომღვრებლად შთაგვაგონა: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. ღმერთმა ისე მოაწყო ჩვენი და ჩვენი დიდი მეზობლის თურქეთის ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი, რომ შორს წასვლა და სხვა მეგობრის ძებნა არ გვჭირდება. კარის მეზობლად მოგვივლინა იგი. საუკუნეების განმავლობაში ერთად ვიზიარებდით მწუხარებასა და სიხარულს, ერთი ცა გვფარავდა, ერთნაირად გვაწამებდა ბუნების დაუსრულებელი კატაკლიზმები. წარუმატებლობის, ძნელადსახსენებელი გაუგებრობის პერიოდებიც გაგვანდა, რაც მეზობელი ხალხებისა და ცალკეული ადამიანების ისტორიის თანმდევა. მაგრამ ამ ორი ერის წარჩინებული შვილების წყალობით ისინი, მცირე კონფლიქტები განვითარებას ვერ აღწევდნენ. უკანასკნელ პერიოდში კი ორი მეზობლის - თურქებისა და ქართველების მეგობრობამ, მათმა სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობამ, ტურისტების გაცვლამ, ღრმა კავშირებმა ისეთ დონეს მიაღწია, რომლის წარმოდგენა მხოლოდ ჩვენს დიად წინაპრებს თუ შეეძლოთ. ამის ძლიერი საყრდენები ჩვენს წარსულში უნდა ვეძიოთ, ხოლო განვითარება, აღორძინება და თანამედროვეობის სტანდარტების დონეზე აყვანა ახლანდელ ხელისუფალთა დამსახურებაა ორ ისტორიულ ხალხთან ერთად.

ჩვენი საერთო ისტორია შუქ-ჩრდილებითაა სავსე. ჩრდილები - წყენა, ურთიერთგაუგებრობა და ურთიერთგაუტანლობა წარსულში დარჩა და მის ნანგრევებზე თავისუფალი საქართველოს და თურქეთის შვილები დღეს მეგობრობის, ურთიერთპატივისცემის, კეთილსამეზობლო ხიდებს ვაშენებთ. ჩვენი დღევანდელი შეხვედრაც ამ ხიდების ბურჯებისთვის ერთი საიმედო აგურის ცდაა.

ჩვენი ორი ერის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ღრმა მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს. ისტორია არა მარტო ცხოვრების მასწავლებელია, როგორც ამას ლათინები წერდნენ, არამედ მომავლის მეცნიერებაცაა. ამიტომ არის საჭირო ჩვენი დიდი წარსულის შესწავლა, ჩვენი უძველესი ერების ურთიერთობების ღრმა ფესვების გამომზეურება, სინათლის შეტანა მომავალი რომ უფრო მყარი, ძლიერი და ღრმა კავშირებზე იყოს დამყარებული. ამ ეროვნულ საქმეში კი უდიდესი წარმატებები გვაქვს.

ქართულ-თურქული ურთიერთობის ისტორიის მეცნიერულად გადმოცემაში უდიდესი წვლილი მიუძღვის აკადემიკოს სერგი ჯიქიას, რომელმაც 1941 წელს გამოსცა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ თურქული ტექსტით, თარგმანით და კომენტარებით. ეს იყო წიგნი 2, ხოლო ექვსი წლის შემდეგ იმავე ავტორმა, კერძოდ 1947 წელს წიგნი 1, ხოლო 1958 წელს - წიგნი 3, ხელნაწერის აღწერილობა, შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის. ფაქტიურად თურქოლოგიას, როგორც მეცნიერებას საფუძველი ჩაუყარა აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ. მანვე 1960 წელს თბილისის უნივერსიტეტის შრომებში (ტომი 91) გამოაქვეყნა სამეცნიერო ნაშრომი „XVII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ“ (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია), 1962 წელს თბილისის

უნივერსიტეტის შრომებში (ტომი 99) გამოაქვეყნა XVIII საუკუნის ორი თურქული დოკუმენტი (აღმოსავლეთმცოდნეობის სერია) 1983 წელს გამოაქვეყნა ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ (ოსუ შრომები ტ. 116).

ჩვენს ყურადღებას იპყრობს პროფესორი ნოდარ შენგელია, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა სერგი ჯიქიას დაწყებული კვლევა-ძიება თურქოლოგიის სფეროში. მან XX ს. 80-იან წლებში გამოსცა მონოგრაფია „ოსმალური წყაროები საქართველოს შესახებ“, 2008 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია „ჩილდირის ვილაიეთის მოკლე (იჯმალ) დავთარი“, იმავე წელს - „სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის“ (1730-1732 წლები) 2011 წელს გამოაქვეყნა კაპიტალური ნაშრომი „ოსმალური ფირმანები და ბერათები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის (XVI-XVIII საუკუნეები)“. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მონოგრაფია თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებით მოამზადა და გამოსცა ნოდარ შენგელიამ. თურქოლოგიაში - ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს მირიან მახარაძეს, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ზაზა შაშიკაძეს.

1971 წელს პროფესორმა ც. აბულაძემ გამოსცა „ორი თურქული ფირმანი“. ეს არის მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი და სხვა წერილები.

პროფესორ ნოდარ შენგელიას მიერ მომზადებული და გამოცემული ნაშრომი „ოსმალური ფირმანები და ბერათები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიისათვის“ ათასობით ფირმანსა და ბერათს მოიცავს და განთავსებულია წიგნის 860 გვერდზე. ყველა ფირმანის და ბერათის თურქული ტექსტები თარგმნილია ქართულ ენაზე. ე.ი. ჩატარებულია კოლოსალური შრომა, რომ ავტორს, მთარგმნელს, გამომცემელს ქართველი მკითხველისათვის მიეცა საშუალება გასცნობოდა ოსმალური ფეოდალიზმის შემოღება-დამკვიდრებას საქართველოს ტერიტორიაზე.

ოსმალეთის დამოკიდებულება საქართველოს სამეფო-სამთავროებისადმი არ იყო ერთგვარი. დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ვასალად ითვლებოდა, მაგრამ საშინაო საქმეებში დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. იმერეთის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს სამთავროების სათავეში მემკვიდრეობის წესის დაცვით ქრისტიანი მეფეები და მთავრები იდგნენ. როცა ოსმალეთი ქართლს იმორჩილებდა, ქართლის მთავარ ციხეებში ოსმალთა გარნიზონები იყო ჩაყენებული, მაგრამ ქართლის მეფეები აგრძელებდნენ ბრძოლას მათ წინააღმდეგ, ოსმალებს ოსმალური წეს-წყობილების დანერგვის საშუალებას არ აძლევდნენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სამცხე-საათაბაგო, სადაც გაიმარჯვა ოსმალურმა პოლიტიკურმა და სოციალურმა სისტემამ. ოსმალეები შეუდგნენ საათაბაგოში თავიანთი მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმების შემოღებას. მათ სამცხე-საათაბაგო აღწერეს, რამაც ასახვა ჰპოვა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, რომელიც 1595 წელსაა შედგენილი. სამცხე-საათაბაგოს გამგებლად ინიშნებოდნენ გამაჰმადიანებული ქართველი ათაბაგები. ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს ჯაყელთა საგვარეულოს წევრები განაგებდნენ. სულთანმა სამცხის ათაბაგებს ახალციხის ფაშობა მემკვიდრეობით უბოძა, რაც გამონაკლისი იყო ოსმალეთში მიღებული საერთო წესიდან.

ამგვარად, XVI-XVIII საუკუნეებში ოსმალეთს მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან. ამ პერიოდში იქმნებოდა სხვადასხვა სახის ოსმალური დოკუმენტი (ხალხის აღწერის დავთრები, ფირმანები, ბერათები, ჰუქმები, არზუჰალები და სხვა ხასიათის საბუთი), რომლებიც საუკუნეთა მანძილზე გროვდებოდა ოსმალეთის სახელმწიფო დაწესებულებებში.

საქართველოს თურქულ-ეთნიკურ სამყაროსთან ურთიერთობის რეალურად ამსახველი დოკუმენტები ძირითადად ოსმალურ ენაზე იწერებოდა. ცნობილ ქართველ მეცნიერთა კერძოდ ს. ჯიქიას, ნ. შენგელიას, ც. აბულაძის, გ. ალასანიას, მ. სავანიძის, მ. მახარაძის, ზ. შაშიკაძის, გ. კაციტაძის, გ. დათიაშვილის და სხვათა ღვაწლისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგია, რომ აღნიშნული დოკუმენტების გაცნობა და შესწავლა მშობლიურ ენაზე შეგვიძლია.

ოსმალური ფირმანები საუკეთესო წყაროა ოსმალთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების ისტორიის არაერთი საკითხის შესასწავლად.

ფირმანების გაცემის მიზეზი მრავალგვარი შეიძლება ყოფილიყო: ომის გამოცხადება, სამხედრო სამზადისი, მიწების განაწილება, გადაანაწილება, მათი ბოძება და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროფესორმა ნოდარ შენგელიამ 2011 წელს გამოაქვეყნა სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში დაცული ფირმანები და ბერათები, რომლებიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს შეეხება. ფირმანები დაყოფილია საქართველოს ცალკეული რეგიონების მიხედვით. ყოველ რეგიონში დაცულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. მათში ოფიციალური ცნობებია საქართველოს ცალკეულ კუთხეებში ოსმალთა ბატონობის სხვადასხვა ფორმების წარმოსაჩენად და ოსმალეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების შესასწავლად.



ფირმანებს შორის ყველაზე ადრინდელი 1553 წლითაა დათარიღებული. აქედან მოყოლებული 1784 წლამდე ჩვენს მიერ მოძიებული ფირმანები სხვადასხვა დროის კონკრეტულ საკითხებზე გვაწვდიან ცნობებს. ყველაზე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სამცხე-საათაბაგოს ბეგლარ ბეგებისა და მასში შემავალი ცალკეული სანჯაყების გამგებლებისადმი გაგზავნილი ფირმანები. ოსმალებისათვის სამცხე-საათაბაგოს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი პოზიციები ვერ იქნებოდა მყარი ამიერკავკასიაში, სანამ სრულად არ დაიმორჩილებდა სამცხე-საათაბაგოს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ოსმალეთი სამცხის მიმართ სრულიად განსხვავებულ პოლიტიკას ადგა, ვიდრე სხვა ქართული კუთხეებისადმი.

ოსმალებმა ჯერ კიდევ 1574 წელს აღწერეს ტაო-კლარჯეთში მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიები და შეადგინეს ამ მხარის დავთარი, რომელიც დაცულია სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში, შიფრი 525 „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. 1579 წელს კი ოსმალებმა სამცხე-საათაბაგოში დააარსეს ჩილდირის (ახალციხის) საფაშო და მის ფაშად დაინიშნა სამცხის გამაჰმადიანებული მთავარი მანუჩარი, მაგრამ სამცხე-საათაბაგო თითქმის საუკუნის მიწურულამდე აგრძელებდა ოსმალთა წინააღმდეგ უშედეგო ბრძოლას. 1595 წელს ოსმალებმა ხელახლა აღწერეს სამცხე-საათაბაგო და დაჰყვეს 8 სანჯაყად: ახალციხე, ხერთვისი, ახალქალაქი, ჩილდირი, ფოცხოვი, პეტრე, ფანაკი და დიდი არტაანი. XVIII საუკუნეში კი ოსმალებმა ახალციხის საფაშო 13 სანჯაყად დაჰყვეს: ოლთვისი, ხერთვისი, არტანუჯი, დიდი არტაანი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი, მაჭახელი, აჭარა, ფანაკი (ბანა), ფერთეჟრეჟი, ლივანა, ნისფი და შავშეთი.

ბოლოს წარმოდგენილია ფირმანები, რომლებიც ეხება ისტორიული საქართველოს ტერიტორიებს, რომელთაც ყველაზე ადრე განიცადეს ოსმალთა შემოსევები და სადაც ადრევე გაიმარჯვა ოსმალურმა სოციალურ-პოლიტიკურმა სისტემამ. კარგა ხანს ეს პროვინციები შედიოდა „გურჯისტანის ვილაიეთში“, ხოლო შემდეგ მოხდა მათი გადანაწილება. მაგ., ისპირი, თორთუმი, მცირე არტაანი, ნამერვანი და სხვა ქართული პროვინციები ოსმალებმა სხვა ვილაიეთებში გააერთიანეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიული ალასანიას ღვაწლი საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიის საკითხების კვლევის საქმეში. პროფესორმა გიული ალასანიამ 1969 წელს, დაამთავრა რა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ისტორიის განყოფილება, თურქეთის ისტორიის სპეციალობით მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოაქვეყნა ქართველებსა და ისლამამდელ თურქების ურთიერთობებზე, აგრეთვე თბილისის საამიროს დაარსების თარიღისათვის. მან გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ქართველებისა და დანიშნემდიანების ურთიერთობების პრობლემების ირგვლივ, მოგვცა ახალი მონაცემები ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის.

ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანია პროფ. გ. ალასანიას მიერ თურქულიდან ქართულად თარგმნილი „ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“, გამოკვლევითა და შენიშვნებით.

საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანია პროფ. მ. სვანიძის ნაშრომები – „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან“ (1971 წ.) და „საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები“ (1990 წ.).

ამრიგად, ჩვენს ხელთ არის ძვირფასი, უნიკალური მასალა, ისტორიული წერილობითი ძეგლები, შედგენილი ოსმალთა მოხელეების მიერ, რომელიც აშუქებს საქართველოს ისტორიის რთულ პერიოდებს. ზემოთ მოყვანილი მეცნიერების მიერ ჩატარებული ფასდაუდებელი შრომის შედეგად ძალგვიძს მშობლიურ ენაზე წავიკითხოთ ოსმალური დოკუმენტი.

## თურქულიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულები ზემოაჭარულში

მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს მრავალ ხალხთან ჰქონია ურთიერთობა, რაც ძირითადად შეპირობებული იყო გეოგრაფიული მდებარეობით, კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირებით. საქართველოსა და თურქეთს შორის ასეთი ეთნოკულტურული კონტაქტები ნათლად აღიბეჭდა ქართული ენის სტრუქტურაში, განსაკუთრებით ლექსიკაში. სიტყვების გადასვლა ერთი ენიდან მეორე ენაში შედარებით ადვილად ხდება, ვიდრე გრამატიკული ელემენტებისა (ფონემები, აფიქსები). წმინდა, შეურეველი ენა არ არსებობს. სესხება ენის ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. „სესხების ზოგადი კანონზომიერება საერთო ბუნებისაა: გამსესხებელი ენიდან სიტყვები შინაარსისა და ფორმის მიხედვით ან უცვლელად გადადიან მსესხებელ ენაში, ანდა ხდება გარკვეული ცვლილებები ფორმისა და შინაარსის მიხედვით“ (თ. უთურგაიძე, 1988, გვ. 95).

სიტყვის სესხება ბუნებრივია არა მარტო სალიტერატურო ენისათვის, არამედ დიალექტებისათვისაც. ასეთი სესხება არც ქართული ენის დიალექტებისათვის არის უცხო და ახალი. „უშუალო მეზობლობის შედეგია დიალექტების სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება-მიმართება უცხოურ ლექსიკურ მასალასთან: ენას სხვადასხვა კონტურებით გააჩნია შეხვედრის წერტილები უცხოურ ენობრივ სინამდვილესთან თავისი გეოგრაფიული გაშლა-განფენილობის გამო. ზეპირი, პირადი ურთიერთობის წესით დანერგილი სიტყვები შემოდიან იმ დიალექტების გზით, რომლებიც გეოგრაფიულად ემეზობლებიან უცხოურ ენას“ (მ. ძიძიგური, 1988, გვ. 51).

აჭარული ქართული ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დიალექტია, გავრცელებულია საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზე და ყურადღებას იქცევს ლექსიკის მრავალფეროვნებით, თავისებური სიტყვაწარმოებით, ძველი ქართულის ლექსიკური ფენით, ზანიზმებით, ქართული ენის სხვა დიალექტებთან მსგავსი და განსხვავებული ლექსიკური ერთეულებით და ნასესხები სიტყვებით (მ. კობერიძე, 2011, გვ. 3).

ზემოაჭარულში დადასტურებული თურქულიდან ნასესხები ლექსიკური ერთეულები შინაარსითა და გრამატიკული გაფორმებით თითქმის უცვლელადაა დამკვიდრებული, მაგრამ მათი დიდი ნაწილის ხმარება დღესდღეობით აჭარულისათვის დამახასიათებელი აღარაა, მაგრამ შეინიშნება მოხუცთა მეტყველებაში მშობლიური ქართული სიტყვების პარალელურად. ჩვენი დაკვირვების ობიექტი გახლავთ ზემოაჭარული მეტყველება ხულოსა და შუახევის რაიონების მიხედვით.

ზემოაჭარულ მეტყველებაში თურქულიდან ნასესხებ სიტყვათაგან შეიძლება გამოვყოთ:

1. ნასესხებ სიტყვათა გარკვეული ნაწილი, რომელიც სასაუბრო ენობრივ მიმოქცევაში გვხვდება და ყველასათვის, ვინც ამ კილოზე მეტყველებს, გასაგებია. მაგალითად: **ბორაო/ბორანო** (თურქ. boran „კარაქში შემწვარი ყველი“); **გობეგი** (თურქ. gıbeğ „ქვეშსაგები“); **ბორეკი** (თურქ. böreki „ნიგვზიანი ნამცხვარი“); **აღი** (თურქ. yağ „კარაქი, ერბო“); **სუზგი** (თურქ. süzge „ფლავის, მაკარონის გასაწური ნაჩვრეტებიანი ჭურჭელი“); **ყიშლა** (თურქულ. kışlağı „საზაფხულო და საშემოდგომო საძოვარი“); **ყურადი** (თურქ. kurak (ği) „გვალვა“); **კურუთი// ყურუთი** (თურქ. kurut „დოს კვერი“); **გუგუმი** (თურქ. güngüm „წყლის ჭურჭელი დოქის მსგავსი“); **ბათმანი** (თურქ. batman „საწყაო ჭურჭელი მარცვლეულისა და ფქვილისათვის“). ბათმანი უდრის ნახევარ ფუთს. მას ზოგჯერ წყლის ჭურჭლადაც იყენებენ.

2. ისეთი ნასესხები სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გვევლინებიან მშობლიური ქართული სიტყვების სინონიმებად. მაგალითად: **აირანი** (თურქ. ayran) -- **დო**; **თოფალი** (თურქ. topal) - **კელი** (კოჭლი); **ფეჩა** (თურქ. peçe) - **პირბადე**; **მერეგი** (თურქ. merek) - **საბძელი**; **ჩოქელეგი** (თურქ. cokelek) - **ნაღები**; **ფესტალი** (თურქ. pestil) - **ტყლაპი**; **ყაიმალი** (თურქ. kaymak) - **ნაღები**; **ქუმა** (თურქ. küme) - **ჩურჩხელა**; **ჰადილი** (თურქ. ağıl „ფარები“)- **სამფეხი**; **ყირმიზი** (თურქ. kırmızı) - წითელი ; **აბლა** (თურქ. abla)- **ბიცოლა**; **ქორი** (თურქ. kör) - **ბრმა**; **აზული** (თურქ. azik (ğ) ) - **საგზალი**; **ფახრაჯა** (თურქ. bakrac)- **ქვაბი**.

3. თურქული წარმოშობის სახელების ფუძე-ძირებიდან ქართული ფორმანტების (პირის, რიცხვის, თემის ნიშნების) დართვით ნაწარმოები ზმნები: **თოფალი** (თურქ. topal „კოჭლი“) - **თოფლობს** (კოჭლობს); **კოული** (თურქ. kovuk „ფულურო“) - **დაკოულდა** (ფულურო გახდა, დაფუტუროვდა); **მოსაუფურა** (თურქ. süpür) - 1. მოწმინდა, მოასუფთავა; 2. გადატ. ხარბად შეჭამა, გადაყლაპა, გადასანსლა. „ერთხან ვითამ დეირცხვინა თავი, ბოლოს რომ დულღავიწა კოვზი, ხუთ მინუჩი მუასუფურა ერთი ჯამი ფხალობიაჲ“ (მ. ნიჟარაძე, 1971, გვ. 268). **იარალი** (თურქ. yaralı „ჭრილობა“) - **დააიარალა** (დაჭრა); ჩაირი (თურქ. cayır „სათიბი“) - **დააჩაირა** (საქონელი ჩააბა სათიბში).

4. თურქული წარმოშობის სიტყვა-ფუძეზე ქართული ფორმანტების დართვით წარმოქმნილი სიტყვები: **დელი** (თურქ. deli „გიჟი“) - **ნადელვარი** (ნაგიჟარი); **ბილეზუგი** (თურქ. bilezik (gi) „სამაჯური“) - **ბილეზუგიანი** (სამაჯურიანი), **საბიზელუგე** (სამაჯე); **გადუნდუზებული** (თურქ. dunduzi) -- თოვლით დაფარული; **გაზიფთული** (თურქ. zifit) - ქონწასმული, ჭუჭყიანი; **ზენგინი // ზენგილი** (თურქ. zengin „მდიდარი“) - **ზენგილობა** (სიმდიდრე); **გელინი//გენილი** (თურქ. gelin „რძალი“) - **გენილობა** (რძლობა), **გენილიანი** (რძლიანი), **საგელინი** (სარძლო).

5. კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი თურქული წარმოშობის სიტყვაა, ხოლო მეორე - ქართული. ასეთ რთულ სიტყვებს ჰიბრიდულ თხზულ სახელებს უწოდებს შ. ნიჟარაძე (1971, გვ. 67). მაგალითად: **ორყათი** ← ორ + ყათ-ი (თურქ. kat „პირი, ფენა“) - ორპირი; **ჩენგეშეკრული** ← ჩენგე (თურქ. cenge „ქვედაყბა“) + შეკრული - უმაღლო, პირაკრული; **დომორვა** ← დო+ შორვა (თურქ. corba „წვნიანი“) -- დოს შეჭამანდი.

6. ტოპონიმები, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი თურქული ელემენტია. „გეოგრაფიულ სახელთა ერთი ნაწილი თურქულ ელემენტებს შეიცავს (იქნება ის თურქული ფუძე-ძირითა და ქართული აფიქსებით თუ წმინდა თურქული წარმოებისა თურქულივე საყრდენი სიტყვებით). აქვე შევათურქული წარმოშობის ტოპონიმები მარტივი ფუძის ფორმით და თურქული ან თურქულ-ქართულ კომპონენტისანი თხზული გეოგრაფიული სახელები“ (შ. ნიჟარაძე, 1971, გვ. 58).

სათიბების, სამოვრების, სახნავ-სათესი ადგილების სახელწოდებებში დასტურდება თურქული საკუთარი სახელები და სოციალური დიფერენციაციის გამომხატველი ტერმინები: **დავჯოლიყანა** (სათიბი ტუნაძეებში), **შერიფალიყანა** (სათიბი გოგინაურში), **საგინოღლების გზა** (გზა დანისპარაულში), **უზეირანანაკავი** (სამოვარი ცხმელისში).

ზემოაჭარულში შეინიშნება თურქული მაწარმოებლებით გაფორმებული ადგილის სახელწოდებები: **ქურთლული** (ადგილი, სადაც ქურთები ცხოვრობდნენ) სამოვარი (გოგინაურში), **ენერლული** (სათიბი სკვანაში), **პანტალული** (ტყე, სათიბი თხილვანაში) (მ. ქამადაძე, 1992, გვ. 72).

7. ზემოაჭარული ლექსიკისათვის დამახასიათებელია თურქული ენიდან სიტყვების ან გამოთქმების კალკირება. ამასთან დაკავშირებით საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „ენათა შორის საურთიერთო ზემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა ერთი ენის დამახასიათებელი სიტყვებისა და გამოთქმების გადაღება მეორე ენის მიერ. ამ ზუსტი გადაღების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ენის სიტყვა ან მთელი გამოთქმა, შეიძლება ითქვას, ფოტოგრაფიულად გადაიღება მეორე ენაში; ოღონდ გადაღებისას მეორე ენაში სიტყვიერი და მორფოლოგიური მასალა ეროვნულია ე. ი. მასესხებელი ენის საკუთარი მარაგიდან არის გამოყენებული“ (ს. ჯიქია, 1964, გვ. 253).

აჭარულში შენიშნულია თურქული ენისათვის დამახასიათებელი არაერთი ფრაზა (ან გამოთქმა-შესიტყვება), რომლებშიც პრედიკატული წევრი ყოველთვის ქართული ზმნითაა გადმოცემული, ხოლო სახელადი ნაწილი დიალექტური სიტყვაა (შ. ნიჟარაძე, 1957, გვ. 61; ნ. გურგენიძე, 1967, გვ. 125). მაგალითად: **ჩენგეს აკვრა** - საჭმელზე უარის თქმა, მომდინარეობს სიტყვიდან **ჩენგე** (თურქ. cenge „ქვედაყბა“); თერბიეთის მიცემა - აღზრდა, გაწვრთნა. მომდინარეობს თურქული გამოთქმიდან : tebiyle vermek „აღზრდის მიცემა“.

ამრიგად, ზემოაჭარულში დადასტურებული თურქულიდან ნასესხები სიტყვები უმეტესად ინარჩუნებენ ძველ მნიშვნელობას, მაგრამ შეინიშნება შეცვლის ან სრულიად საპირისპირო მნიშვნელობით შემოსვლის შემთხვევებიც. სესხებისას სიტყვის სემანტიკის შეცვლა შესაძლებელია გამოწვეული იყოს მნიშვნელობის შევიწროება-გაფართოების ხარჯზე.

#### ლიტერატურა:

1. ნ. გურგენიძე, თურქული კალკები აჭარულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 118, თბ., 1967.
2. მ. კობერიძე, ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 2011.
3. შ. ნიჟარაძე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, თბ., 1957.
4. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, თბ., 1971.
5. თ. უთურგაძე, ნასესხები სიტყვები დიალექტურ ლექსიკაში: დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1988.
6. მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია: აჭარულის დარგობრივი ლექსიკა, VIII, თბ., 1992.
7. შ. ძიძიგური, სიტყვის ცხოვრება, თბ., 1988.
8. ს. ჯიქია, თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 108, თბ., 1964.

## ქართულ-თურქული ურთიერთობების განვითარებისაკენ მიმავალი გზები

*თინათინ კუბლაშვილი*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი, დოქტორი

საქართველოს, როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოს, ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნიდან მოყოლებული, მტკიცე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები აკავშირებდა მეზობელ მუსლიმანურ სახელმწიფოებთან.

ევროპისა და აზიის, ქრისტიანული და მუსლიმანური სამყაროს გადაკვეთის წერტილში მდებარე საქართველო ყოველთვის ასრულებდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი რგოლის როლს.

ამავდროულად, მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ოდითგანვე როგორც მეზობელი მუსლიმანური ქვეყნების, ასევე სხვა ქრისტიანული სახელმწიფოების მუდმივი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ისინი მუდამ იერიშით უტევდნენ საქართველოს, მის გათიშვასა და გახლეჩვას და ამ გზით მასზე საკუთარი კონტროლის დამყარებას ცდილობდნენ. დამპყრობელთა შორის იყვნენ რომაელები, ბიზანტიელები, არაბები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, სპარსელები, ოსმალები, მოგვიანებით, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან კი რუსეთის იმპერია.

ქართველი მეფეებისათვის ყოველთვის წინა პლანზე იდგა ეროვნული თვითმყოფადობისა და ღირებულებების შენარჩუნება. მათი პოლიტიკური კურსი მიზნად ისახავდა კულტურათა შორის დიალოგის წარმოებას, რამაც ასახვა ჰპოვა მულტიეთნიკური სახელმწიფოს შექმნაში, სადაც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მრავალი საუკუნის მანძილზე ცხოვრობდნენ და დღესაც ცხოვრობენ ერთად.

თანამედროვე მსოფლიოს, დღეს, როგორც არასდროს, სჭირდება განათლების, კულტურისა და ტრადიციების ზნეობრივ-ეთიკური მოძღვრების აღდგენა, რაც მხოლოდ და მხოლოდ მატერიალური და მორალური ღირებულებებისა და ხალხთა შორის დიალოგის აღდგენის გზითაა შესაძლებელი.

წინამდებარე ნაშრომი ეხება საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვან ასპექტებს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთ-საქართველოს შორის ურთიერთობებს არსებობის ისეთივე დიდი ხნის ისტორია აქვს, როგორც თავად რეგიონს, რომელშიც ეს ორი ქვეყანა მდებარეობს.

დღესდღეობით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დასახული სტრატეგია მოიცავს შემდეგ მიზნებს:

- ქართული სახელმწიფოს განვითარება და სიძლიერე აისახოს მისი მოქალაქეების კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაში; ეროვნული უსაფრთხოების ეფექტური სისტემის განვითარება;
- საქართველოს და რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; კიბერუსაფრთხოების განმტკიცება; ასევე, ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო ასპარეზზე მოქალაქეთა ინტერესების დაცვა და მსოფლიო სახელმწიფოთა შორის საქართველოს გამორჩეული პოზიციის დაკავება; საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება; ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცება;
- საქართველოს ეროვნული ინტერესების წინ წამოწევა; სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნული და კულტურული თვითმყოფობის უზრუნველყოფა;
- ქართული დიასპორის უფლებათა დაცვა;
- უკეთესი მსოფლიო საზოგადოებრიობის ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანა და ა. შ.

(ამასთან ერთად, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის განმტკიცება, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია; ეკონომიკის სტაბილური გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფა; დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა).

საქართველოს მთავრობის სტრატეგია ასევე მოუწოდებს ქვეყნის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარებისაკენ, რაც თავისთავად იმეორებს დიპლომატიური სამსახურის სტრატეგიულ მიზნებს.

თურქეთი ის სახელმწიფოა, რომელმაც საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ, 1991 წლის 16 დეკემბერს, ერთ-ერთმა პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. 1992 წლის 21 მაისს ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც გულისხმობდა ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დაარსებას. ორივე ქვეყნის დედაქალაქებში ფუნქციონირებს საქართველოსა და თურქეთის საელჩოები.

ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაიწყო ყოველმხრივი რეფორმების გატარების პროცესი, რომელიც მიზნად ისახავდა დემოკრატიული მთავრობისა და კანონმდებლობის შექმნას, ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, მყარი ეკონომიკური ზრდისა და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის გარანტი იქნებოდა, ამგვარად საქართველო იქცეოდა მძლავრი საზოგადოებისა და ორგანიზაციების მქონე, ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში სრულად ინტეგრირებულ ევროპულ სახელმწიფოდ.

საგარეო ურთიერთობები ძალიან დიდ როლს თამაშობს ყველა ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებაში; ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორ სახელმწიფოებთან ურთიერთობას, მით უმეტეს, როცა საუბარია ისეთ მეზობელ ქვეყანაზე, როგორც გახლავთ თურქეთი. ეს ის ქვეყანაა, რომელმაც ეკონომიკისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვა სფეროებში გაწეული პარტნიორობით ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის სტაბილურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, ამ თანამშრომლობის თვალსაჩინო მტკიცებულებაა ბათუმში, სტამბულში, ტრაპიზონსა და ანკარაში გენერალური საკონსულოების გახსნა. გარდა ამისა, თურქეთი და საქართველო ორივე ქვეყანაში მუდმივად ახორციელებს მაღალი დონის შეხვედრებს და ჩართულია ცალკეულ პროექტებში.

1992 წელს დაარსდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა; 1990 წლის დასაწყისში ჩატარებულ შეხვედრებს შედეგად მოჰყვა სამიტის დეკლარაცია, რომელსაც 1992 წლის 25 ივნისს სტამბულში ხელს აწერდა თურქეთი, ბულგარეთი, საქართველო, რუმინეთი, რუსეთი, უკრაინა, ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, საბერძნეთი და მოლდავეთი.

თურქეთის რესპუბლიკის მიერ შავი ზღვის რეგიონში შემუშავებული მეორე მნიშვნელოვანი ინიციატივა გახლავთ შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ჯგუფი Blackseafor, რომლის შეთანხმებასაც 2001 წელს სტამბულში ხელი მოაწერეს თურქეთმა, ბულგარეთმა, რუსეთმა, რუმინეთმა, საქართველომ და უკრაინამ.

ამავე სულისკვეთებით 2005 წლის 2 დეკემბერს საქართველოსა და უკრაინის აქტიური მონაწილეობით დაარსდა დემოკრატიული არჩევნის საზოგადოება, რომლის წევრი ქვეყნებიც არიან ექვსი პოსტ-საბჭოთა ქვეყანა (საქართველო, უკრაინა, მოლდავეთი და ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა - ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) და აღმოსავლეთ ევროპის სამი წევრი ქვეყანა (სლოვაკეთი, რუმინეთი და მაკედონიის რესპუბლიკა) და რომელიც მიზნად ისახავდა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე რუსეთის გავლენის აღკვეთას.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მახასიათებელს სწორედ ასეთი სახის საქმიანობა და ურთიერთობები წარმოადგენს, რაშიც ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საყრდენი თურქეთია. ამ პრინციპიდან გამომდინარე, საქართველო მუდამ მზად არის სასიკეთოდ განავითაროს და განამტკიცოს ორმხრივი თანამშრომლობა ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროებში, მოიზიდოს თურქული ინვესტიციები, და აწარმოოს დიალოგი უსაფრთხოების საკითხებზე.

დღესდღეობით თურქეთსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობა არ მოიცავს ისტორიულ ასპექტებს და პრაქტიკულად შორს არის კულტურული უთანხმოებისაგან. ორივე ქვეყანა მისდევს თანასწორობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს. მეტიც, ორივე ქვეყნის მოქალაქეები ტურისტული მიზნებისათვის უვიზო რეჟიმითაც კი სარგებლობენ; ქალაქ ბათუმის აეროპორტი მუდმივ რეჟიმში ემსახურება როგორც საქართველოს, ისე თურქეთის ქვეყნის წარმომადგენლებს; ორ ქვეყანას შორის მიმდინარეობს „საერთო ფანჯრის მოდელი“-ს დაარსება, და შემუშავების პროცესშია მხოლოდ უკანასკნელი დეტალები. ამასთანავე, 2011 წლის 31 მაისს ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ, თურქეთისა და საქართველოს მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ ამ ორი ქვეყნის საზღვარზე მხოლოდ პირადობის მოწმობა წარადგინონ (პასპორტის გარეშე).

თურქეთ-საქართველოს ურთიერთთანამშრომლობა შემოიფარგლება არა მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობით, არამედ ითვალისწინებს ასევე ისეთ რეგიონალურ პროექტებს, როგორცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, ბაქო-თბილისი-ერზრუმის ბუნებრივი გაზსადენის, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზისა (რომლის დასრულება გათვალისწინებულია 2012 წლისთვის) და სხვა საინტერესო პროექტებს.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში 1990 წელს მიმდინარე სეპარატისტული მოძრაობის საპასუხოდ, თურქეთმა თანადგომა გამოაცხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და აღნიშნული პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მიმართ.

რაც შეეხება აჭარას, მისი ავტონომიური სტატუსი განისაზღვრა მოსკოვისა (დადებული 1921 წლის 16 მარტს, თურქეთის დიდ ეროვნულ კრებასა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის, ქემალ ათათურქისა და ვლადიმერ ლენინის თაოსნობით) და ყარსის (დადებული 1921 წლის 13 ოქტომბერს ერთი მხრივ სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს, და მეორე მხრივ თურქეთს შორის) ხელშეკრულებებით.

ხელშეკრულების პირობებით, ყოფილი ყარსის სამმართველოს (გუბერნიის) რუსეთის ბათუმის რაიონი იყოფოდა. ჩრდილოეთ ნაწილს, საპორტო ქალაქ ბათუმთან ერთად, სომხეთი უთმობდა საქართველოს სსრ-ს; ხოლო სამხრეთი ნაწილი, ქალაქ ართვინთან ერთად უნდა დაეკავებინა თურქეთს. ხელშეკრულებაში აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ ჩრდილოეთ ნაწილს ენიჭებოდა ავტონომია საბჭოთა საქართველოს ფარგლებში; ანუ აღნიშნული ტერიტორია საბოლოოდ განაგრძობდა არსებობას აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა (დღევანდელი აჭარა) და ჯავახეთის ფარგლებში.

ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული მისი ძალაში ყოფნის ვადა. ყარსის სამშვიდობო ხელშეკრულებით გაფართოებულ იქნა მოსკოვის ხელშეკრულების ზოგიერთი დებულება ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებთან მიმართებაში და დაემატა რამოდენიმე მუხლი: საზღვრების გადაკვეთისა და საძოვრების შესახებ (მუხლი 7,8), აგრეთვე ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა საკითხებზე (მუხლი 18). დოკუმენტაციას ხელი მოეწერა ერევანში 1922 წლის 11 სექტემბერს.

გეოგრაფიული სიახლოვის მიღმა, ქართველი და თურქი ხალხი მაქსიმალურად ცდილობს გამოიყენოს მათ შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობა ორივე ერის სასიკეთოდ; ამ ორ ქვეყანას შორის ერთგვარი ხიდის როლს ასრულებენ ასევე თურქი მესხები; თურქეთის მთავრობა ხელს უწყობს საქართველოს მთავრობის ყოველგვარ წამოწყებას, რომელიც მიმართულია 1944 წლის საბჭოთა რეჟიმის მიერ ქვეყნიდან ცენტრალურ აზიაში გაძევებული თურქი მესხების სამშობლოში დაბრუნებისაკენ.

პოლიტიკური კავშირის პარალელურად ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობა პროგრესულად ვითარდება ეკონომიკისა და ვაჭრობის სფეროებშიც. განსაკუთრებით საქართველო-თურქეთს შორის 2007 წელს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებით, საქართველომ ვაჭრობის სფეროში უდიდესი პარტნიორი შეიძინა. ამის შედეგად, თურქეთის ორმხრივი ვაჭრობის მოცულობამ 2010 წელს მიაღწია 1.104 მილიარდ დოლარს, რაც საქართველოს საერთო საგარეო ვაჭრობის 16.5 %-ს უთანაბრდება. ამავე დროს, საქართველოში თურქი კონტრაქტორების მიერ განხორციელებული სხვადასხვა სახის საქმიანობის შედეგად შემოსულმა თანხამ 1 მილიარდ დოლარს გადააჭარბა; თურქულ ფირმებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ასევე ჰიდრო-ელექტრო სადგურის მშენებლობის საქმეში; უფრო მეტიც, 1997-2010 წლებში განხორციელებული თურქული ინვესტიციების ჯამი საქართველოში აღწევს 682, 3 მილიონ აშშ დოლარს.

საქართველო-თურქეთს შორის საკმაოდ პროდუქტიულად ვითარდება აგრეთვე ურთიერთთანამშრომლობა განათლების სფეროში. დაახლოებით ათამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთა შორის არის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ა.შ., სხვა უცხო ენებს შორის ისწავლება თურქული ენა და ლიტერატურა ან შემოთავაზებულია ცალკეული პროგრამები, მაგალითად, თურქეთისმცოდნეობა, თურქოლოგია და სხვ. შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამებზე აქტიურად სწავლობენ როგორც ქართველები, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

დღესდღეობით, დაახლოებით 296 თურქი სტუდენტი იღებს განათლებას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რის გამოც თურქებს მეორე ადგილი უკავიათ იმ უცხოელთა შორის, რომლებიც საგანმანათლებლო მიზნებით იმყოფებიან საქართველოში.

ტოლერანტობა ის ერთ-ერთი პრინციპია, რომლის დამკვიდრებას განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმებით ხელს უწყობს საქართველოს მთავრობა და კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ამ პროცესთან მჭიდრო კავშირშია საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური და ტექნიკური ძვრები.

ქვეყნის კეთილდღეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა. დადებითი სახის ურთიერთობა კი მხოლოდ და მხოლოდ კულტურათა შორის დიალოგის დამყარების შედეგია. სწორედ კულტურათა შორის დიალოგი წარმოგვიდგენს თანამედროვე აზროვნების მთავარ ასპექტებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს უქმნის მულტიკულტურული წარმატების ძირითად საყრდენს: ურთიერთგაგებას, პატივისცემასა და ნებისმიერი საკითხის დიალოგის გზით მოგვარებას;

ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ, როდესაც გარეშე ძალა ცდილობდა საქართველოზე საკუთარი კონტროლის დამკვიდრებას და ხალხთა შორის დიალოგიც პრაქტიკულად არ არსებობდა, საქართველო, ყველაფრის მიუხედავად, ცდილობდა გაეგრძელებინა დიალოგი და დაეცვა ტოლერანტობის პრინციპები, რადგან დიალოგი - ერებს შორის ნდობის გარანტიაა.

სამეცნიერო, მატერიალური და კულტურული ღირებულებების სწორი ჩამოყალიბებასა და აღქმას სწორი განათლება უზრუნველყოფს.

უმაღლესი განათლების ევროპული ჰორიზონტი პოზიტიურ პერსპექტივას ხაზავს, რაც თავის მხრივ მოიცავს რეგრესის აღმოფხვრას, მობილობის ხელშეწყობასა და სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აქტიურ ურთიერთთანამშრომლობას.

დღესდღეობით, განათლების მიზნებში უმთავრესი ადგილი უკავია ხარისხსა და სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესებას, საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი პროფესიის დაუფლებასა და ინტელექტუალური დონის ამაღლებას. შესაბამისად, უმაღლესი განათლების წინაშე დადგა ისეთი მოთხოვნები, როგორცაა სტუდენტთა დასაქმების უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო პროცესის მოქნილობა და გამჭვირვალობა.

როგორც ცნობილია, რეფორმის მთავარი მიზანი არის მასწავლებელზე ფოკუსირებული, პროცესზე ორიენტირებული განათლებიდან სტუდენტზე ფოკუსირებულ, შედეგზე ორიენტირებულ განათლებაზე გადასვლა. ამგვარი გზით, მოსწავლე თუ სტუდენტი აქტიურად ერთვება სასწავლო პროცესში, იძენს ყველა საჭირო უნარსა და კომპეტენციას, როგორცაა კომუნიკაცია მშობლიურ და უცხო ენებზე, მენეჯმენტი, წარმოება, ცოდნის ეკონომიკა, გუნდური მუშაობა და ა.შ. და რომელიც მნიშვნელოვანია შემდგომი დასაქმების თვალსაზრისით.

საბედნიეროდ, ევოლუცია სათანადოდ არის გაანალიზებული საქართველოში. საქართველოს მთავრობა და უნივერსიტეტების ადმინისტრაცია ჩართულია ღრმა დისკუსიაში არსებული პრობლემების შესახებ; ცდილობენ მოიძიონ მეტი უნივერსიტეტთაშორისი შეთანხმებები და აწარმოოს დიალოგი მათთან, ვინც დაინტერესებულია ორმაგი დიპლომითა და ცოდნის რელევანტურობის, სათანადო საგანმანათლებლო გარემოს შექმნის, სტუდენტთა მობილობისა და დასაქმების მაღალი მაჩვენებლების მიღწევით.

ამ მიზნის მიღწევისა და მულტიკულტურული გარემოს შექმნის მნიშვნელოვანი ინდიკატორი მრავალენოვნების ფაქტორია; სხვადასხვა ენების ცოდნა ყველა პიროვნების ცხოვრებასა და კარიერაში უდიდეს როლს თამაშობს როგორც პირად საქმეებში, ასევე პროფესიული მიზნების განხორციელებაში, მობილობაში, საერთაშორისო დონის კონტრაქტებსა და ცალკეულ პროექტებში ჩართვის საქმეში და, რაც ყველაზე მთავარია, უცხო ენების ცოდნა თანამედროვე შრომის ბაზარზე წამყვან ფაქტორს წარმოადგენს. აქვე მინდა გავიხსენო აზიაცი ვარშავის დეკლარაციიდან: „მრავალი ენის ცოდნის უნარი არის კომპეტენცია, რომელსაც ადამიანი იყენებს ცალკეულ ერებთან კომუნიკაციისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების დასამყარებლად, სადაც პიროვნება მოიაზრება როგორც სოციალური აგენტი, რომელმაც იცის სხვადასხვა ენები სხვადასხვა დონეზე და კარგად იცნობს სხვადასხვა კულტურების თავისებურებებს. ყოველივე ზემოაღნიშნული კი განიხილება არა ცალკეული კომპეტენციების შედარების ან დაპირისპირებისათვის, არამედ იმ კომპლექსურ კომპეტენციად (ან კომპეტენციების ნაკრებად), რომლის მეშვეობით მომხმარებელი სწორ გადაწყვეტილებას იღებს“.

1995 წელს საქართველოს განათლების სამინისტროს, დუშეთის გამგეობისა და თურქული ფორმების „მარსის“ და „ჩალარის“ (აღსანიშნავია, რომ 2004 წლის „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის შემოღების შემდეგ, თურქეთი რჩება ერთპიროვნულ დამფუძნებლად) თაოსნობით დაარსებული შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყოველივე ზემოაღნიშნულის ნათელი მაგალითია. მასში გაერთიანებული არიან მკვლევარები, მეცნიერები, მოაზროვნე და გონიერი ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურ თანამედროვე პირობებში მისწრაფვიან ტოლერანტობის, მაღალი მორალური ფასეულობების, დიალოგისა და პოზიტიური ურთიერთთანამშრომლობისაკენ. ხოლო ამ ყოველივეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ახორციელებს მეგობრული ატმოსფეროს შენარჩუნების ფონზე, სადაც სხვადასხვა ერების წარმომადგენლები ეცნობიან ერთმანეთის კულტურას, ტრადიციებსა და ღირებულებებს; საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის გარდა (სტუდენტური კონფერენციები, სემინარები, სიმპოზიუმები, ერთობლივი პროექტები და სხვა), შსსუ რეგულარულად აწყობს ისეთ სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებს, როგორცაა სპორტული შეჯიბრებები, საქველმოქმედო ღონისძიებები თბილისსა და სხვა ქალაქებში.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეძლევათ შანსი ისწავლონ რამდენიმე უცხო ენა - ინგლისური, რუსული, ფრანგული, ესპანური, თურქული; უცხოელი სტუდენტები სწავლობენ ქართულ ენას, რაც ზრდის მათი პროფესიული წარმატებისა და დასაქმების შანსს.

#### დასკვნა

რაც შეეხება საკუთრივ ქართულ-თურქულ ურთიერთობას, საქართველო და თურქეთი სტრატეგიული პარტნიორები არიან ისეთ სფეროებში, როგორცაა განათლება, ვაჭრობა, ეკონომიკა, ენერჯეტიკა, დაცვა და უსაფრთხოება. თურქეთის მხარდაჭერა დიდი მნიშვნელობისაა როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ასევე მისი ევრო-ატლანტიკურ სივრცეში გაერთიანებისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების საკითხებში. თურქეთ-საქართველოს მთავრობებს

შორის შემუშავებული გრძელვადიანი გეგმა არსებული ურთიერთთანამშრომლობის შემდგომ წლებში მეტად გაღრმავებას ითვალისწინებს ყველა შესაძლო მიმართულებით.

საქართველოსა და თურქეთს გააჩნიათ სათანადო პოტენციური წარმატებულად ითანამშრომლონ უფრო სტაბილური და განვითარებული რეგიონის შექმნის საკითხებშიც. ამ ორი ქვეყნის ძალისხმევა სასაზღვრო უსაფრთხოების საინფორმაციო საშუალებებისა და სასაზღვრო მენეჯმენტის განვითარების კუთხით, ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს.

თურქეთ-საქართველოს შორის თანამშრომლობის მეორე შესაძლო საკითხს ნატო-ში გაწევრიანება წარმოადგენს.

გარდა ამისა, მსოფლიოს ერთ-ერთ საკმაოდ მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს წყლის დეფიციტი. მტკვარ-არაქსის აუზი წყლისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვა ფასეულობების თვალსაზრისით შედარებით მდიდარ წყაროს წარმოადგენს. ამდენად, თურქეთსა და საქართველოს შესაძლო თანამშრომლობის სფეროდ მტკვრის აუზში გარემოს დაცვის საკითხებზე მუშაობის მიჩნევა არანაკლებ აქტუალურია.

რაც შეეხება განათლებას, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ისახავს რა მიზნად გახდეს შავი ზღვის რეგიონში წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, თავის მხრივ, უზრუნველყოფს აღნიშნულ პროექტებს თანამედროვე გლობალური საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი სამუშაო ძალით. სწორედ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელიც წარმოადგენს ხიდს ორ ქვეყანას - თურქეთსა და საქართველოს შორის, და ამავდროულად სხვადასხვა სახის ურთიერთობას აწარმოებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან, ის ერთ-ერთი დაწესებულებაა, რომელიც მისი საგანმანათლებლო თუ დიპლომატიური პოლიტიკის მეშვეობით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ორივე ქვეყნის განვითარების საქმეში.

#### **ინტერნეტ-რესურსები:**

1. [www.habermontor.com](http://www.habermontor.com)
2. [www.eqe.ge](http://www.eqe.ge)
3. [www.mfa.gov.ge](http://www.mfa.gov.ge)

## **ცნობილი თურქი ჰუმანისტი - მესუთ ბოზქირი**

### *ემზარ მაკარაძე*

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

XX საუკუნის დასაწყისში თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელს, მუსტაფა ქემალ ათათურქს, უთქვამს: „თურქეთს სჭირდება ძლიერი მეზობელი აღმოსავლეთში და ასეთ მეზობლად შეიძლება საქართველო იქცესო.“ ეს იდეა მაშინ ვერ განხორციელდა.

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის საქმიანი ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო 1992 წლის 30 ივლისს, როდესაც ამ ორ სახელმწიფოს შორის დაიდო „მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება“, რომელმაც დასაბამი მისცა ამ სახელმწიფოთა შორის კიდევ უფრო მჭიდრო და მეგობრულ ურთიერთობას.

თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოში, „ჩაღლარის“ სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა მესუთ ბოზქირის მეთაურობით, საჭიროდ ჩათვალეს, რომ განათლების სფეროში თანამშრომლობა ორი ქვეყნის დაახლოების საქმეში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებდა.

ცნობილი თურქი მეცენატი, მესუთ ბოზქირი დაიბადა 1960 წლის 1 მარტს, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ დენიზლიში. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ფამუქქალეს საშუალო სკოლაში. 1976 წელს დაამთავრა დენიზლის ინდუსტრიული ლიცეუმი და იმავე წელს ჩაირიცხა იზმირის 9 სექტემბრის სახელობის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის



სამშენებლო განყოფილებაზე. 1982 წელს აღნიშნული უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გახსნა სამშენებლო-საინჟინრო ბიურო.

ერთ პატარა სტატიაში შეუძლებელია იმ 18 წლიანი მუხლჩაუხრელი საქმიანობის შეფასება, რომელიც გასწია მესუთ ბოზქირმა, ორი ქვეყნის (თურქეთისა და საქართველოს) მოქალაქემ საქართველოში.

ერთის მხრივ, მისი საქმიანობა უკავშირდება იმ იდეოლოგიას, რომლის ავტორი და ინიციატორია მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული თურქი ლიდერი ფეთჰულაჰ გიულენი. აღნიშნული იდეოლოგია ემყარება ხარისხიანი განათლების გავრცელების, სიღარიბის დაძლევის, სახელმწიფოს გაძლიერების, მაქსიმალური გახსნილობის, ადამიანების, კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის და ტოლერანტობის მოთხოვნებს. მესუთ ბოზქირმა არამარტო დაამკვიდრა ეს იდეოლოგია, არამედ სრულიად ახლებურ საფეხურზე აიყვანა და რეალობად აქცია იგი.

1992 წლის მაისში, საქართველოსათვის მძიმე და რთულ პერიოდში, მესუთ ბოზქირი თავის გუნდთან ერთად, რუდუნებით შეუდგა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დიდი ხნის მანძილზე ჩატეხილი ხიდის აღდგენას და, რაც მთავარია, ისტორიულ მესხიერებაში მტრის ხატის თუ დიდი ხნის მანძილზე საბჭოთა წლებში განათლებაში დამკვიდრებული დოგმების გარდაქმნას. ამ ადამიანებმა, რომლებიც ნამდვილი მისიონერები იყვნენ, ჩვენთან ერთად გამოიარეს მძიმე და კარგი დღეები. გადალახეს ბევრი დაბრკოლება, მაგრამ არ შედრკნენ, რადგან მათ აღმოაჩნდათ ის თვისებები, რაც აუცილებელია ექსტრემალურ პირობებში მომუშავე ადამიანებისათვის - პიროვნული სიბრძნე, სიდინჯე, დაკვირვებულობა, ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭი, დიპლომატია, მათი მიზნების უალტერნატივობის მტკიცე შეგნება და, რაც მთავარია, საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარული, ნდობა, პატივისცემა და დიდი სურვილი, ამოდგომოდნენ მხარში, გაჭირვებაში მყოფ მეზობელსა და მეგობარს.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით, განათლების სამინისტროს ნებართვით და მის მიერ დამტკიცებული სასწავლო პროგრამებით, 1993 წელს მესუთ ბოზქირი თავის გუნდთან ერთად შეუდგა საქმიანობას, რის შედეგადაც შეიქმნა თბილისში დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი; 1994 წელს - ბათუმის რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის ლიცეუმი; 1995 წელს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; 1996 წელს - თბილისის დემირელის სახელობის კერძო დაწყებითი სკოლა; 2003 წელს - დემირელის სახელობის კერძო დაწყებითი სკოლა "სხივი" და დემირელის სახელობის საბავშვო ბაგა-ბაღი; 2004 წელს - ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიცეუმი; 2006 წელს - თბილისის ნიკოლოზ წერეთლის სახელობის საერთაშორისო სკოლა; 2007 წელს - რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა; მარნეულის დავით აღმაშენებლის სახელობის გახანგრძლივებული სწავლებისა და ენათა ცენტრები, ხოლო 2010 წელს მარნეულის შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა.

ფირმა „ჩაღლარის“ საგანმანათლებლო დაწესებულებები საქართველოს მასშტაბით პოპულარულ სასწავლებლებად ითვლება. ამ ფაქტთან დაკავშირებით მესუთ ბოზქირი აღნიშნავდა: „ჩვენი დაწესებულებები სანიმუშო მაგალითია თანამედროვე სასწავლო კერისა, სადაც მოსწავლეს საშუალება ეძლევა აქტიური მონაწილეობა მიიღოს სასწავლო-სამეცნიერო, საზოგადოებრივ-კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში. წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოება და წახალისება კი ჩვენი სასწავლო დაწესებულებების სასიამოვნო და სასარგებლო ტრადიციაა.”

„ჩაღლარის“ საგანმანათლებლო სასწავლებლები, სადაც სწავლა ქართულ და ინგლისურ ენებზე მიმდინარეობს, აკმაყოფილებს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს. აქ ყველა პირობაა შექმნილი პროფესიონალების მოსამზადებლად. კურსდამთავრებულებმა იციან მინიმუმ ოთხი ენა – ქართული, ინგლისური, თურქული და რუსული. ქართველების გარდა ეს სკოლები არაერთმა უცხოელმა დაამთავრა. შედეგი კი ის არის, რომ დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში: თურქეთში, აშშ-ში, ევროპაში, რუსეთში, ბალტიისპირეთში, შუა აზიასა და სხვა ქვეყნებში თქვენ შეხვდებით ამ სკოლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს, რომლებიც არიან საქართველოს დესპანები.

ბატონი მესუთი, ფირმა „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, წლების მანძილზე საქართველოში ახორციელებდა სხვადასხვა უფასო პროგრამებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი მხარდაჭერით გამართული „გლობალიზაციათა და ცივილიზაციათა დიალოგის“ საერთაშორისო სიმპოზიუმები და ღია შეხვედრები განსხვავებულ თემებზე.”

ბატონი მესუთის ინიციატივითა და მხარდაჭერით ყოველწლიურად იმართებოდა მწერლების, ჟურნალისტების, განათლების მუშაკთა, პოლიტიკოსების, მერიის თანამშრომლების, პარლამენტარების, საზოგადოებრიობის შეხვედრები თურქეთსა და საქართველოში. მისი

ორგანიზებული იყო საერთაშორისო ოლიმპიადები და კონკურსები მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის. კარგად არის ცნობილი ნორჩ გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადები, სადაც ყოველწლიურად 30 დან 40-მდე ქვეყნის წარმომადგენელი მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები მონაწილეობდნენ. ჩვენ ყველას არაერთხელ მიგვიღია მონაწილეობა ბატონი მესუთის მიერ მოწყობილ საქველმოქმედო აქციებში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ დღეს ქართველებმა გაიცნეს და შეიყვარეს თურქეთი, ეს პირველ რიგში ბატონი მესუთის დამსახურებაა. წლების მანძილზე არაერთ ადამიანს პიროვნულად მიუღია მისი რჩევა და მხარდაჭერა და უპოვნია თავისი ადგილი ცხოვრებაში.

ამ წლების მანძილზე ბატონი მესუთი და მისი გუნდი ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ყოველთვის ჩნდებოდნენ იქ, სადაც ყველაზე მეტად გვიჭირდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი მხარდაჭერა შიდა ქართლსა და მარნეულში უცხოური ენებისა და ქართული ენის შემსწავლელი ცენტრების ჩამოყალიბების საქმეში. გახსენების ღირსია ის ფაქტიც, რომ 2008 წლის ომის ცხელ დღეებში, საქართველოს გვერდით იდგნენ. თურქი მეგობრები იმყოფებოდნენ გორში და მართავდნენ უფასო სადილებს ლტოლვილებისათვის, არიგებდნენ ჰუმანიტარულ დახმარებებს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ისევე როგორც სკოლებში და საერთო საცხოვრებელში, 800-მდე ლტოლვილი ცხოვრობდა. მათ სხვებთან შედარებით უკეთესი პირობები ჰქონდათ შექმნილი და სხვა შენობაში გადასვლის შემდეგაც მათზე ზრუნვა არ შეუწყვეტიათ (**“საქართველოს რესპუბლიკა,” 04.12.2009**). ყოველივე ეს მესუთ ბოზქირის და მისი მეგობრების მიერ ჩატარებული საქმიანობის მხოლოდ მცირე ნაწილია.

2009 წლის 30 ნოემბერს, „დილოგ ევრაზიის პლატფორმა – საქართველოში,” „საქართველოს საგანმანათლებლო და შრომითი საქმიანობის ურთიერთდახმარების საერთაშორისო ფონდის,” „ჩაღლარის” საგანმანათლებლო დაწესებულებების და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ გამართული ღონისძიება მიემდვნა მესუთ ბოზქირის გაცილებას. ეს დღე განსაკუთრებული აღმოჩნდა ყველა ჩვენგანისათვის, რადგან მოულოდნელი გადაწყვეტილება ბატონი მესუთის სტამბულში გამგზავრების შესახებ ყველასათვის გულდასაწყვეტი იყო.

თავის გამოსვლაში მესუთ ბოზქირმა აღნიშნა: „31 წლის ვიყავი თბილისში რომ ჩამოვედი და დავიწყე საქმიანობა. აი, უკვე 18 წელია აქ ვმოდვაწეობ. ხუთი შვილი მყავს და 50 კვ/მ-იან ბინაში ვცხოვრობ. სტამბულში და დენიზლში 200 კვ/მ და 150 კვ/მ. კეთილმოწყობილი ბინები მაქვს, მაგრამ, როდესაც ჩემმა ცოლმა გაიგო, რომ ჩვენ საქართველო უნდა დავტოვოთ, მან მაინც აქ დარჩენა ისურვა, ვიდრე იქ წასვლა. ასე გვიყვარს მე და ჩემს ოჯახს აქაურობა და წასვლა ძალიან გვიძნელდება..... სადაც არ უნდა ვიყო, თურქეთი იქნება თუ სხვა რომელიმე ქვეყანა, ანდერმად ვიბარებ – **„მიმაბარონ საქართველოს მიწას.”** ამ ბოლო ფრაზით მესუთ ბოზქირმა თქვა თავისი სათქმელი ქართველი და თურქი ერის ურთიერთობის საქმეში (**“რეზონანსი,” 02.12.2009**).

2009 წლის 2 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ბატონ მესუთ ბოზქირს, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისა და განათლების სფეროს განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის გადასცა საპატიო ჯილდო - „ოქროს საწმისი.”

დაჯილდოების ცერემონიაზე საქართველოს პრეზიდენტმა მესუთ ბოზქირის საქმიანობა შემდეგნაირად დაახასიათა: „ეს არის ერთდროულად ძალიან კარგი და ამავე დროს ნაღვლიანი დღე. იმიტომ, რომ ბატონი ბოზქირი ტოვებს საქართველოს და ბრუნდება თურქეთში. დღეს თურქეთისა და საქართველოს ურთიერთობები გავიდა ახალ დონეზე. მესუთ ბოზქირმა თავის მეგობრებთან ერთად შექმნა ხიდი, რომელიც არასდროს ჩატყდება.” თავის სამადლობლო სიტყვაში ბოზქირმა ბრძანა: „გონიერ კაცს უთქვამს: „ხალხთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის საჭიროა ერთმანეთის უფრო კარგად და ახლოს გაცნობა. გული – სიყვარულით, გონება კი ცოდნით უნდა გვქონდეს სავსე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ჯილდო მე მივიღე ფეთჰულაჰ გიულენის იდეების წყალობით, ჩემი მეგობრების მონდომებით, გარჯით და შრომით” (**“ახალი ხიდი,” №1, 2010**).

2010 წლის 1 მარტს ბატონ მესუთ ბოზქირს შეუსრულდა დაბადებიდან ორმოცდაათი წელი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის და საქართველოში არსებული „ჩაღლარის” საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ადემ უნალის და თურქი და ქართველი მეგობრების სახელით ვულოცავთ ამ ღირსშესანიშნავ დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, წინსვლასა და წარმატებებს დიდად კეთილშობილურ საქმიანობაში.

დღეს ბატონი მესუთი საქართველოს ღირსეული მოქალაქეა. მჯერა მისი სახით საქართველოს ყველგან და ყოველთვის ეყოლება ღირსეული ელჩი. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადოთ

ბატონ მესუთ ბოჭორს იმისათვის, რაც მან ჩვენი ორი ქვეყნის ძლიერი სამიჯვრის ჩაყრისა და წარმატებული მომავლისათვის გააკეთა.

#### ლიტერატურა:

1. მ. ბერიძე, თურქულენოვანმა ლიცეუმმა მეგობრობა განამტკიცა, “ახალი ეპოქა”, №46, 2001.
2. ფ. დემირი, საქართველოს პრეზიდენტმა მესუთ ბოჭორს გადასცა ჯილდო განათლების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ჟურ. “ახალი ხიდი”, №1, 2010.
3. თ. ნადირაძე, “ანდერძად ვიბარებ მიმბარონ საქართველოს მიწას.” გაზ. “რეზონანსი“, 02.12.2009.
4. საქართველოში მცხოვრები მეგობრები ბატონ მესუთ ბოჭორის შესახებ, “საქართველოს რესპუბლიკა”, №64. 04.12.2009.
5. ჰუმანისტი და მაღალი ზნეობის ადამიანი, ჟურ. “ახალი ხიდი”, №1, 2005.

### გორის მოსახლეობა „ოსმალეთის“ პერიოდში (ოსმალური წყაროების მიხედვით)

#### *ელდარ მამისტვალიშვილი*

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ვახტანგ VI-ის დამოუკიდებელმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ, განსაკუთრებით რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარების ცდამ, გაამწვავა ქართლის სამეფოს ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან – ირანთან და ოსმალეთთან. გამწვავდა ურთიერთობა კახეთის სამეფოსთანაც. კახეთის მეფე კონსტანტინე ირანისა და დაღესტნელების მხარდაჭერით ქართლის დაჭერას ცდილობდა და 1723 წლის დასაწყისში თბილისსაც კი დაეუფლა.

ვახტანგის დახმარებით ოსმალებმა გორი უბრძოლველად აიღეს. ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ვახტანგ მეფეს ქართლში აღარ ედგომებოდა. იგი ჯერ იმერეთში გადავიდა, შემდეგ რუსეთს მიაშურა.

ოსმალებმა ქართლში დააარსეს შარიათის სამი სასამართლო საყადო – თბილისის, გორისა და თრიალეთის.

ახალმა ხელისუფლებამ 1728 წელს შეადგინა „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ [1]. საიდანაც ჩანს, რომ ოსმალებმა მოკლე დროში შეძლეს ქართლში თავიანთი საგადასახადო სისტემის შემოღება. დოკუმენტი XVIII საუკუნის „ოსმალეთის“ პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის უაღრესად საინტერესო წყაროა.

ასევე დიდი მნიშვნელობისაა ოსმალთა მოხელეების მიერ იმავე პერიოდში შედგენილი სამი დოკუმენტი, რომელშიც აისახა მათი საქმიანობა აღმოსავლეთ საქართველოში [7]

დოკუმენტებში მოცემულია სრულიად ახალი მასალა აღნიშნული პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ონომასტიკური, ისტორიული გეოგრაფიის რიგი საკითხების ახლებურად გააზრებისა და დაზუსტებისათვის. არის საინტერესო ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს ეთნიკური და დემოგრაფიული ვითარების შესასწავლად. ქართლის დემოგრაფიული მდგომარეობის გასარკვევად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ოსმალთა მოხელეებმა აღრიცხეს ის სოფლებიც, რომლებშიც მოსახლეობა აღარ იყო, მაგრამ იქიდან გადასახადები მაინც იკრიფებოდა.

დავთარმა გორის ლივაში შემავალი მრავალრიცხოვანი სოფლების ისტორიისათვის ძვირფასი ცნობები შემოგვინახა. მთლიანობაში მათი შესწავლა დიდ შრომასა და დროს მოითხოვს. ამიტომ, ამჯერად, მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან საკითხს – გორის რაბათის მოსახლეობას შევეხები.

ჩვენი ქალაქის წარსულის შესასწავლად თუ როგორ ძვირფას წყაროსთან გვაქვს საქმე, ამაში დავრწმუნდებით მასზე თვალის ერთი გადავლებითაც. მასში აისახა ოსმალეთის პერიოდის საქალაქო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა მხარე. ჩანს, როგორ აღადგინეს დაზიანებული გორის ციხე, როგორ ხორციელდებოდა თბილისის დაკავშირება გორთან, როგორი იყო ამ ქალაქში განთავსებული საოკუპაციო ლაშქარის სახეობები, როგორ მარაგდებოდნენ ისინი, როგორი იყო მათი ყოველდღიური ულუფა და ჯამაგირი.

მკირფასია ის ცნობები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან შიდა ქართლისა და, კერძოდ გორის ადმინისტრაციულ მოწყობაზე, მოსახლეობის რაოდენობასა და ეთნიკურ შემადგენლობაზე, მათ სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ოსმალების მიერ დაწესებული გადასახადების სახეობებსა და რაოდენობაზე.

უძრავი და მოძრავი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი ვაკუფის საკუთრებაში იყო.

1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ გვიჩვენებს, როგორ მუშაობდა ოსმალეთის სახელმწიფო ბიუროკრატიული სისტემა, როგორი იყო ამგვარი დოკუმენტის შედგენის პრინციპი.

დავთარის მიხედვით გორში 262 კომლი იყო [3: 262]. თუ ეს სიმართლეს შეეფერება, მაშინ სიაში შეყვანილი 450 მამაკაცი აღნიშნული კომლების შრომისუნარიანი მამაკაცები არიან. ვფიქრობ, ესენი პასუხისმგებელნი იყვნენ კომლის მიერ გადასახადების მოწესრიგებულად და დროულად გადახდისათვის. სია შედგენილია გორში არსებული ექვსი დასახლების მიხედვით: „გივის“ დასახლება – 82 მამაკაცი, „როსთომის“ დასახლება – 50 მამაკაცი, ვარდის უბანი – 60 მამაკაცი, კირნაქის (კვერნაქის) – 36 მამაკაცი, ყოვლადწმინდას დასახლება – 54 მამაკაცი, ფარსადანის დასახლება – 167 მამაკაცი. ამ უკანასკნელში აღრიცხული მამაკაცების რაოდენობიდან ჩანს, რომ იგი გორის ყველაზე დიდი და მჭიდრო დასახლება უნდა ყოფილიყო.

გორის რაბათის ყველა დასახლებიდან დავთარში შეყვანილი ისფენჯი მამაკაცების საერთო რაოდენობა იყო 448 [1: 439-444].

დავთარში დასახლებული მამაკაცები ძირითადად არიან ის ადამიანები, ვინც გორის რაბათში სოფლის მეურნეობას მისდევდნენ და ფლობდნენ მიწის ნაკვეთების გარკვეულ ფართობს. აქედან ბალის მფლობელი იყო – 43, ვენახის – 7, ბოსტნის – 7, ველის კი – 32.

ქართული ხელისუფლების მიერ 1721 წელს ჩატარებული აღწერის დროს გორში 380 კომლი, დაახლოებით 1900 სული ცხოვრობდა. განსხვავება, 1728 წელის ოსმალების მიერ აღწერის მასალების მონაცემებთან, საკმაოდ სერიოზულია. ოსმალებისგან დაპყრობილ გორში მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირებულია დაახლოებით 120 კომლით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის ერთმა ნაწილმა დატოვა გორი და მახლობელ სოფლებში ან შეიძლება იმერეთში გადავიდა, სადაც ოსმალები მოსახლეობას სერიოზულ პრობლემებს არ უქმნიდნენ. იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ოსმალო მოხელეები შეგნებულად ამცირებდნენ ოფიციალურ აღწერის სიებში გადასახადების გადამხდელთა რაოდენობას. ასეთი პრაქტიკა ოსმალეთში [5: 587] და საქართველოშიც, კერძოდ ქართლში არსებობდა. ოფიციალურის გარდა, ზოგადად, მოსახლეობის შემცირებული რაოდენობით შეტანა აღწერის ნუსხებში ხდებოდა სუბიექტური მიზეზითაც, რამდენადაც ცნობილია ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სხვადასხვა მებატონეთა ყმები შეადგენდნენ. ბუნებრივია, მებატონეები ცდილობდნენ მათი ყმები არ მოხვედრილიყვნენ ნუსხებში, რათა სახელმწიფო ხაზინაში არ წასულიყო მათი შემოსავლის ნაწილი. ამ მხრივ ერთი საინტერესო, 1715 წლის საბუთი გამოქვეყნებული ჟურნალ „მოამბეში“, მოჰყავს ვ. ჯაომვილს. აღნიშნულ წელს რუისის ეპისკოპოსს ნიკოლოზ მროველს აუწერია თავისი სამწყმოსოს საეკლესიო ყმები და აღწერის მასალისათვის დაურთავს გარკვეული პირებისათვის გაფრთხილება, რომ მათ აღწერის დავთარი მეფის მოხელეთათვის არ ეჩვენებინათ, რათა ყმათა რეალური რაოდენობა და მათი ქონებრივი შესაძლებლობა ცნობილი არ გამხდარიყო და ეკლესიის შემოსავალი არ შემცირებულიყო [9: 23].

გორის რაბათში ცხოვრობდა 381 გადასახადის გადამხდელი მამაკაცი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თითოეული მათგანი თითო ოჯახს წარმოადგენდა. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ შეიძლება მიახლოებით მაინც ვივარაუდოთ საინტერესო პერიოდის გორის მოსახლეობის რაოდენობა – დაახლოებით 2 ათასი სული და უფრო მეტიც. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის მეთოდი, რომლის მიხედვითაც ხდებოდა მოსახლეობის აღწერა ფეოდალურ საქართველოში.

1721 წლის აღწერის დავთარის შესავალში მდივან მწიგნობარი გივი თუმანიშვილი აღნიშნავს, რომ აღწერის დავთარში შეიყვანეს მხოლოდ ის კომლები, რომლებსაც შეეძლოთ სამხედრო სამსახურის შესრულება („რომელთა ძალედვა აბჯართა და ცხენთა ხმარებანი“) და შეეძლოთ ბეგარა-გადასახადების გადახდა („სამეფოთა ხარჯთა და ბეგარათა გამოღებანი“), ხოლო უქონებელნი და უმწეონი სიიდან გამოტოვეს [6: 3].

დავთარში არ შეჰყავდათ ის კომლებიც, რომლებიც ქვრივი ქალისა და ბავშვებისაგან შედგებოდა, არ შეჰყავდათ მოსახლეობის ის პრივილეგირებული ნაწილი, რომელიც გადასახადით არ იბეგრებოდა [9: 22]. ოსმალებმა კი გადამხდელთა სიებში შეიყვანეს ქართული მოსახლეობის პრივილეგირებული ნაწილიც – სამღვდელთა და თავად-აზნაურები.

გორის მოსახლეობა, თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარის მონაცემების მიხედვით, შეიძლება დავყოთ გადასახადთა გადამხდელთა კატეგორიებისა და რელიგიური აღმსარებლობის მიხედვით. მათ

შორის, პირველ რიგში, უნდა დავაყენოთ ე. წ. „ისფენჯი კაცები“. მკვლევართა შორის, ისფენჯის შესახებ, აზრთა სხვაობაა [3: 421-423].

ვფიქრობ, „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“ გამომდინარე, მისაღებია ვ. გაბაშვილის მიერ მოცემული განმარტება, რომელიც დამყარებულია „გურჯისტანის დიდი დავთარის“ მასალებზე და ქართულ სინამდვილეს ასახავს.

ვ. გაბაშვილი აღნიშნავს, რომ „ისფენჯი“ ყველა სოფლის საგადასახადო ნუსხაში პირველად დასახელებული და მოსდევს სოფელში მცხოვრები ქართული სახელებისა და გვარების მატარებელი მამაკაცების სია.

ნ. შენგელია, როგორც ჩანს იზიარებს ვ. გაბაშვილის განმარტებას „ისფენჯის“ შესახებ და აღნიშნავს, რომ ისფენჯის გადასახადი დაწესებული იყო მიწით სარგებლობისათვის და მას იხდიდა ქრისტიანი მოსახლეობა [2: 41; 7: 281].

ვფიქრობ, დავთარი უფლებას გვაძლევს დასახელებული მკვლევრების მიერ ნაგულისხმევი „ისფენჯი კაცების“ წრე გავაფართოვოთ და მათ შორის შევიყვანოთ ყოველგვარი საკუთრების მფლობელი ქრისტიანი მამაკაცები.

გორში განთავსებული იყო ოსმალური ლაშქრის განსხვავებული დანიშნულების მქონე სხვადასხვა კონტიგენტი. ჯარისკაცები სამსახურის სანაცვლოდ იღებდნენ ულუფას და ფულად ანაზღაურებას. მათი უზრუნველყოფისათვის თბილისიდან გორში იგზავნებოდა თითქმის ყველაფერი და გადაჰქონდათ ჩალვადრებს, რისთვისაც გასამრჯელოს იღებდნენ. დოკუმენტში ვკიხულობთ: „ჩალვადართა ხელფასის, პროვიანტით დატვირთვის და ტვირთის იანიჩართა უმაღლესი სამეუფეო კარის ბაირაღების ჯარისკაცთა ნივთების გაგზავნის თაობაზე თბილისიდან გორის მიმართულებით არზუჰალისა<sup>1</sup> და ხსენებული ვეზირის, თბილისის მცველის ისჰაკ ფაშას მიერ“ [7: 233].

ჩანს, რომ თბილისიდან გორამდე ოსმალების მოგზაურობა და ტვირთის გადატანა გარკვეულ ხიფათთან იყო დაკავშირებული და ეს განაპირობებდა მგზავრებისა და ტვირთისათვის შეიარაღებული რაზმის გაყოფას. დოკუმენტში ერთგან ვკითხულობთ, რომ ვეზირმა ისჰაკ ფაშამ 23 ზილ ჰიჯეს 1143 წლისა (29.08.1731) გასცა ბრძანება გორში მყოფ აზაბთა საქონლის პროვიანტით მომარაგების შესახებ. სერდენგეჩთიანთა იანიჩრების თავზეხელაღებულთა რაზმს დაევალა პროვიანტის გაყოლა და დაცვა [7: 234, 238]. ამგვარი ღონისძიებების გატარება ოსმალებს ხშირად უხდებოდათ [7: 233, 234, 238, 304].

ლაშქრის ერთ-ერთი სახეობა იყო ჯებეჯიანები ანუ მეიარაღეები, მეაბჯრეები. ისინი ძირითადად სამეურნეო საქმიანობას ეწეოდნენ. მათ მოვალეობას შეადგენდა იარაღის დამზადება, დაცვა, გადაზიდვა და განაწილება. მათი მეთაური იყო ჯებეჯი ბაში [7: 17, 101], ჯერ აჰმედ ალა, შემდეგ ილჰაჯ აჰმედი.

გორში დაბანაკებული იყვნენ თოფჩიები – მეზარბაზნეები, რომლებსაც მეთაურობდა თოფჩუ-ბაში [4: 142]. გორის თოფჩიების ხელფასი შეადგენდა 32696,5 ყურუში ესედს [7: 17].

გორის ციხის მცველები, იანიჩრები – ულუფის სახით იღებდნენ ფქვილს [7: 20-21], ხელფასის სახით გაიცემოდა წელიწადში 1510 ყურუში ესადი და 16 ფარა [7: 36]. მათი მეთაური იყო ალა მუსტაფა.

გორის მცველი ჯარისკაცების რაოდენობა ცვალებადი იყო: 272, 254, 253, 261, 246. თითოეული მათგანი დღეში იღებდა წყვილ პურს, დაახლოებით 0,2 ოყა ხორცს და ერთ ქილა ქერს [7: 48, 52].

ჯებეჯიანების რაოდენობა იყო 66, 37, 34, 32, 73, 62 და თითოეულ მათგანზეც იგივე ოდენობის ულუფა გაიცემოდა [7: 53-57].

თოფჩიანები – 73, 62, 57, 52, ულუფა იგივე [7: 57-63]. ისინი ემორჩილებოდნენ ჯერ თოფჩი ალა მუსტაფას, შემდეგ ალა მეჰმედს.

გორის ციხეში დაბანაკებული იყო 46 მუსტაფაზი, რომლებსაც ევალებოდათ ციხის, გამაგრებული ადგილის და დაბანაკებული ლაშქრის დაცვა. ესენიც იგივე ულუფას იღებდნენ [7: 68, 308]. გორის ციხეში იდგა, აგრეთვე, 23 ცხენოსანი აზაბანი, ილჰაჯ იბრაჰიმის მეთაურობით [7: 69].

საეჭვოდ მეჩვენება, რომ XVIII ს. პირველ ნახევარში გორში იმდენ მუსლიმანს ეცხოვროს, რამდენიც დავთრის მიხედვით შეიძლება ვიგულისხმოთ. პირველ რიგში ეს ეხება იმ გორელებს, რომლებიც ფლობდნენ ბაღებს, ვენახებს და ბოსტნებს და იხდიდნენ უშრის გადასახადს.

ვ. გაბაშვილის განმარტებით, უშრის, უშრის/უშურის მიწა განიხილებოდა როგორც საკუთრება და ამ გადასახადს, მხოლოდ მუსლიმანი იხდიდა [2: 162, 322, 341]. გამოდის, რომ ვენახის 8 მფლობელი, მათ შორის ქართული სახელების მატარებელი ადამიანებიც – თამაზა გორგიჩას ძე, ზურაბ ესტატეს ძე, ბარამის ძე, ფარსადან ბაბუნის ძე, რესან ხანი, ვესან ხანი, არსა ელ მუნეფ ხანი, ოდა ბაში, მუსლიმანები

<sup>1</sup> არზუჰალი – განცხადება, არზა, თხოვნა, ოსმალური საფინანსო დოკუმენტის გარკვეული კატეგორია [7: 306].

იყვნენ. ამიტომაც არ არიან ისინი ისფენჯი კაცების ნუსხაში. მათ ხელში იყო 150 დონუმი ვენახი. თითოეული ერთ დონუმზე იხდიდა 40 ახჩას, სულ კი – 6000 ახჩას.

იმავე განმარტების ნიხედვით თუ მივუდგებით, მუსლიმანები ყოფილან ხეხილის ბაღების მფლობელები: ქაიხოსრო მანუჩარის ძე, ბანო ბერას ძე, როსტომ გაბრიელის ძე, მანუჩარ ბანუს ძე, ბაღდად ზურაბის ძე, დავით ფარსადანის ძე, ბერო გორგიჩას ძე, ჰაზირ კუსურველის ძე, დავითი, გასპარ გაბრიელის ძე, გაბრიელ რუბენის ძე, ესტატე ბადოს ძე, პეტრე ბასოს ძე, მაჰმუდ აბდალაჰის ძე, გივი რამაზის ძე, გაბრიელ ისთაფანის ძე, დოღმაზ რამაზის ძე, ქემიშ მინასი ნასყიდას ძე, არაქელ მინასის ძე, ამირან სადის ძე, ჩუბინა ნიკოს ძე, ბარამ დოღმაზის ძე, ბაღდასარი, ფარსადან ბეჟანის ძე, ალექსი, ავნია ბარას ძე, არაქელ ბაინდურას ძე, ოთარ დათუნას ძე, გოდერძი ჯურჯი, ნასყიდა მოქერის ძე, ნაზარ ბადას ძე, ფარსადან ზაალის ძე, თუთარა, ზურაბ ესტატეს ძე, გაბრიელ გიორგის ძე, საბა და ნასყიდა, რომლებსაც ეკავათ 60,5 დონუმი ბაღი.

უშრის გადასახადს საბოსტნე მიწაზე იხდიდნენ: როსტევანი, გორგიჩა, ზაალი, ღუსტანი ფერიდუნი, ბერო და როსტომი, რომლებიც ფლობდნენ 3 დონუმს და იხდიდნენ 5200 ახჩას. გამოდის, რომ ისინიც მუსლიმანები იყვნენ.

გორი თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, უძველესი დროიდან გამოირჩეოდა წისქვილების სიმრავლით. დავთარი საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ და დავადგინოთ წისქვილების მფლობელთა რაოდენობა, რამდენი თვლიანი წისქვილის მფლობელნი იყვნენ: „წისქვილი გორგიჩას ხელში ორი თვალი“; „წისქვილი ავთანდილას ხელში ორი თვალი“; „წისქვილი გენება ოჰანის ძის ხელში ორი თვალი“; „წისქვილი გივი რამაზის ძის ხელში, თვალი 2“; „ორი თვალი წისქვილი ამჯერად აბდალაჰ იუზბაშის მფლობელობაშია“; „წისქვილი თვალი 2“; „წისქვილი თუმან მჭვდლის ხელში, თვალი 3“; „ფარსადანის ხელთ არსებული წისქვილის თვალი იყო 2“; „თარჯიმან ფარსადანის ხელთ არსებული წისქვილის თვალი იყო ორი“; „წისქვილი დოღმაზისა ორი თვალი“; „ავთანდილის ხელთ არსებული წისქვილის თვალი 2“; „სულხანის ძის ხელთ არსებული წისქვილის თვალი 3“; „უწინდელი ბაღი ავთანდილის ხელთ არსებული გაუქმებულია. მისი საზღვარია, ერთის მხრივ, მდინარე ხარუფი (?), მეორეს მხრივ, მდინარე ფშანი და ერთის მხრივაც წისქვილი ავაქისა“; „წისქვილი თვალი 4“; „წისქვილი თვალი 26 სრული წლით, გადასახადი 2960“

ასეთია “1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარის” მონაცემები და ზოგიერთი ის სიახლე, რომელიც ქართულმა დოკუმენტებმა არ შემოგვინახა XVIII საუკუნის 20–30–ანი წლების გორის მოსახლეობისა და მათი ქონებრივი მგომარეობის შესახებ.

#### **დამოწმებანი:**

1. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I. ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ, I-II, თბ., 2009.
2. გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XV-XVII საუკუნეებში, თბ., 1958.
3. გორგაძე ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი ქსნისა და არაგვის ხეობაში „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარის“ (1728 წ.) მიხედვით, „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, №12, თბ., 2005.
4. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ., II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973.
5. მამისთვალიშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II (XVII ს. პირველი ნახევარი - თეიმურაზ I-ის ეპოქა), თბ., 2011, გვ. 587.
6. მასალები საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, გამოცემული ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, თფ., 1907.
7. სამი ოსმალური წყარო თბილისის ისტორიისათვის (1730-1732 წლები), თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 2008
8. შენგელია ნ., ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით, თსუ შრომები, №91, თბ., 2000
9. ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984

## საქართველო და თურქეთის ინიციატივა კავკასიის ქვეყნების კონფერენციის მოწვევის შესახებ (1921 წლის იანვარი)

*მალხაზ მაცაბერიძე*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სრული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ერთ-ერთი ნაკლებად შესწავლილი პერიოდი 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის წინა ხანებია. სტატიაში განხილულია ქართული პოლიტიკური სპექტრის დამოკიდებულება ამიერკავკასიის ქვეყნების კონფერენციის ჩატარების წინადადებისადმი, რომელიც თურქეთის ხელისუფლებამ შესთავაზა რუსეთის ფედერაციას. ეს საკითხი 1921 წლის იანვრის შუა რიცხვებში ქართულ პრესაში აქტიური განხილვის საგანი გახდა. ამ თემაზე სარედაქციო წერილები გამოაქვეყნეს იმდროინდელი საქართველოს წამყვანი პოლიტიკური ძალების (სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების და ეროვნულ-დემოკრატების) გაზეთებმა - "ერთობამ", „სახალხო საქმემ“ და „საქართველომ“.

1921 წლის იანვარში საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა უაღრესად რთული იყო. სომხეთ-თურქეთის ომმა (1920 წლის 24 სექტემბერი - 2 დეკემბერი) და სომხეთის გასაბჭოებამ (1920 წლის 2 დეკემბერი) სრულიად ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია შექმნა სამხრეთ კავკასიაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახით კავკასიაში ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო დარჩა, რომელიც საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის იყო მოქცეული და მოკავშირე არ ჰყავდა, რომელიც მას მოსალოდნელი აგრესიის მოგერიებაში დაეხმარებოდა.

რუსეთის ფაქტობრივი ოკუპაციის ქვეშ მყოფი აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკები მოსკოვის წაქეზებით საქართველოს ხელისუფლებას სხვადასხვა პრეტენზიებს უყენებდნენ. მათ არც საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება ჩამორჩებოდა. მიუხედავად 1920 წლის 7 მაისს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულებისა, საქართველო თავის უსაფრთხოებას უზრუნველყოფილად ვერ ჩათვლიდა.

საქართველოსთვის ამ რთულ პერიოდში მნიშვნელოვანი იყო თურქეთის პოზიცია, თუმცა ეს უკანასკნელი იმ დროისათვის საბჭოთა რუსეთს თავის "ბუნებრივ" მოკავშირედ განიხილავდა "დასავლეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ" საერთო ბრძოლაში. ეს ცხადია ზრდიდა რუსეთ-თურქეთის შეთანხმების მიღწევას საქართველოს ხარჯზე.

საქართველოს მთავრობამ მუსტაფა ქემალ-ფაშას ხელისუფლებას შესთავაზა საზავო მოლაპარაკებების დაწყება. 1921 წლის იანვრის შუა რიცხვებში ქართულ პრესაში გამოქვეყნდა თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის ახმედ-მუხტარის 1920 წლის 15 დეკემბრის მიმართვა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ჩიჩერინისადმი. ამ წერილიდან ირკვეოდა, რომ თურქეთის ხელისუფლება არ აპირებდა საქართველოსთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას მანამდე, სანამ არ ეცოდინებოდა რუსეთის პოზიცია და ამასთან დაკავშირებით მოსკოვისაგან განმარტებებს ჯერ კიდევ 1920 წლის 22 ნოემბრის ნოტიო ითხოვდა. "ჩვენ მეგობრულად მოვითხოვთ გაეცნოთ ჩვენთვის რუსეთის შეხედულება საქართველოს საკითხის შესახებ, მაგრამ დღემდე არავითარი პასუხი არ მიგვიღია. მეორე მხრივ ჩვენ გვესმის, რომ შესაძლებელია ომი დაიწყოს წითელ ჯარებსა და ქართველებს შორის. თუ ეს ცნობა მართალია, მაშინ მოსალოდნელ გაუგებრობათა გამოსარკვევად ჩვენ გვინდა ვიცოდეთ თქვენი მთავრობის განზრახვები", - მიმართავდნენ 1920 წლის 15 დეკემბერს ჩიჩერინს (5).

საქართველოში ამ ნოტასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარებში პირველ რიგში ხაზი გაესვა საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის არსებულ უნდობლობას, რაც ბუნებრივად მიაჩნდათ "იმისთანა სახელმწიფოთა დაკავშირების დროს, რომელნიც ისტორიული მტრები არიან და მომავალშიაც მათი ინტერესები ერთმანეთს ეჯახება" (3).

მიუხედავად ანტანტის წინააღმდეგ გამოცხადებული „საერთო ფრონტისა“, საბჭოთა რუსეთიც და ქემალისტური თურქეთიც მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ინგლისთან. ორივეს ემინოდა, რომ მეორე მხარე მიაღწევდა შეთანხმებას ანტანტასთან. „ვინ დაასწრებს და ვინ შეუთანხმდება ანტანტას? აი, დღევანდელი საკითხი, რუსეთს ემინიან ქემალისტების დალატისა, ხოლო ქემალს, როგორც სჩანს, ძლიერ აფიქრებს ის მოლაპარაკება, რომელიც ინგლის-რუსეთს შორის არის გამართული“, - ასე აფასებდნენ საქართველოში რუსეთ-თურქეთს შორის არსებულ ურთიერთობებს (3).

შექმნილ რთულ საგარეოპოლიტიკურ ვითარებაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქემალისტური თურქეთი საბჭოთა რუსეთს სთავაზობდა ამიერკავკასიის ქვეყნების კონფერენციის ჩატარებას და ამ კონფერენციაზე საქართველო მიწვეული არ იყო. „ქემალ-ფაშას მთავრობის წინადადებით და რუსეთის დასტურით განზრახულია მოწვევა კავკასიის ხალხთა კონფერენციისა. რუსეთს წინასწარად აღუნიშნავს კიდეც, თუ ვინ უნდა იყვნენ მონაწილენი ხსენებულ კონფერენციისა. ესენი იქნებიან: რუსეთი, ოსმალეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი, რომელთა წარმომადგენელნი უნდა შეიკრიბონ მოსკოვსა ან ბაქოში. ადგილის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა“, - აღნიშნავდა ერთ-ერთი ქართული გაზეთი (2).

საქართველოში რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის დეტალები არ იცოდნენ, მაგრამ თბილისში უმასპინძლეს თურქეთის დელეგაციას, რომელიც რუსეთის ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად მიდიოდა. 1920 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში თურქეთის დელეგაცია გამოვიდა ანკარიდან და 1921 წლის 7 იანვარს ყარსში ჩავიდა. აღნიშნული დელეგაცია მოსკოვისაკენ მიმავალ გზაზე 10 დღით თბილისში შეჩერდა და მხოლოდ 29 იანვარს ჩავიდა ბაქოში, საიდანაც დელეგაცია მოსკოვისაკენ 6 თებერვალს გაემგზავრა (8).

რატომ გამოვიდა ქემალისტური თურქეთი ამიერკავკასიის ქვეყნების კონფერენციით მოწვევის წინადადებით? როგორც უკვე ითქვა, თურქეთი დაინტერესებული იყო რუსეთის პოზიციის გარკვევით სამხრეთ კავკასიის საკითხებში. გარდა ამისა, თურქეთის ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ კავკასიის ქვეყნების კონფერენცია საბჭოთა რუსეთის გარკვეულ დისტანცირებას მოახდენდა კავკასიაში არსებული საბჭოთა რესპუბლიკების - აზერბაიჯანისა და სომხეთისაგან. თურქები იმედოვნებდნენ, რომ შეძლებდნენ "ახლო ურთიერთობების" დამყარებას საბჭოთა აზერბაიჯანთან. თუმცა, მოსკოვისკენ მიმავალი თურქეთის დელეგაციის ბაქოში ხანმოკლე ყოფნაც საკმარისი აღმოჩნდა ასეთი იმედების გასაცრუებლად (8).

საბჭოთა რუსეთის მესვეურებს არ უნდოდათ, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკებს ანგორას ხელისუფლებასთან დამოუკიდებელი მოლაპარაკებები ეწარმოებინათ. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რის გამოც საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამ უარი თქვა კონფერენციის ბაქოში ჩატარებაზე და მოსკოვი არჩია. გარდა ამისა, მოსკოვი თვლიდა, რომ სამხრეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს კონფერენციაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ არა ცალკე დელეგაციების სახით, არამედ რუსეთთან ერთიანი დელეგაციის შემადგენლობაში და საერთო პოზიციით გამოსულიყვნენ. (8)

ამიერკავკასიის ქვეყნების კონფერენციის მოწვევის იდეა იმ დროინდელ ქართველ პოლიტიკურ ანალიტიკოსებს უცნაურად მოეჩვენათ, რადგანაც, რეალურად, სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი დამოუკიდებელი ქვეყანა - საქართველო იყო დარჩენილი. "ვინ არ იცის, რომ დღეს მთელს კავკასიაში არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ერთი პოლიტიკური ერთეული, რომელსაც სახელმწიფოს სახელწოდება შეიძლება მიენიჭოს. ეს არის საქართველოს რესპუბლიკა", - აღნიშნავდა, მაგალითად, გაზეთი "საქართველო" და გაკვირვებას გამოთქვამდა: "ნუ თუ ანგორის მთავრობას გულწრფელად სჯერა, რომ მომავალ კონფერენციაზე ეს ორი "სახელმწიფო" (საბჭოთა აზერბაიჯანი და სომხეთი - მ.მ.) გამოვა თავის საკუთარ აზრით და დამოუკიდებლად შეუდგება დასმულ პრობლემათა გადაჭრას?!“ (4).

ამიერკავკასიის ქვეყნების კონფერენციის მოწვევის იდეამ ყველას გაახსენა ახლო წარსული, როდესაც ასეთი შეხვედრები მართლაც ტარდებოდა სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს მონაწილეობით. თუმცა ეს შეხვედრები უშედეგო აღმოჩნდა და ვერ გადაჭრა სომხეთ-აზერბაიჯანს შორის არსებული ტერიტორიული დავა. „დღიდან დამოუკიდებელი საქართველოს გაჩენისა მისი მთავრობა იმის ცდაში იყო, რომ მეზობლებს დაახლოვებოდა და მათთან სოლიდარული მუშაობით ამიერკავკასიაში დაემყარებია ხალხთა და სახელმწიფოთა ნორმალური განვითარების პირობები. სამწუხაროდ მან მიზანს ვერ მიაღწია, ვინაიდან არც აზერბაიჯანის მართველი წრეები და მით უფრო არც სომხეთის სვებედის გამგენი არ იყვნენ საამისოდ განწყობილნი, როგორც ერთი, ისე მეორე მეზობელიც თავის იმედებს ამყარებდნენ გარეშე ძალაზე და მეზობლის ხარჯზე ლამობდა საკუთარი ბედნიერების აგებას“, - აღნიშნავდა „ერთობა“ (1).

საქართველოში კავკასიის ქვეყნების კონფერენციის ჩატარების აუცილებელ პირობად მიაჩნდათ ამ ქვეყნების დამოუკიდებლობა, - „ამიერკავკასიის ერებმა თვითონ უნდა გადასწყვიტონ თავისი ბედი, თვითონვე უნდა მოახდინონ შეთანხმება ურთიერთ შორის და გამოარკვიონ, გადასწყვიტონ არსებითი სადაო საკითხები“ (2), რაც შექმნილ ვითარებაში არარეალური იყო. როგორც აღინიშნებოდა, გარეშე ძალა არ იყო დაინტერესებული კავკასიაში მშვიდობის დამყარებით. „პირიქით, აქ გარეშე ძალის გავლენის გამტკიცება ნიშნავს მუდმივ შუღლს, შეხლა-შემოხლას, ინტრიგებს, რაც ყველასათვის ერთნაირად მაზარალებელი და დამღუპველია“ (1).

მომავალ კონფერენციასთან დაკავშირებით აზრი საქართველოს ძირითად პოლიტიკურ პარტიებს შორის გაიყო. სოციალ-დემოკრატების მთავარი ორგანო "ერთობა", მიუხედავად ყველაფრისა, მაინც



საჭიროდ მიიჩნევა, რომ საქართველოს მთავრობას "ენერგიულად უნდა მოეთხოვა" მომავალ კონფერენციაზე საქართველოს დაშვება, რათა იქ საქართველოს წარმომადგენლობას "თავისი ხაზი" დაეცვა. ეს ხაზი მიმართული იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის "სოლიდარობისა და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ერთი მეორის შინაურ ცხოვრებაში ჩაურევლობისა და ცალკე რესპუბლიკებში დამყარებულ წესწყობილებისადმი პატივისცემის ნიადაგზე" (1).

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გაზეთ "სახალხო საქმის" აზრით, რადგანაც სომხეთი და აზერბაიჯანი დამოუკიდებელ სახელმწიფოებს აღარ წარმოადგენდნენ და საქართველოს მონაწილეობას კონფერენციაში გამორიცხავდნენ, მომავალი კონფერენცია იქნებოდა "უფრო რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმება კავკასიაში გავლენის სფეროს გამოსარკვევად და გასანაწილებლად" (2).

ეროვნულ-დემოკრატიების გაზეთი "საქართველო" ასევე სკეპტიკურად იყო განწყობილი მომავალი კონფერენციისადმი, რადგანაც აზერბაიჯანი და სომხეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებს აღარ წარმოადგენდნენ და ეს ქვეყნები მხოლოდ იარაღი იყო გარეშე ძალის ხელში. "ჩვენ ვეთანხმებით "ერთობა"-ს, რომ გარეშე ძალას არ შეუძლიან ამიერკავკასიაში დაამყაროს "მშვიდობიანობა", მაგრამ, საუბედუროდ, ეს გარეშე ძალა, მისი შემოჭრა ამიერკავკასიაში უკვე ფაქტია და მას ხელს უწყობენ სწორედ აზერბაიჯანი და სომხეთი", - ნათქვამია აღნიშნულ გაზეთში გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში (4).

"საქართველოს" ასევე გულუბრყვილობად მიაჩნდა "ერთობაში" გამოთქმული იმედი, რომ კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლის გამოსვლა სამშვიდობო გეგმით გავლენას მოახდენდა სომხეთის და აზერბაიჯანელის წარმომადგენელთა პოზიციაზე. "ჩვენ ვფიქრობთ, რომ "ამიერკავკასია" ამ ჟამად ისეთს მდგომარეობაში იმყოფება, რომ წესიერად ვერ მივა მომავალ თათბირზე და რაკი ასეა, ანგორის მთავრობის კეთილი განზრახვაც ცარიელ ოცნებად დარჩება", - ასკვნიდა "საქართველო" (4).

თუმცა, საქართველოს ხელისუფლებაში ვარაუდობდნენ, რომ საქართველოს მიმართ უფრო აგრესიულად კავკასიაში მოქმედი კომუნისტები იყვნენ განწყობილი, ვიდრე მოსკოვში მყოფი საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება. „ჩვენ იმედი და საბუთიცა გვაქვს ვიფიქროთ, რომ იმ საფრთხეში, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ მზადდებოდა, თვით მოსკოვის მთავრობას არ უდევს წილი, ჩვენი მეზობელი და შინაური კომუნისტების საქმე იყო ეს ამბავი“, - აღნიშნავდა გრიგოლ ლორთქიფანიძე „მიმდინარე მომენტის“ შეფასებისას (6).

მომავალი კონფერენციის თაობაზე საქართველოში სწორად მიაჩნდათ, რომ ეს იქნებოდა რუსეთსა და თურქეთს შორის მოლაპარაკებები კავკასიაში "ინტერესების გამიჯვნასთან" დაკავშირებით. მაგრამ გადაჭარბებით აფასებდნენ თურქეთსა და რუსეთს შორის არსებულ წინააღმდეგობებს და ამასი ხედავდნენ საქართველოს უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიებს. ამის თაობაზე ყველაზე მკაფიოდ გაზეთი "სახალხო საქმე" წერდა და იმედოვნებდა, რომ რუსეთიც და თურქეთიც საქართველოს, როგორც ნეიტრალურ ქვეყანას თავს დაანებებდნენ. "ახალ გარემოებაში საქართველოს დიდი როლის თამაში შეუძლიან და როგორც რუსეთი, ისე ოსმალეთი იძულებულნი იქნებიან სათანადო ანგარიში გაგვიწიონ, როგორც ნეიტრალურ ქვეყანას. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, ორთავე სახელმწიფო შეეცდება ჩვენს რესპუბლიკასთან კეთილმეზობლობა დაამყაროს. გამართლდება თუ არა ჩვენი პროგნოზი - ამას სულ ახლო მომავალი გვიჩვენებს", - აღნიშნულია "სახალხო საქმის" მოწინავე წერილში (2).

სამწუხაროდ, აღნიშნული პროგნოზი არ გამართლდა. როდესაც გაზეთი "სახალხო საქმე" ამას წერდა, მოსკოვში უკვე იგეგმებოდა საქართველოზე თავდასხმა, რაც 1921 წლის 11 თებერვალს დაიწყო კიდეც. თურქები ტყუილად არ სთხოვდნენ მოსკოვს - საქართველოსთან დაკავშირებით თქვენს გეგმებში გაგვარკვეითო. რუსეთს რომ საქართველოსთან ომი არ დაეწყო, ამას არც თურქეთი გააკეთებდა, მაგრამ თუკი მოსკოვი საქართველოს დაპყრობას შეუდგებოდა, მაშინ თურქეთიც შეეცდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რაღაც ნაწილის დასაკუთრებას. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს მოვლენები სწორედ ამგვარი სცენარით წარიმართა.

საქართველოს ხელისუფლებისა და პოლიტიკური ძალების მიერ ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების შეუფასებლობა კიდეც უფრო გააძლიერა 1921 წლის იანვრის ბოლოს ანტანტის ქვეყნების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულმა აღიარებამ და ამასთან დაკავშირებით რუსეთისა და თურქეთის წარმომადგენელთა მიერ თბილისში გაკეთებულმა განცხადებებმა მეგობრობისა და კეთილმეზობლობის თაობაზე. „საქართველოს იურიდიულად ცნობა უდიდეს მნიშვნელობას იქონიებს საბჭოთა რუსეთის სულიერ განწყობაზე. ეს ცნობა საბჭოთა რუსეთს ართმევს ეჭვიანობის და ნერვიულობის ყოველ საბუთს და ამან არ შეიძლება დიდი ნაყოფი არ გამოიღოს საქართველოს და საბჭოთა სახელმწიფოების ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების საქმეში“, - წერდა „ერთობა“ 1921 წლის 11 თებერვალს (7), სწორედ იმ დღეს, როდესაც დაიწყო საქართველოზე საბჭოთა თავდასხმა.

ამიერკავკასიის ქვეყნების კონფერენციის ნაცვლად კი მოსკოვში 1921 წლის თებერვალ-მარტში გაიმართა რუსეთ-თურქეთის მოლაპარაკებები, რაც ორ ქვეყანას შორის 16 მარტს ხელშეკრულების

გაფორმებით დამთავრდა. ამავე პერიოდში კი საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის შედეგად საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

**ლიტერატურა:**

1. ამიერკავკასიის კონფერენცია - "ერთობა", 1921 წ. 12 იანვარი
2. ამიერკავკასიის კონფერენცია - "სახალხო საქმე", 1921 წ. 15 იანვარი
3. რუსეთი და ოსმალეთი - "სახალხო საქმე", 1921 წ. 6 იანვარი
4. შესაძლებელია "ამიერკავკასიის" კონფერენცია? - "საქართველო", - 1921 წ. 13 იანვარი
5. საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთი. საბჭოთა რუსეთის ნარკომინდელს ჩიჩერინს - 1921 წ. 6 იანვარი
6. მიმდინარე მომენტი. გრ.ლორთქიფანიძის მოხსენება რკინიგზელთა ყრილობაზე - „ერთობა“, 1921 წ. 12 იანვარი
7. საქართველოს ცნობა და საბჭოთა რუსეთი - „ერთობა“, 1921 წ. 11 თებერვალი
8. Джамиль Гасанлы: Подготовка к Московской конференции и Армянский вопрос в региональной политике - <http://www.regnum.ru/news/1448967.html>

**ტურიზმის განვითარების ტენდენციები თურქეთსა და საქართველოში**

*ნაილი მელანაშვილი*

სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი, აკადემიური დოქტორი

*მაკა სოსანიძე*

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ტურიზმი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი, მაღალშემოსავლიანი და ყველაზე დინამიურად განვითარებადი დარგია, რომლის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო იზრდება. ტურიზმი საკმაოდ მომგებიანი სფეროა და შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ქვეყნის შემოსავლების ზრდაზე, სტიმული მისცეს ტურიზმთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულ სხვა სფეროების განვითარებას, ინვესტიციების ზრდას.

საქართველოს, თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან და ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლიდან გამომდინარე, ძალიან დიდი შანსი აქვს იქცეს ტურისტებისთვის საყვარელ ქვეყნად. საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალიც აქვს: 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყლის წყარო, 12000 ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლი, მათგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში, 7 არსებული და პერსპექტიული ეროვნული პარკი.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 2011 წელს საქართველოში 2, 820, 185 უცხოელი მოგზაური ჩამოვიდა, რაც 39%-ით მეტია 2010 წლის მონაცემებზე, ანუ ნაკადი 788, 468 უცხოელი მოგზაურით გაიზარდა. ტურისტების ნაწილი მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოვიდა. 2011 წელს საქართველოში ყველაზე მეტი ტურისტი თურქეთიდან (645 259) ჩამოვიდა. ვიზიტორების კუთხით, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი (643 254), მესამეზე – სომხეთი (627 244), მეოთხეზე – რუსეთი (256 399), მეხუთე პოზიციაზე კი ირანი (57 088) გავიდა. უკრაინელ და ბალტიისპირელ ტურისტებს კი სამთო-სათხილამურო კურორტები მოსწონთ. დასავლეთ-ევროპელი ტურისტები კულტურულ და სათავგადასავლო ტურებზე არიან ორიენტირებულნი. საქართველოში ეხლა იწყება ტურების პოპულარიზაცია, როდესაც თბილისში ჩამოსულ უცხოელ ტურისტს შეუძლია სვანეთის, სიდნაღის თუ საქართველოს სხვა ადგილებში ტურისტული მარშრუტით გასეირნება.

ტუროპერატორების მიერ 2010-2011 წწ-ში ტურისტული მომსახურების ანალიზისას გამოიკვეთა, თუ რომელ ტურზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა და, შესაბამისად, ტუროპერატორების რა პროცენტული რაოდენობა მუშაობს ერთგვაროვან ტურებზე. ზოგადად ქართველი ტუროპერატორები საქართველოში სამოგზაუროდ 14 სხვადასხვა შინაარსის ტურს აწარმოებენ, ე.ი. საქართველოს ტურისტული ბაზარი 14

სამოგზაურო ნიშად შეიძლება დაიყოს. გამოიკვეთა, რომ მოთხოვნები უმთავრესად კულტურულ ტურიზმზე მოდის და ფირმების 100% ძირითადად ამ სეგმენტზე მუშაობს.

შესაძლებელია დავაკვირდეთ თუ როგორ ვითარდებოდა ტურიზმი საქართველოს უახლოეს სამეზობლოში, თურქეთში, რომელიც დღეს ტურიზმის განვითარების ტემპებით მსოფლიო ლიდერია, თუმცა ამ სფეროზე ეკონომიკის მხოლოდ 5% მოდის. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ თურქეთში ჯერ წარმოება განვითარდა და მხოლოდ ამის შემდეგ ტურიზმი. თურქეთში ადგილობრივად იწარმოება ინფრასტრუქტურისთვის საჭირო მასალები, რომ არაფერი ვთქვათ საკვებზე. ამიტომ ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა მინიმუმ სამჯერ იაფი ჯდება. ამასთან ერთად ტურიზმის განვითარებას მდიდარმა კულტურულმა და ისტორიულმა მემკვიდრეობამაც შეუწყო ხელი. თუმცა, თავის დროზე ამ ქვეყანას, ტურიზმის განვითარების მხრივ, ძალიან ბევრი პრობლემა ჰქონდა. 1985 წელს გამოიცა დეკრეტი ტურიზმის განვითარების შესახებ. შეიქმნა ტურიზმის სამინისტრო, რომელიც საკმაოდ დიდი უფლებებით აღიჭურვა. მათ შორის მას მიენიჭა მიწის განკარგვის უფლება ტურისტულ და საკურორტო ცენტრებში – ისეთ პერსპექტიულ ადგილებში, სადაც ტურიზმის განვითარების დიდი შანსი არსებობდა. ეს ძირითადად ხმელთაშუაზღვის სანაპიროს, კერძოდ კი ანტალიის რეგიონს ეხებოდა.

სახელმწიფომ თავად იკისრა ზოგადი ინფრასტრუქტურის შექმნა – გზები, კომუნიკაციები, წყალი, დენი, კანალიზაცია. ყოველივე ამის შემდეგ ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა კერძო ინვესტიციებით დაიწყო. ამ შემთხვევაშიც იყო რამდენიმე ხელშემწყობი ფაქტორი, რომელიც ინვესტორებს იზიდავდა: ტურიზმის სამინისტრო მიწებს სიმბოლურ ფასად ყიდდა; საგადასახადო კოდექსში შეიტანეს ცვლილებები; მშენებლობა განთავისუფლდა დღგ-ისგან, რამაც მშენებლობა 20%-ით გააიაფა. საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლდა სასტუმრო მოწყობილობების შემოტანა (ჭურჭელი, თეთრეული და სხვა); ობიექტები ექსპლუატაციაში შესვლისთანავე არ იხდიდნენ მოგების გადასახადს. დაწესებული იყო დრო, რომლის განმავლობაშიც ის თანდათან იზრდებოდა, ანუ 100% აღწევდა მხოლოდ მაშინ, როცა ესა თუ ის ობიექტი მყარი განვითარების დონეს მიაღწევდა, ხოლო თუ მოგებული ფულის რეინვესტიცია ხდებოდა, ის არ იბეგრებოდა. პარალელურად, თურქეთში დაიწყო ტურიზმის სასწავლო ცენტრების შექმნა, რომლებიც ძირითადად დაბალი და საშუალო რანგის სპეციალისტების მომზადებაზე იყო ორიენტირებული.

თურქეთში ტურიზმი დამყარებულია ძირითადად ისტორიულ ადგილებზე, ზღვისპირა კურორტებზე ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროებზე. 2010 წელს თურქეთს 28.6 მილიონზე მეტი ტურისტი ჰყავდა. თურქეთის კურორტების უმრავლესობა სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროებზეა, ტურისტები ძირითადად ჩამოდიან გაერთიანებული სამეფოდან, გერმანიიდან, ისრაელიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან და იაპონიიდან, მაგრამ არც არაბეთის ქვეყნებიდან, ირანიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, საფრანგეთიდან და სკანდინავიის ქვეყნებიდან არიან ნაკლები. 2010 წელს წლიური შემოსავალი იყო 17.5 მილიარდი დოლარი, რამაც ტოპათელში მოახვედრა თურქეთი, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი წლიური შემოსავლის მქონე ქვეყანა. ბოლო წლების განმავლობაში თურქეთში ტურისტების რაოდენობა 300 000-დან 28 მილიონამდე გაიზარდა და ეს ციფრი კიდევ მატულობს.

თურქეთში მომსახურების მრავალფეროვნებამ, მაღალმა ხარისხმა და შედარებით დაბალმა ფასებმა განაპირობა ბოლო წლების ტურისტული ბუმი და სულ უფრო მზარდი რაოდენობა ტურისტებისა, რომლებიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან (მათ შორის საქართველოდანაც) არიან და მათი სახით მრავალი ტურისტი მოიპოვა თურქეთმა, ვინაიდან შესთავაზა ის, რისი შეთავაზებაც საქართველომ ვერ შეძლო.

აქედან გამომდინარე უდავოა ტურიზმის განვითარებისათვის სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, შექმნას მიმზიდველი საინვესტიციო გარემო.

დღეს ჩვენი სახელმწიფო აქტიურად არის ჩართული ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში (გზები, ენერჯისისტემა, წყალმომარაგება), რაც აუცილებელი წინაპირობაა ტურიზმის განვითარებისათვის. გარდა ამისა სახელმწიფოს შეუძლია ფინანსური ზემოქმედების მოხდენა, კერძოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბანკო სექტორის საშუალებით დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი ბიზნეს სესხების გაცემის გააქტიურება მიზნობრივი ბიზნეს პროექტებისთვის, საგადასახადო შეღავათების დაწესება ტურიზმის სფეროში მოღვაწე ბიზნესის საწყის ეტაპზე. გარანტიები უცხოური ინვესტიციების ან სესხების მოზიდვის შემთხვევაში, სტაბილური და მიმზიდველი საინვესტიციო გარემო.

ქართულ ტურიზმზე საუბრისას ყველაზე პრობლემური საკითხი, როგორც აღვნიშნეთ, ფასებია, რომლებიც ადგილობრივი დამსვენებლებისთვის საკმაოდ მაღალია. ისევ თურქეთის მაგალითი ავიღოთ – დასვენების როგორი პირობები აქვს იქ ადგილობრივ მოსახლეობას? საინტერესოა, რომ თურქეთის მოქალაქეებს უფასო დასვენების შესაძლებლობას ქვეყანაში არსებული დაზღვევისა და შრომითი უფლებების დაცვის სისტემა აძლევს. საქართველოს კურორტებზე დასვენება ბევრად ძვირია, ვიდრე

გაცილებით მაღალი ტურისტული მომსახურების მიღება. მაგალითად თურქეთის ან ესპანეთის ხმელთაშუაზღვის სანაპიროებზე. ამიტომაცაა, რომ მცირედი შესაძლებლობის გაჩენის შემთხვევაშიც კი, ტურისტი დასვენებას საზღვარგარეთის კურორტებზე ამჯობინებს.

ტურისტული ბიზნესი თურქეთში გრძელვადიან დაგეგმვაში ვითარდება და არა ისე, როგორც საქართველოში, სადაც მოგების მიღებას ორიოდ წელიწადში ელიან. საქართველოში ტურიზმის განვითარების ორიენტირად ხშირად მეზობელი თურქეთის გამოცდილებას ასახელებენ. გასულ საუკუნეში საკმაოდ ჩამორჩენილი ქვეყანა – თურქეთი დღეს რამდენიმე მიმართულებით მნიშვნელოვნად არის წინ წასული. თურქეთის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც განვითარების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს – ტურიზმია.

საქართველო ცდილობს კონკურენცია გაუწიოს ცნობილ ტურისტულ ქვეყნებს და ამ გზით ქვეყანაში მნიშვნელოვანი თანხების შემოსვლასაც გეგმავს. საქართველოს მართლაც აქვს როგორც ზაფხულის, ასევე ზამთრის კურორტების განვითარების ბუნებრივი რესურსი. ზაფხულის მიწურულს დამსვენებელს შეუძლია ზღვისპირა ანაკლიადან რამდენიმე საათში მესტიის მთებში თხილამურებზე ისრიალოს. თუმცა, ეს შეეხება ბუნებრივ რესურსებს. აი, როცა საქმე ადამიანურ რესურსებზე მიდგება, აქ საქართველოს ჯერ ნამდვილად არა აქვს საქმე საამაყოდ და ძალიან გაუჭირდება ტურისტების გადაბირება სხვა ქვეყნებიდან.

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც ჯერ-ჯერობით ისევ არსებობს და ექსპერტები მის განმეორებით ტალღასაც კი პროგნოზირებენ, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა თურქეთის ეკონომიკა და ფინანსური სექტორი. თურქეთიდან კაპიტალის გადინებამ გასული წლის სექტემბრის შემდეგ 9,7 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მრეწველობის მაჩვენებელი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მკვეთრად - 21,3%-ით დაეცა.

ამ ფაქტორების მიუხედავად, თურქი ინვესტორების მხრიდან საქართველოს ეკონომიკისადმი ინტერესი იზრდება. ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, გემთმშენებლობა, ტექსტილის წარმოება - ეს მცირე ჩამონათვალია იმ მიმართულებებისა, რომელთა განვითარებითაც თურქი ბიზნესმენები საქართველოში დაინტერესდნენ. თბილისში წარმომადგენლობის გახსნას გეგმავს თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია "ათა ჰოლდინგი", რომლის ბალანსზეა თურქეთში მსხვილი ტურისტული კომპლექსების აშენება და მართვა. საქართველოში ინვესტიციების განხორციელებას გეგმავს, ასევე, თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც, რომელიც თურქეთის უმდიდრეს ადამიანთა შორისაა დასახელებული და კომპანია "აჯარ ჰოლდინგს" აკონტროლებს. სწორედ ის დაინტერესდა საქართველოს ტურისტული პროექტებით.

2000 წელს თურქეთი ტურიზმის სფეროში მსოფლიოში მე-20 ადგილზე იყო, 2003 წელს მე-17-ზე, მაგრამ 2009 წელს, ე.ი. გლობალური ეკონომიკური კრიზისის პერიოდში თურქეთმა მე-7 ადგილზე გადაინაცვლა და ინარჩუნებს ამ ადგილს. 2023 წლისათვის, ე.ი. თურქეთის რესპუბლიკის შექმნის მე-100 წლისთავზე, თურქეთი მსოფლიო ტურიზმში მე-5 ადგილზე გასვლას გეგმავს.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ დროა საქართველომ გაითვალისწინოს ის გარემოებები და მიზეზები, რამაც რამდენიმე ათწლეულის წინ საკმაოდ ჩამორჩენილი თურქეთის მნიშვნელოვანი განვითარება განაპირობა.

#### ლიტერატურა:

1. მ. მეტრეველი, „ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა“, თბ., 2011.
2. ნ. ღვედამვილი, „მენეჯმენტი სოციალურ-კულტურული სერვისისა და ტურიზმის სფეროში“, 2010.
3. [www. Tourizm.gov.ge](http://www.Tourizm.gov.ge)
4. [www.elkana.org.ge](http://www.elkana.org.ge)
5. [garemo.ltdc.ge](http://garemo.ltdc.ge)

## ქართულ-თურქული კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობათა ისტორიიდან

*ალექსანდრე მღებრიშვილი*

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა სათავე საუკუნეების წიაღშია საძიებელი. სადღეისოდ ვფიქრობთ წინა პლანზე წამოვწიოთ ქართულ-თურქულ კულტურულ და საგანმანათლებლო ურთიერთობათა ზოგიერთი მომენტი. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი XX საუკუნის დამდეგი გახლავთ, როდესაც საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების შემდგომ ქართულ-თურქულმა ურთიერთობებმა ახალ საფეხურზე გადაინაცვლეს.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის თურქეთში ქართველთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის წარმოშობით იტალიელი მეცნიერი ევგენი დალეჯიო დ'ალესიო.

იგი დაიბადა კონსტანტინეპოლში 1888 წლის ოქტომბერში. იქვე მიიღო განათლება. დაინტერესებული იყო ისტორიით, არქეოლოგიით, აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ გაზეთში "La Turquie". იკვლევდა ბიზანტიის, კონსტანტინეპოლის ისტორიას, არქეოლოგიას. იგი გახლდათ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის ეროვნული საზოგადოების წევრი, ფლობდა ბერძნულ, იტალიურ, ინგლისურ, ფრანგულ და თურქულ ენებს.

„როდესაც 1918 წელს საქართველოს დიპლომატიური მისია ჩამოვიდა კონსტანტინეპოლში, მაშინ გასცნობია ექიმ ვახტანგ ღამბაშიძეს, რომლის საშუალებით იმავე მისიაში მდივნად შესულა. დღესაც ჩვენ საკონსულოში იმავე თანამდებობას ასრულებს. მიიღო საქართველოს მთავრობის ქვეშევრდომობა, იმგზავრა საქართველოში, ისწავლა ქართული ენა, გაეცნო ქართველ საზოგადოებას და ქართველი ერის კულტურას და ცხოვრებას.

ცხოვრების ამ ახალმა მიმდინარეობამ მისცა ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს ღრმა პატივისცემა ქართველი ერისადმი და საქები წადილი ქართველი ერის წარსული ცხოვრების გაცნობა-შესწავლისა; მაგრამ ამისათვის, აქ კონსტანტინეპოლში, ყველა საშუალებას მოკლებული იყო. ხოლო, რადგან შესაძლებელი იყო ყურადღება მიეხერო ძველადგან აქ მყოფ ქართველების ისტორიისადმი, დაუყოვნებლივ შეუდგა ამაზე ცნობების მოძებნა-შეკრებას. როგორც მცოდნე აქაურობისა, მისთვის უფრო ადვილი იყო მიემართა იმ საისტორიო წყაროებისათვის, რომელთაც სხვა უცხო ადვილად ვერ მიაგნებდა“.<sup>1</sup>

იმ ქართველებს, რომლებიც თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, საქართველოს იძულებით გასაბჭოების შემდეგ ახალი ნაკადები ემატებოდნენ. მხედველობაში გვყავს ის ადამიანები, რომლებიც არ ან ვერ იღებდნენ საბჭოთა სივრცეს.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისას თურქეთის რესპუბლიკას გააჩნდა საკუთარი სტრატეგიული ინტერესი ჩვენი ქვეყნის მიმართ. სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად გახშირდა თურქეთის დელეგაციების ვიზიტებიც სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე მოლაპარაკებათა საწარმოებლად და შეთანხმებების მისაღწევად.

თურქული მხარე აშკარად თუ შეფარვით ცდილობდა გაემყდუნებინა საკუთარი სიმპათია ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისადმი სწრაფვისა და ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენის ყოველგვარი მცდელობებისადმი.

ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიხმოთ 1918 წლის ერთ-ერთი მოლაპარაკების მაგიდა ბათუმში, სადაც „ხალილ-ბეიმ წარმოსთქვა (ოსმალურად) მისასალმებელი სიტყვა, რომელშიაც მოიხსენია „მშვენიერი ვარსკვლავი თავისუფლებისა“ ამოსული კავკასიაზე, სურვილი ოსმალეთისა დაამყაროს კეთილი, მეზობლური განწყობილება“.<sup>2</sup>

დასახელებული ავტორი ანალოგიურ განწყობილებას გადმოსცემს ქართული დელეგაციის თურქეთში სტუმრობის შესახებაც: „სადარბაზოდ ვიყავით მაჰმუდ-ფაშასთან, ეგრეთ წოდებულ ჩურუქსულში; იგი ქართველი გვარისშვილია - თავდგირიძე. თოფხანის მოედნის ზევით მდებარე ერთ-

<sup>1</sup> შალვა ვარდიძე, სტამბოლი, V, 1921 (იხ. ე. დალეჯიო დ'ალესიოს წიგნი: „ქართველები კონსტანტინეპოლში“ წინასიტყვაობა, სტამბოლი, 1921, გვ. III-IV)

<sup>2</sup> ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში (შალვა ელიაშვილის წინასიტყვაობით), პარიზი, 1924, გვ. 38

ერთ აღმართზე, ნახევრად ევროპულად მოწყობილ სახლში ჩვენ მიგვიღეს მეტად ალერსიანად. ფაშა წინათაც ყოფილა მინისტრად; ეხლა უნდა შესულიყო თევფიკ-ფაშის მთავრობაში, თუ კი იგი შესდგებოდა; მისი სიტყვით, იგი საქართველოსთვის მზადაა ყოველივე მოიმოქმედოს, რაც არ ეწინააღმდეგება ოსმალეთის ინტერესებს. ოსმალეთისგან ეხლა მოსალოდნელია უფრო თავდაჭერილი და ზომიერი პოლიტიკის წარმოება. თვითონ არა ერთხელ არწმუნებდა, ვისიც ჯერ არს, ბათომთან და საქართველოსთან კავშირის შენარჩუნების საჭიროებას; დაგვირდა, ახალ ვეზირს მოელაპარაკებოდა, რომ სასურველია ეხლავე, დაუყოვნებლივ გადაწყვეტილი იქნეს ოსმალეთ-საქართველოს შორის არსებული სადაო კითხვები“.<sup>1</sup>

როგორც ზემოთ ვამბობდით, თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა ისტორიის, ზნე-ჩვეულებების, განათლების და სხვა საკითხთა კვლევაში გარკვეული წვლილი შეიტანა ე. დალეჯიო დალესიომ. ვერ ვიტყვით, რომ წარმოდგენილი მასალები ამომწურავად იძლევიან აღნიშნული საკითხების შესწავლის შესაძლებლობას, თუმცა უნდა ითქვას, რომ უცხოელი ავტორის მიერ თურქეთის მკვიდრ ქართველთა ისტორიით, განათლებით, არქეოლოგიით და სხვა მსგავსი საკითხებით დაინტერესება თავისთავად კეთილშობილური ჩანაფიქრი გახლავთ.

ე. დალეჯიო დალესიოს შრომა „ქართველები კონსტანტინეპოლში“ გამოქვეყნდა სტამბულში 1921 წელს. ნაშრომში ყურადღება მახვილდება ისეთ პრობლემურ და მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ქართველების ახალშენი კონსტანტინეპოლში, ქართველების სასაფლაო და ქართული წარწერები, ქართველების უძველესი სავანე, ფერი-კვეის ქართული სავანე, კონსტანტინეპოლი და ვაჭრობა საქართველოსთან და სხვ.

„ქართველები ყველგან, მთელს ოსმალეთში, კარგად არიან მოწყობილნი. ეს იმით აიხსნება, რომ ოსმალეთში თავისუფალი სამოსახლო ადგილები ბევრი იყო. ისედაც რასიული გამჭირაობა და კულტურა მეტი აქვთ მათ, ვიდრე ანატოლიის მცხოვრებ თათრებს“.<sup>2</sup>

დასახელებული ავტორის მიხედვით თურქეთში მცხოვრებ ქართველთა უმრავლესობას შენახული აქვთ მშობლიური ენა. ყველა ოჯახში სასაუბრო ენა ქართულია. მრავლად არიან ქართული წერა-კითხვის მცოდნენიც. ქართული წიგნის კითხვის მსურველნიც. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ამყოფს საკუთარი ქართული წარმომავლობით, პატივს სცემენ და საჭიროების შემთხვევაში დახმარების ხელს უწყვიან ერთმანეთს.

აქვე დასახელებული შრომიდან, მოვიტანთ ამონარიდს, რომელიც თურქეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს ეხება.

„უმრავლესობა ამ სტუდენტებისა სწავლობს ფათიხის მეჩეთში. ფათიხი არის სახელწოდება მუჰამედ II-ისა... ამის სახსოვრად, ესევე სახელი აქვს სტამბოლის ერთ უდიდეს მეჩეთს, რომელსაც აქვს დიდი ეზო, სადაც მოთავსებულია საღვთისმეტყველო სასწავლებელი...“

აქ ყველა მოსული ქართველი პატივისცემითაა მიღებული. უსათუოდ დაგატარებენ მეჩეთს და შემდეგ ჩაიზედ დაგპატიჟებენ იქვე ყავახანაში. მათ დახვედრას მარადის ქართველური სტუმართმოყვარეობის ხასიათი აქვს.

ამ სტუდენტებში ძველად არავითარი მოძრაობა არ ყოფილა. ზოგიერთნი 1902-1906 წლებში დაუახლოვდნენ ცნობილ პატრ ანდრია წინამძღვრიშვილს, რომელმაც ფრთხილად დაუწყო მათ ლაპარაკი ეროვნულ საკითხების შესახებ.

ოსმალეთში კონსტიტუცია რომ დამყარდა, ასე თუ ისე მათაც ცოტაოდენი თავისუფლება მიეცათ. 1910 წლის დამლევადან 1914 წლამდის უკვე მათში თამამად შეიძლებოდა არა მარტო სჯა-ბაასი ეროვნულ საკითხებზე, არამედ თვით კრიტიკაც, მათი ვინც ასე თუ ისე უნაღვლელობას იჩენდნენ. დაიწყეს სიარული პ. შალვა ვარდიძესთან, რომელმაც ფართო ხასიათი მისცა მათ საკითხს. ასწავლიდა ქართულ ენას და საქართველოს ისტორიას; ურიგებდა წიგნებს მათ, რომელთაც იცოდნენ ქართული კითხვა.

მალე საჭირო შეიქმნა ქართული კლუბის დაარსება. ამისთვის 1911 წელს გაზეთების საშუალებით მოწვეულ იქნენ შალვა ვარდიძის ბინაზე, პაპას-კვეპრის სასწავლებელში, ყველა ქართველები, განურჩევლად რწმენისა და ხარისხისა. გაიმართა კრებები, რომლებზეც 150 ქართველი ყოველთვის ესწრებოდა. ამათ რიცხვში ფაშები, ღენერლები, ოფიცრები, ვეჟილები, ექიმები, რამდენიმე ვაჭარი, მოხელეები და სტუდენტები იყვნენ. ქართული სიტყვებით და სიმღერებით იხსნებოდა ყოველივე კრება და იმ სახითვე მთავრდებოდა. შეიმუშავეს წესდება, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ უცვლელად დაამტკიცა.

<sup>1</sup> ზ. ავალიშვილის დასახ. შრ. გვ. 113

<sup>2</sup> ევგენი დალეჯიო დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში (ფრანგულიდან თარგმანი შალვა ვარდიძისა), სტამბოლი, 1921, გვ. 6

მუსულმან ქართველებში ქართული ცხოვრება დატრიალდა<sup>1</sup>

დასახელებულ ნაშრომში განსაკუთრებულადაა წარმოჩენილი კონსტანტინეპოლის (იგივე სტამბული) ქართული სავანე, მისი დამაარსებელი და მოამაგე მამა პეტრე ხარისჭირაშვილი. ავტორის მიერ პატივისცემით და მოკრძალებით არიან წინა პლანზე წამოწეული ქართველი მოღვაწენი: ივანე გვარამაზე, პიო ბალიძე, მიხეილ თამარაშვილი.

პეტრე ხარისჭირაშვილის დაუღალავი შრომის შედეგად სტამბულის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე დაწესდა, დაარსდა სტამბა, სასწავლებელი. სხვადასხვა დროს სწორედ ამ სასწავლებლის აღზრდილთა შორის გვევლინებიან ისეთი რაგის ქართველი მეცნიერები, როგორებიც გახლდნენ მიხეილ თამარაშვილი და მიქელ თარხნიშვილი.

სტამბულის ქართული სავანის ისტორიაში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა შალვა ვარდიძემ, რომელიც ბეირუთში გამგზავრებამდე ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ სასულიერო და სამეცნიერო მოღვაწეობას.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ქართველთა სავანეში სასწავლებლის გარდა მღვდელ ხარისჭირაშვილის სახელს უკავშირდება სტამბის („საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა სავანისა“) დაარსებაც. სწორედ ამ სტამბაში იბეჭდებოდა: „საქრისტიანო მოძღვრება“ (1877), „პატარა საქრისტიანო მოძღვრება“ (1880), „მოკლე ფრანციული გრამატიკა“ (1881), პ. სურგულაძე „საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“ (1918), რ. ჟანინი „ქართველები იერუსალიმში“ (1930) და მრავალი სხვა.

სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის ოციანი წლების დამდეგს, საქართველოში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა კვლავ არაერთი სახელოვანი მამულიშვილი აიძულა დაეტოვებინა სამშობლო.

1921 წლის 19 მარტს საქართველოს მთავრობა, რომელმაც ძალაუფლება ხალხის ნებასურვილით მიიღო, იძულებული გახდა თავისი ქვეყანა დაეტოვებინა. ეს იძულება გამოიწვია რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციამ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს ხელი მოაწერა საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულებას, გადაწყვიტა საქართველოს დაპყრობა სამხედრო ძალით.<sup>2</sup>

გადაწყვიტა და სისრულეში მოიყვანა კიდეც. 1921 წლის 24 თებერვალს ქართულმა ჯარებმა უკან დახევა დაიწყეს. საქართველოს პრეზიდენტმა ნ. ჟორდანიამ და მთავრობის წევრებმა თბილისი უკანასკნელი მატარებლით დატოვეს, ხოლო იმავე წლის 17 მარტს გადაწყდა ბათუმში დაბინავებული მთავრობის ემიგრაციაში წასვლა.

1921 წლის 17 მარტს სხვათა გვერდით „იტალიური გემი ნ. ჟორდანიას სტამბოლისაკენ მიაქანებდა. სტამბოლში ნ. ჟორდანია ინახულეს საფრანგეთის და იტალიის ელჩებმა და ორივემ თავიანთი მთავრობის სახელით მას სამშობლოში მიპატიჟება გადასცეს.<sup>3</sup>

საქართველოსა და თურქეთის მხარეები ყოველთვის დაინტერესებული იყვნენ ერთმანეთის ისტორიით, ენით, ლიტერატურით. ბუნებრივია, ეს დაინტერესება დღემდე არსებობს. არაერთი მონოგრაფია, გამოკვლევა თუ დისერტაცია მიემდგვნა აღნიშნული საკითხების სიღრმისეულ შესწავლას.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან ნიაზ აჰმეთ ბანოღლუს, ხოლო მოგვიანებით, უკვე სამოციანი წლებიდან, აჰმეთ ოზგენ მელაშვილის, იბრაჰიმ გორაძის, ჰაირი ჰაიროღლუს და სხვათა აქტიური დაინტერესებების შედეგად შესაძლებელი გახდა შოთა რუსთაველის, ალექსანდრე ყაზბეგის, ნოდარ დუმბაძის და სხვა ცნობილ ქართველ მწერალთა შემოქმედების თურქი მეზობლებისათვის გაცნობა.

1968 წელს სტამბოლში გამოიცა წიგნი „საქართველო“,<sup>4</sup> ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობების წარმოჩენა-პოპულარიზაციის მიზნით პერიოდულად გამოდის ჟურნალი „ჩვენებურები“.

რაც შეეხება საქართველოს მხრიდან ქართულ-თურქულ ლიტერატურულ-კულტურული და ისტორიული ურთიერთობების კვლევას, იგი აქტიურ ფაზაში გადავიდა „მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში შეიქმნა თურქოლოგიის კათედრა. ქართველი თურქოლოგები იკვლევდნენ როგორც თურქულ ენას, ასევე ლიტერატურას. მათ შეისწავლეს თურქული გრამატიკის წესები, ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობები, ქართულში შემოსული თურქული სიტყვები, თურქულ ენაში და

<sup>1</sup> ე. დალეჯიო დ' ალესიოს დასახ. შრ. გვ. 9-10;

<sup>2</sup> აღნიშნული განცხადება განკუთვნილი იყო უცხოეთის ქვეყნების მთავრობებისათვის (პარიზი, 1921 წ. აპრილი, ფრანგულ ენაზე); დაწვრილებით იხ. ლ. თომიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991, გვ. 108;

<sup>3</sup> ნიუ ჟორდანია, რჩეული ნაწერები (გ. შარაძის რედ.), თბილისი 1990, გვ. xxvi;

<sup>4</sup> აჰმედ მელაშვილი, საქართველო, სტამბოლი, 1968 (თურქ.)

დიალექტებში შესული ქართული სიტყვები, საქართველოში მცხოვრები თურქულენოვანი მოსახლეობის მეტყველების თავისებურებანი, თურქეთში მცხოვრები ქართველების სასაუბრო ენა, თურქული საარქივო მასალები ენობრივი თვალსაზრისით, ორჰუნის წარწერების ენა, ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობები, ქართული და თურქული ენის ტოპოლოგიური პარალელები, ქართული და თურქული ფრაზეოლოგიზმების ტიპოლოგია, ქართულში შემოსული თურქული სიტყვები.

ქართველმა თურქოლოგებმა თბილისის სახელმწიფო არქივში დაცული ოსმალური დოკუმენტები შეისწავლეს ენობრივი თვალსაზრისით და გამოსცეს საინტერესო მონოგრაფიები... შეიქმნა ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული ლექსიკონები, სასაუბროები და ა.შ.<sup>1</sup>

ქართველ მკითხველ საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცა მშობლიურ ენაზე გასცნობოდა ისეთ თურქ ავტორებს, როგორებიც არიან: აზიზ ნესინი, ომერ სეიფეთინი, ჰალდუნ თანერი, ისა ნეჯათი, იაქუფ ქადრი ქარაოსმანოღლუ, აჰმეთ ჰაშიმი, ოქთაი რიფათი, ორჰან ფამუქი და სხვ.

ამრიგად, ქართულ-თურქული კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობები ყოველთვის წარმოადგენდნენ საგანგებო ინტერესების სფეროს ქართველი და თურქი მეცნიერებისათვის. წლების განმავლობაში ამ ურთიერთობებს აღრმავებდა არაერთი ქართველი მოღვაწე, სტუდენტი და თურქეთის მკვიდრი ქართველობა. ოდნავ მოგვიანებით კი მათ კრებულს ახალი ნაკადი შეუერთდა. რუსეთის მიერ საქართველოს იძულებითმა გასაბჭოებამ და სრულმა ანექსიამ კვლავ არაერთი სახელოვანი მამულიშვილი აიძულა დაეტოვებინა სამშობლო.

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან გაზრდილმა დაინტერესებამ თურქეთის ისტორიის, თურქული ენისა და ლიტერატურისადმი და შესაბამისად თურქი მწერლების მიერ აქტიურად გაშლილმა მთარგმნელობითმა საქმიანობამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართულ-თურქულ კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებაში.

დღეის მდგომარეობით თურქეთი ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია საქართველოში. დღევანდელი ქართულ-თურქული ურთიერთობები შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც ნიმუში ორი ქვეყნის კულტურული და საქმიანი ურთიერთობებისა. საქართველოსა და თურქეთს ერთმანეთთან მყარი მეგობრული და სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებთ. არსებული ვითარებიდან გამომდინარე ორივე ქვეყანა გამოთქვამს მზადყოფნას და დაინტერესებას დინამიურად მზარდი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება-განმტკიცებისა და ახალ საფეხურზე გადასვლისათვის.

#### **ლიტერატურა:**

1. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში (შალვა ელიავას თარგ. და წინასიტყვ.). პარიზი 1924 წ.
2. ე. დალეჯიო დ'ალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში (თარგ. შალვა ვარდიძისა), სტამბული 1921 წ.
3. ლ. თოიძე, ინტერვენცია, ოკუპაცია, ძალდატანებითი გასაბჭოება, ფაქტიური ანექსია, თბ., 1991.
4. ნ. ჟორდანიას, რჩეული ნაწერები (გ. შარაძის რედ.), თბ., 1990.
5. აჰმედ მელაშვილი, საქართველო, სტამბული 1968 (თურქ.)
6. ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია (ე. ხინთიბიძის რედ.), თბ., 2011.

<sup>1</sup> ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის ისტორია (ე. ხინთიბიძის რედ.), თბ., 2011, გვ. 172



## ელექტორული ლექსიკონის ეფექტურობა ქართულ-თურქულ ლინგვისტიკაში

*თინათინ მშვიდლობაძე*

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობა თურქეთთან საუკუნეებს ითვლის. ლიტერატურული კონტაქტები კი ამ ორ ქვეყანას შორის სულ რაღაც წინა საუკუნეში დაიწყო. მიჩნეულია, რომ ქართული ლიტერატურით სერიოზული დაინტერესება თურქეთში 1960 წლებიდან იწყება და ქართულ ლიტერატურასთან კავშირი თავდაპირველად ევროპული ენების შუალედობით ხდება. 1969 წელს გერმანულიდან თურქულ ენაზე ითარგმნა ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, რამაც თურქი მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია.


ქართული ლიტერატურის წარდგენა თურქი მკითხველისთვის თურქი ინტელექტუალის აკმედ მელაშვილის სახელსა და მოღვაწეობას უკავშირდება. ამ წარმოშობით ქართველმა, თურქმა მწერალმა და ჟურნალისტმა, ქართული კულტურისა და ლიტერატურის თურქეთში პოპულარიზაციას დიდი სამსახური გაუწია ქართული ლიტერატურის ნიმუშებით და საქართველოზე ენციკლოპედიური წიგნის გამოცემით. ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის თურქეთში პოპულარიზაციას დიდი სამსახური გაუწია ჟურნალმა „ჩვენებურებმა“, რომელიც ამ დანიშნულებას დღესაც ემსახურება. ამ ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი ლიტერატურული და მეცნიერული საზოგადოების მიერ, დღესაც დიდი პროპაგანდა ეწევა ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის საკითხების მართებულად გაშუქებას, თურქულენოვანი მედიის საშუალებით. თურქულად ითარგმნება ქართული ლიტერატურის როგორც კლასიკური ნიმუშები (რუსთველის, ილია ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, მიხეილ ჯავახიშვილის), ასევე თანამედროვე ეპოქის ნაწარმოებები (ნოდარ დუმბაძის, ფრიდონ ხალვაშის და სხვა).

გარდა ჟურნალ "ჩვენებურებისა", ქართული კულტურის პროპაგანდას დიდ სამსახურს უწევს ჟურნალი "ფიროსმანი". ქართულ ენაზე იბეჭდება სახელმძღვანელოები, ანბანი და ანდაზები და სხვა პედაგოგიური დანიშნულების ლიტერატურა ქართული წარმოშობის, თურქი ახალგაზრდებისათვის.

თურქულ ენათა წარმოშობა და დღევანდელი გავრცელების სივრცე არის საუკუნეთა განმავლობაში თურქ ხალხთა მრავალჯერადი გადაადგილების შედეგი. სავარაუდოდ, თურქულ ენათა ჯგუფი, თავის მხრივ, ალთაურ ენებს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამ ჰიპოთეზას თურქული და ალთაური ენების (ამ ჯგუფში ძირითადად მონღოლური და ტუნგუსური ენები შედიან) ურთიერთნათესაობის შესახებ, დღეს უკვე აღარ იზიარებს ბევრი ენათმეცნიერი, თუმცა ის საბოლოოდ მაინც არ უარუყვიათ ერთხმად. ალთაურ ენათა სამი დიდი ჯგუფიდან თურქულ ენათა ოჯახი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მსოფლიოში და 40-მდე ენას მოიცავს. მოლაპარაკეთა რაოდენობის მხრივ 155 მლნ. კაცისთვის ერთ-ერთი თურქული ენა მშობლიურს წარმოადგენს, ხოლო 180 მილიონისთვის – მეორე ენას [1].

თურქულ ენათა უმეტესობა საკმაოდ დიდ მსგავსებას ავლენს ფონოლოგიაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში. ენათა ეს მსგავსება ართულებს ენათა შორის საზღვრების დადგენას, განსაკუთრებით ეს ეხება ერთმანეთის მეზობლად განლაგებულ თურქულენოვან ქვეყნებს, რომელთაც ხშირად სახელმწიფოებს შორის მდებარე ორივე მხარეს გარდამავალ დიალექტებზე მოსაუბრე მოსახლეობა ჰყავს. (ნახ.1).

Number of Native Speakers in the Turkic Language Family



ნახ 1. ცალკეულ თურქულ ენათა განაწილების დიაგრამა

ენები მრავალეროვან ქვეყანაში და ეროვნული ენის არსებობის ფორმები ერთერიან ქვეყანაში არის იერარქიული სისტემა, რომელსაც ეწოდება "ენობრივი სიტუაცია." თანამედროვე სოციოლონგვისტიკაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საზოგადოების როლზე. საერთო ენობრივი სიტუაცია და მისი კომპონენტების ფუნქციური დატვირთვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავს საზოგადოებაში ამა თუ იმ ეთნიკურ ერთობას. სოციოლონგვისტიკას აქვს თავისი მეთოდები ინფორმაციის შესაგროვებლად. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია: ანკეტირება, ინტერვიუ, ჩართული დაკვირვება, სოციოლინგვისტური ექსპერიმენტი, ანონიმური დაკვირვება, მეტყველებაზე უშუალო დაკვირვება. მონაცემთა დასამუშავებლად გამოიყენება - კორელაციური ანალიზი, იმპლიკაციური სკალირება, სემანტიკური ველების ურთიერთშედარებითი ანალიზი და სხვა[2].

მკვლევარ მაკლუენის აზრით, ისტორიის ძირითად მამომრავებლად ითვლება ტექნოლოგიების შეცვლა, რომელიც იწვევს კომუნიკაციის საშუალების შეცვლას. ბევრ კითხვას შეიძლება გაეცეს პასუხი კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით.

განსაკუთრებით ეფექტურია ელექტრონული ლექსიკონის გამოყენება უცხოენოვანი ტექსტის თარგმნისას.

**ელექტრონული ლექსიკონი** – გულისხმობს რამდენიმე გაგებას: ა) ის არის ელექტრონული ფორმის; ბ) ლექსიკონი და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება შეისწავლიდეს ნიმუშებს, ჩვეულებრივი მასალის გასამდიდრებლად; გ) გამოიყენებოდეს კომპიუტერულად მრავალმხრივი მიდგომით; ჩამოყალიბდეს როგორც ერთ-ერთი საფუძველი გრამატიკის ლინგვისტური თეორიისა. უფრო ფართოდ რომ აღვნიშნოთ, ეს ქმედებები შეიცავს სფეროს, რომელიც ცნობილია, როგორც კომპიუტერული ლექსიკოლოგია, ანუ სიტყვათა ფორმების, მნიშვნელობებისა და მათი ხმარების კომპიუტერულად შესწავლა.

ელექტრონული ლექსიკონი შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რასაც ჩვეულებრივ ლექსიკონში მოვიპოვებთ: გადატანითი და ვარიანტული ფორმები, სიტყვის წარმოთქმის ფორმები, მეტყველების ნაწილები, განმარტებები, გრამატიკული კატეგორიები, სახელობითი დახარისხება, გამოყენების ნიმუშები, ეტიმოლოგია. უფრო სპეციალიზებული ლექსიკონები კი შეიცავენ დამატებითი სახის ინფორმაციასაც.

საინტერესოა, როგორ ხდება ლექსიკონის გამოყენება?

**სიტყვათა მკაფიო გადმოცემა (WSD):** ბევრ ლექსიკურ ერთეულს აქვს მრავალგვარი გაგება. სიტყვათა მკაფიო გადმოცემა (Word-sense disambiguation -WSD) არის ავტომატური პროცესი, როდესაც

უნდა გადმოიცეს სიტყვის მნიშვნელობა მოცემულ კონტექსტში. WSD-ში ივარაუდება სიტყვის მიგნება, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს იმას, რასაც ეფუძნება მისი პირვანდელი გაგება და იგი კონტექსტური გაგებისაგან მკაფიოდ განსხვავდებოდეს.

**ინფორმაციული ექსტრაქტი (IE):** ეს სარის ავტომატური იდენტიფიკაცია ტექსტის არსის, კავშირების ან მოვლენების შესახებ. ინფორმაციული ექსტრაქტის (Information extract) ძირითადი ფუნქციაა ინფორმაციის ამოღება ტექსტიდან და მისი ჩასმა განმარტებების ხაზში. განმარტებათა ხაზი არ მოითხოვს სრულ გრამატიკულ ანალიზს, არამედ იგი მოიცავს, მაგალითად ადამიანთა სახელების, ორგანიზაციების, გეოგრაფიული სახელების, ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციას.

**Word Net-ი** ანუ იერარქიული ელექტრონული ლექსიკონი არის ერთგვარი გასაღები, რომ განსაზღვროს, თუ რა ტიპის პასუხს მოითხოვს იგი. მაგალითად, ზოგიერთი კითხვა მოითხოვს პასუხს რიცხვის ან ზომის სახით. პასუხებისათვის ამ ტიპის ლექსიკონი გამოიყენება იმგვარად, რომ განსაზღვროს თუ რა სახის აღმნიშვნელი ტერმინი არის წარმოდგენილი და რომელი მათგანი სჭირდება მოცემულ მომენტში [3].

ამგვარად, ჩვენს მიერ განხილული ელექტრონულ ლექსიკონთა გამოყენების შესაძლებლობების ფონზე შეიძლება დავასკვნათ - ეს არის მარტივი გზა სხვადასხვა ენაზე და სხვადასხვა სფეროში მომუშავე მეცნიერების მოსახერხებელი ურთიერთობებისათვის, სათარგმნ ტექსტთა სწრაფი და კონტექსტის შესაბამისი შინაარსის გადატანისათვის მეორე ენაზე. რაც მეტად ეფექტურია როგორც ქართული, ასევე თურქული ნაწარმოებების თარგმნისას.

#### **ლიტერატურა:**

1. ka.wikipedia.org/wiki/ - თურქული ენები.
2. socium.ge/index.php?option.. - კომუნიკაციის თეორიის განვითარების ძირითადი ეტაპები.
3. ხეცურიანი, 2000 - ნ. ხეცურიანი. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და ენათა შეპირისპირებითი ანალიზი. “ენა და კულტურა”, თბ., 2000.

## **ონომასტიკური ძიებანი ფრონეს ხეობიდან**

*ნიკოლოზ ოთინაშვილი*

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

სიტყვათა ერთობლიობა შეადგენს ენის ლექსიკურ ფონდს და მათი რეალიზება ხდება საჭიროების მიხედვით. საკუთარი სახელები ენის ლექსიკური ფონდის განუყოფელი ნაწილია. ყველა საკუთარი, მათ შორის ადამიანის გვარი, სახელი, ასევე ადგილის სახელი ონომასტიკის შესწავლას ექვემდებარება. ონომასტიკა მეცნიერების შედარებით ახალი დარგია და მისი კვლევის მეთოდები და ტერმინოლოგიაც ენათმეცნიერულია.

ფრონეს (ფრონეების) ხეობა დღეს ქართლის შემადგენელი ნაწილია, ისტორიულად კი ამერ-იმერის გზაგასაყარზე მდებარეობდა და სხვადასხვა ფეოდალურ გვარეულობას მიეკუთვნებოდა.

მხარის შესახებ რამდენიმე ისტორიული ძეგლი მოგვეპოვება, მათ შორის კი აღსანიშნავია 1715 წლის „რუისის საეპისკოპოსოს დავთარი“, სადაც ფიქსირებულია ხეობის სოფლები და იქ მცხოვრები ადამიანები გვარსახელებით, რომელთა შესწავლა ბევრ საყურადღებო ფაქტს გამოავლენს დიალექტოლოგიისა და ონომასტიკის შესწავლის მხრივ.

მაღზე საყურადღებოა ამ მიმართებით ვახუშტი და იოანე ბაგრატიონების „აღწერები“, რომლებიც ქართული ონომასტიკის „ოქროს ფონდს“ უნდა მივაკუთვნოთ.

მხარის კვლევისათვის ასევე პირველხარისხოვანი ძეგლია ამ ცოტა ხნის წინ გამოცემული „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი, რომლის ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილურად გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფესორმა ნოდარ შენგელიამ.

მეთვრამეტე საუკუნის ოც-ოცდაათიან წლებში გაძლიერდა ოსმანთა დიდი იმპერია და ვახტანგ მეექვსის ქართლიდან რუსეთში წასვლის შემდგომ ოსმალები ქართლში შემოვიდნენ, დააწესეს ოსმალური გადასახადები. ოსმალო მოხელეები აწარმოებდნენ დავთრებს, სადაც აღიწერებოდა ყველაფერი და სწორედ ეს ძეგლია ზემოხსენებული თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, სადაც მოთავსებულია იმდროინდელი მონაცემები, რომელსაც დღეს ჩვენთვის განუზომელი მნიშვნელობა გააჩნია.

დავთარში სხვა მხარეების მსგავსად აღწერილია მთელი ფრონეს ხეობის სოფლები, რომლებიც მაშინ ამილახვრის თავადურ გვარს ეკუთვნოდა, რაც ნაკლებად დასაჯერებელია, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ საამილახორო, როგორც სათავადო ლეხურის ხეობაში, ტირიფონაზე და გორის რაიონის ზოგიერთ სოფელს მოიცავდა. ფრონის ხეობა კი ძირითად ამირეჯიბების, ფალავანდიშვილების, ავალიშვილების, ციციშვილების, ხიდირბეგიშვილების და სხვათა გამგებლობაში შედიოდა.

თურქულ ტექსტში აღნიშნულია სოფელი კნოლე, რომელიც დღეს კნოლევია, ხოლო თურქულში მოცემული საკუთარი სახელი გვარის გარეშე დიმიტრი ძე ხახუტასი ცოტა ადრინდელ რუსის საეპისკოპოსო დავთარში არის დიმიტრი ციმაკურიძე, თურქულით მოცემული თამაზა - არის თამაზ ბლიაძე, ივანე - ივანე ბლიაძე და სხვა.

სოფელ ურმისხელში თურქულ ტექსტში სახელით აღნიშნული სეხნია დავთრის მიხედვით არის სეხნია დობარდანიძე, ბერი არი მისი ძე, გიორგი - არის გიორგი კუპატაძე. სოფელ თიღვაში თურქულ ტექსტით აღნიშნული „თამაზა“ ქართულით არის თამაზ გრიგოლაშვილი, ნულში სულხანი არის სულხან სუხიაშვილი, სოფელ წორბისში თურქულით მოცემული „მამუკა“ არის მამუკა კობერიძე, „თამაზა“ არის თამაზ რაჭველი და სხვა. თურქულ და ქართულ აღწერებს ერთმანეთისგან მხოლოდ რამდენიმე წელი ამორებით და სწორედ ამიტომ არის გვარ-სახელების დადგენა შედარებით იოლი თუმცა თავისებური სიძნელეები ახლავს და მისი დამლევა და კვლევა სამომავლო საქმეა, რაც მნიშვნელოვანი შედეგის მომტანი იქნება მეცნიერებაში და ეთნიკური თვალსაზრისითაც.

თურქული აღწერის მიხედვით შეცვლილია სოფლების სახელები, მაგალითად თურმნეული ქართულ წყაროებში ყველგან თორმნეულია, ხტანე არის ხტანა ან ძველი ფორმით ხრტანა, ოჯორა არის ოჯორა, სურნისი დღეს სურნისია (გოგირდოვანი წყაროს სახელია, რომელსაც სპეციფიური სუნი და გემო აქვს). სოფელ მძვივლიეთი დღეს ძვილეეთია, უფრო სწორად ზემო და ქვემო ძვილეეთი და სხვა.

თურქულ ტექსტში აღნიშნული სოფლები ბადნო, ზომლეთი, ხურბალეთი დღეს ნასოფლარებს მიეკუთვნება და დასადგენია როგორც მათი ლოკალიზაცია, ისე იქ მცხოვრები პირების სახელების იდენტიფიკაცია.

აღწერაში იმდროინდელი საკუთარი სახელები სტრუქტურულად სწორად არის მოყვანილი. გვაქვს ძველი ქართულის მსგავსად, როდესაც ფუძის სახით არის წარმოდგენილი: ზურაბ, რევაზ, ბარნაველ, ბერი, ბეჟან, ფარემუზ, ჯაბაღ, აბრამ, ელიზბარ, ზაალ... ისე სახელობით ბრუნვის ნიშნით.

სტრუქტურული თვალსაზრისით საკუთარი სახელის ბოლოში გვაქვს ხმოვნები: - ა: თამაზა, ბერიკა, მახარა, ნასყიდა, დაჯია, კოჩინა, ხოხობა, ბაჩუა, მამუკა, დათუნა...

დაბოლოებული ე-ზე: თედორე, ივანე, პავლე, გოთანე, იორდანე, ზაჯიე...

ო-ზე: ქაიხოსრო, შიო, გენო...

ზოგჯერ საკუთარ სახელს ისეთი ფორმა აქვს მოცემული, რომ მას შეიძლება სხვადასხვაგვარი განმარტება მიეცეს და ძნელია მისი ეტიმოლოგიისას რომელი ვარაუდია სწორი. შეიძლება ითქვას, რომ ზოგჯერ სახელი ნასესხებია როგორც უცხო ენიდან, ისე დიალექტიდან საჭიროა სხვადასხვა მონაცემების დადგენისას. მაგალითად სოფელ ძალინის აღწერისას გვხვდება იასე, ძმა მისი დავით და აჰმედ ძმა მისი, რომელსაც მიწერილი აქვს, რომ ის - ახალი გამუსლიმებულია. ეს რა თქმა უნდა თურქულის გავლენით უნდა მომხდარიყო, რელიგია კი მუსლიმური სალოცავების საშუალებით ვრცელდებოდა რაც „აღწერაში“ კიდევ არის მითითებული.

ენის წიაღში სახელი ხშირად ცვლილებას განიცდის, რის გამოც მისი პირვანდელი სახის დადგენა ძნელდება. მაგალითად „აღწერაში“ გვხვდება ასეთი სახელები: ალაკული, ზოჯია, მადანი, კოგია, ხივა, კოგია, ანდერქი, მალუნა, ბაბოდი, ბირა, ადი, ზუჰრან, ბაჯილ, ზათინა და სხვები, რომელთა ეტიმოლოგია დასადგენია.

ვახუშტი ბაგრატიონს თავის მიერ შედგენილ რუკაზე 1745 წელს ფრონეს ხეობაში სოფელ ძალინის სამხრეთით დატანილი აქვს ტერმინი „ურია“ სათანადო საკულტო ნიშნით. მართლაც იქ, დღესაც არის სალოცავის ნანგრევები. იქ ებრაელობა სახლობდა და მისდევდნენ ვაჭრობა-აღებ-მიცემობას ძირითადად ქართლის მოსაზღვრე იმერეთთან.

ზემოხსენებულ თურქულ ტექსტში გვხვდება ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ სახლობდა „აღწერის“ ე.ი. 1728 წლისთვის ძალინის სიახლოვეს. „აღწერაში“ გვხვდება ასეთი ფორმით „ებრაელთა დასახლება“. მოყვანილია მაშინდელი ონომასტიკონი, რომელიც დღეს ასე საჭირო და ძვირფასია ყოველგვარი სინამდვილის შესაცნობად. ებრაული სახელები ძირითადად ა-ზე დაბოლოებულია და კნინობითი

ფორმითაა: საშვალა, აბრამა, ისკაკა, მოშია, ჯასანა, შაბათა, აბიკა, ბასია, მორჯუქა, მორდუხა, ბათა, ელიფარა, მართულა, სიხაფილ, სენანია, ელიოზა, ზაღულა, ნათა, მაგრამ გვხვდება ქართულთან საზიარო სახელებიც: შიო, ლაზარე, ნასყიდა, სეხნია, გიორგი, ბერი, როსტომ, ბაინდურ და მრავალი სხვა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საუკუნეების განმავლობაში თანაცხოვრებამ სახელთა შერწყმა გამოიწვია.

ხსენებული აღწერის სტილი იმდროინდელი პრაქტიკიდან გამომდინარე ასეთია: აღნიშნულია მხოლოდ მამაკაცები, რომლებსაც გადასახადის გადახდა ევალებოდათ. საბუთი გვაწვდის ზუსტ ინფორმაციას დასახლებათა შესახებ და გადამხდელთა რაოდენობის თვალსაზრისით.

თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარის ორი ტომი ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა XVIII საუკუნის მეორე მეოთხედის მთელი რიგი საკითხების შესასწავლად, აღნიშნული წყარო ბევრ საკითხს გასცემს პასუხს, რომელიც ჩვენ რეგიონთან არის დაკავშირებული.

#### **ლიტერატურა:**

1. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიამ და პროფესორმა ნოდარ შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 285-327.
2. ექვთიმე თაყაიშვილი, მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პირველი, რუისის საეპისკოპოსოს დავთარი, ტფილისი, 1907.
3. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, II წიგნი, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, ტფილისი, 1895.
4. ზურაბ ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1982.

## **საქართველო-თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობები ენერჯეტიკის სფეროში**

*ლალი ოსაძე*

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასისტენტ პროფესორი ეკონომიკის დოქტორი

*სოფიო ცეცხლაძე*

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი


თურქეთის რესპუბლიკა ისლამური სამყაროს ერთ-ერთი უმსხვილესი სახელმწიფოა, რომელიც საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოსთან თანამშრომლობს, მათ შორის საქართველოსთან.

საქართველოსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 21 მაისს დამყარდა. ამ პერიოდიდან ორ სახელმწიფოს შორის გაფორმდა უამრავი ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ. თანამშრომლობა ხორციელდება სხვადასხვა სფეროში, მათ შორის აღსანიშნავია:

- სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა;
- ინვესტიციები;
- ტურისტული ურთიერთობები;
- განათლების მეცნიერებისა და კულტურის სფერო და სხვა;

თურქეთი საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორია, შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი და უკრაინა. ამ ქვეყნებს 2008 წლიდან ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ათეულში პირველი სამი ადგილი უცვლელად უკავიათ.

**ძირითადი სამი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილი  
მთლიან სავაჭრო ბრუნვაში**



თურქეთს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 16.2% ხვედრითი წილი უკავია და შეადგენს 1500 მლნ. აშშ დოლარს.

2011 წელს **ექსპორტი** გაიზარდა 6.3%-ით და შეადგინა 227.6 მლნ. აშშ დოლარი. ხვედრითი წილი საქართველოს მიერ განხორციელებულ მთლიან ექსპორტში განისაზღვრა 10.4%-ით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ძირითადი საექსპორტო ქვეყნების ათეულში თურქეთი მე-2 ადგილზე იმყოფება. ექსპორტის პირველ ხუთ სასაქონლო პოზიციას თურქეთთან უკავია მთლიანი ექსპორტის 75.6%. ეს პოზიციებია:

შავი ლითონების მეტალოკონსტრუქციები	3.4%
პლასტმასის მილები და მილაკები	2.8%
სამკურნალო საშუალებები	2.6%
ქალაქი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო	2.6%
იზოლირებული სადენები და კაბელები	2.3%

**იმპორტი** გაიზარდა 43.4%-ით და შეადგინა 1272.4 მლნ. აშშ დოლარი. ხვედრითი წილი საქართველოში განხორციელებულ მთლიან იმპორტში განისაზღვრა 18%-ით. იმპორტის პირველ ხუთ სასაქონლო პოზიციას უკავია მთლიანი იმპორტის 13.5%.

ეს პოზიციებია:

შავი ლითონების ჯართი	36.3%
ფეროშენადნობები	22.2%
აზოტოვანი სასუქები	8.4%
ელექტროენერგია	5.4%
მსუბუქი ავტომობილები	3.3%

დავით ბაქრაძე თებერვალში თურქეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. იგი შეხვდა თურქ კოლეგას, შეხვედრის მთავარი თემა ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები იყო. ყურადღება გამახვილდა სავაჭრო ურთიერთობებსა და ენერგეტიკულ პროექტებზე. უკვე გადაწყვეტილია ისიც, რომ თურქ ბიზნესმენებს საქართველოში თურქული პირადობის მოწმობით შეეძლებათ ჩამოსვლა და 3 დღის განმავლობაში საქმიანი შეხვედრების გამართვა. თურქეთისა და აზერბაიჯანის ოფიციალურ დელეგაციებთან ერთად, საქართველოში ამ ქვეყნებიდან იმყოფება 100-მდე ბიზნესმენი, რომლებიც სოფლის მეურნეობის სფეროს, სამშენებლო, მსუბუქი მრეწველობისა და საფინანსო სექტორებს წარმოადგენენ.

განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება საქართველო-თურქეთის ენერგეტიკულ ურთიერთობებს. მიმდინარე წლის 20 იანვარს თბილისში საქართველო-თურქეთის ენერგეტიკული კონფერენცია გაიმართა, რომლის დროსაც ორი ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ელექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესახებ. მიმდინარე წლის მაისიდან საქართველოში წარმოებული ელექტროენერგია საექსპორტოდ თურქეთსა და ევროპაში გავა. ამ ხელშეკრულების გაფორმება მოაწესრიგებს ორი ქვეყნის დამაკავშირებელი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციას. თბილისის კონფერენციაზე გადაწყვეტილად გამოცხადდა კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მდინარე მტკვრის ჰიდრორესურსების გამოყენებას უკავშირდება. თბილისში გამართულ საქართველო-თურქეთის ენერგეტიკულ კონფერენციაზე გამოცხადდა, რომ ორ ქვეყანას შორის მდინარე

მტკვრის ჰიდრორესურსების ექსპლუატაციის თაობაზე არსებული აზრთა სხვადასხვაობა აღარ არსებობს. საქმე ეხება თურქეთის „ბეშიქ ჰაიას“ კაშხლის პროექტს, რომლის მიხედვითაც მტკვრის ჰიდრორესურსების ნაწილს მიმართულება უნდა შეეცვალა და შავ ზღვაში მოხვედრილიყო. ამ იდეას საქართველოს საზოგადოების წინააღმდეგობა მოჰყვა და ოფიციალურმა თბილისმა ანკარას პროექტის იმდაგვარად განხორციელება შესთავაზა, რომ მდინარე მტკვრის დინება უცვლელი დარჩეს. საქართველოს წინადადებაზე შეთანხმება დაადასტურა თბილისში მყოფმა თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა თანერ ილდიზმა. კონფერენციაზე აღნიშნეს, რომ შენდება თურქეთთან ბორჩხა-ახალციხის დამაკავშირებელი 400 კილომეტრიანი ელექტროგადამცემი ხაზი, რომლითაც განხორციელდება ელექტროენერჯის ექსპორტი თურქეთში.

თურქეთისა და საქართველოს ხელისუფლებები გეგმავენ აშენონ კავკასიაში 500/400 კილოვაციანი მაღალი ძაბვის ელექტრო ენერჯის გადამცემი სისტემა, რათა დააკავშიროს და დაასინქრონოს ელექტრო ენერჯის სისტემა კავკასიასა და თურქეთს შორის ვაჭრობის გაზრდის მიზნით. 2016 წლისათვის მთლიანი ელექტრო ენერჯის გამომუშავება უნდა იყოს 321-378 ტვ., წლიური 6-7,5 % ზრდით.

თურქეთს უჭირს, რომ დააკმაყოფილოს მოთხოვნის ტალღა მასიური ჰიდრო ელექტრო სადგურების ექსპანსიის, დაგეგმილი ნახშირის ელექტრო სადგურების, რომლებიც იყენებენ შიდა მურა ნახშირის და ატომური ელექტრო ენერჯის სადგურის მშენებლობის გეგმების მიუხედავად. თურქეთში ელექტროენერჯის ფასი კერძო საბითუმო ბაზარზე თითქმის ყველაზე მაღალია ევროპაში. მაღალი საბითუმო ფასის მთავარი მიზეზია მარგინალური მწარმოებლები სისტემაში, ბუნებრივ აირზე მომუშავე სადგურები, ბუნებრივი აირის შესყიდვის მაღალი ფასის პირობებში. მოსალოდნელია, რომ 2014 წელს, თურქეთში საბითუმო ფასი იყოს 9 ამერიკული ცენტ/კილ.ვ ან მეტი საშუალო პირობებში მაშინ, როცა საწვავის/ბუნებრივი აირის ფასი შეიძლება გახდეს 70 ამერიკული დოლარი/ბარელი.

საქართველოს ენერგო-სექტორის პოტენციალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანას აქვს დიდი პოტენციალი მდგრადი ენერგეტიკის განვითარებისათვის. ქვეყანას აქვს დიდი პოტენციალი როგორც ჰიდროენერგეტიკული რესურსების, აგრეთვე ქარისა და მზის ენერჯის განვითარების თვალსაზრისით.

“საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების” პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, უმთავრესი გრძელვადიანი ამოცანაა საკუთარი ჰიდრორესურსებით ელექტროენერჯიაზე ქვეყანაში არსებული მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება, ეტაპობრივად. თუმცა, აქვე იკვეთება მეორე, უფრო გრძელვადიანი ამოცანაც, რომ საქართველო ენერგეტიკული რესურსების იმპორტიორი ქვეყნიდან თანდათანობით უნდა იქცეს მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების მქონე, მდგრადი, კონკურენტუნარიანი და მოქნილი, დამოუკიდებელი ენერგეტიკული შესაძლებლობების სახელმწიფოდ. ამ ფონზე განსაკუთრებით საყურადღებოა თურქეთთან ურთიერთობა ენერგეტიკის სფეროში.

საქართველოს ენერგეტიკული სისტემის განვითარების საბოლოო მიზანს წარმოადგენს მდგრადი ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც დაეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. გარემოს დაცვის ინტეგრაცია, როგორც ენერჯის გამომუშავებისას, ასევე მისი მოხმარებისას;
2. ენერგო უსაფრთხოება;
3. კონკურენტუნარიანი ენერგო-სისტემების განვითარება.

ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპულმა საკონსულტაციო ცენტრმა მოამზადა სრულყოფილიანი წევრის სტატუსის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებელი ქმედებების შესახებ წინასწარი შეფასება და რეკომენდაციები.

აუცილებელია ენერგეტიკის სამინისტრომ მეტი ყურადღება დაუთმოს ქართული საკანონმდებლო სივრცის ჰარმონიზაციას ევროკავშირის დირექტივებთან და მნიშვნელოვნად გაზარდოს თანამშრომლობა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან.

საქართველოს მთავრობა ცდილობს ერთდროულად მოიზიდოს ინვესტიციები რამოდენიმე დიდი კაშხლის მშენებლობისთვის, რაც საკმაოდ პრობლემატურია არსებულ ეკონომიკურ პირობებში.

ჩვენი აზრით, აუცილებელია, რომ საქართველოს მთავრობამ:

- დაიწყოს მუშაობა ახალ ენერგოპოლიტიკაზე, რომელიც შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის ენერგო პოლიტიკასთან 2020;
- საზოგადოების მონაწილეობით შემუშავდეს განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის კანონი და თანამდევი სამოქმედო და ფინანსური გეგმა;
- მოხდეს ფინანსური გეგმის შეთანხმება დონორ ორგანიზაციებთან და დაიწყოს გეგმის განხორციელება;
- მოიზიდოს ინვესტიციები მცირე ჰეს-ების რეაბილიტაციისა და დეცენტრალიზებული განახლებადი ენერჯის წყაროების მშენებლობისთვის;

• შეიმუშავოს საქართველოს ენერგოსექტორის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც დაეყრდნობა სექტორის გარემოზე ზეგავლენის შეფასებას, რათა მოიძებნოს სექტორის განვითარების ყველაზე ოპტიმალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები მოდელები.

#### ინტერნეტ-რესურსები:

1. [http://www.rustavi2.com/news/news\\_textg.php?id\\_news=44665&pg=1&im=main](http://www.rustavi2.com/news/news_textg.php?id_news=44665&pg=1&im=main)
2. <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24458486.html>
3. [http://tribuna.ge/index.php?option=com\\_content&task=view&id=6971&Itemid=58](http://tribuna.ge/index.php?option=com_content&task=view&id=6971&Itemid=58)
4. <http://news.boom.ge/geo/12/20120207/1535836/>
5. [http://www.government.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=251&info\\_id=3326](http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=251&info_id=3326)
6. <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24458486.html>
7. [https://www.google.ge/#hl=ka&gbv=2&q=სტატისტიკის+დეპარტამენტი+ენერგეტიკა&bav=on.2,or.r\\_gc.r\\_p\\_w.,cf.osb&fp=aad2236dfac0f447&biw=1152&bih=734](https://www.google.ge/#hl=ka&gbv=2&q=სტატისტიკის+დეპარტამენტი+ენერგეტიკა&bav=on.2,or.r_gc.r_p_w.,cf.osb&fp=aad2236dfac0f447&biw=1152&bih=734)

## თეფეგიოზი და ცალთვალა გოლიათები ქართულ ფოლკლორში

### *ქეთევან სიხარულიძე*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

“ქითაბი დედემ ქორქუთ” ანუ “წიგნი პაპაჩემი ქორქუთისა” ოღუზურ თურქულზე შექმნილი თვალსაჩინო ძეგლია, რომელიც შუასაუკუნეებში ლიტერატურულად გადაამუშავეს. 12 კარისგან შემდგარი ეპოსის ძირითადი თემა ოღუზთა ბეგების ბრძოლები გარეშე მტრებთან. ფიქრობენ, რომ აქ თავი მოიყარა სხვადასხვა ეპოქაში შეთხზულმა ამბებმა, ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ იგი მდიდარია ფოლკლორული სახეებითა და მოტივებით. ყველა ხალხს თავისი ორიგინალური ზეპირსიტყვიერება გააჩნია, მაგრამ არ არსებობს თავის თავში ჩაკეტილი ფოლკლორი. ხალხურ შემოქმედებაში უხვადაა უნივერსალური სახეები და მოტივები, გავლენებისა და სესხების კვალი, რაც ხალხთა ურთიერთობის ანარეკლია.

დედე ქორქუთის ეპიკურ პერსონაჟთა შორის არის ცალთვალა გოლიათი თეფეგიოზი, რომლის შესახებ მოთხრობილია VIII თავში. ეს მავნე არსება მწყემსისა და პერის – ფრთოსანი ჯადოქრის შვილია. ერთხელ, როდესაც მწყემსი ქონურ-ხოჯა-სარი-ჩობან (ქართ. “შავტუხა მოხუცი – ყვითელი მწყემსი”) ნაკადულთან ამოვებდა ცხვარს, შემთხვევით შეხვდა ჯადოსნურ არსებას – ფრთოსან პერის, აღივსო მისდამი ლტოლვით და სატრფიალო ურთიერთობა დაამყარა მასთან. ერთი წლის თავზე პერიმ მწყემსს მიუტანა უცნაური გროვა, რომელიც ყოველ შეხებაზე იზრდებოდა, თან უთხრა: “შენ დიდი უბედურება დაატეხე თავს ოღუზებს!” თეფეგიოზე, შეიძლება ითქვას, კი არ დაიბადა, არამედ გამოიჩეკა იმ კვერცხისებური გორგალიდან. შეშინებულმა მამამ დაბადებამდე მიატოვა საშინელი არსება, რომელსაც შუბლზე ერთი თვალი ჰქონდა (მისი სახელიც აქედან მომდინარეობს) და იგი იშვილა არუზ-ხოჯამ, მაგრამ თეფეგიოზე კაციჭამია გამოდგა, გარშემო ყველას ზიანს აყენებდა, არც მამობილს უჯერებდა. ამიტომ სახლიდან გააგდეს. ის ერთ მთაზე დაბინავდა. ყაჩაღობდა, გზას უჭრიდა გამვლელ-გამომვლელს, იტაცებდა ადამიანებს და ჭამდა. ვერავინ ერეოდა, რადგან მას იცავდა დედის მიერ მიცემული ბეჭედი. მის სხეულს არც ხმალი ეკარებოდა, არც ისარი. თავი რომ გადაერჩინათ, ადამიანები ხარკად უხდიდნენ დღეში 500 ცხვარს და ორ კაცს შესაჭმელად. ბოლოს არუზის ვაჟმა ბასატმა, რომელიც ბავშვობაში ლომმა გაზარდა და ამიტომ არაჩვეულებრივი ძალა ჰქონდა, დააბრმავა და მოკლა. თუმცა თეფეგიოზთან ორთაბრძოლაში მას მოხერხებაც დასჭირდა. აქ თამაშდება იგივე ეპიზოდი, რაც ოდისევსისა და ციკლოპი პოლიფემის მოთხრობაში გვხვდება. ეს არის გავრცელებული სიუჟეტი, როცა მოხერხებული გმირი ატყუებს დაბრმავებულ გოლიათს და ამით გადაირჩენს თავს. მსგავსი სიუჟეტები სხვადასხვაგვარი გაფორმებით გვხვდება ქართულ ფოლკლორშიც, განსაკუთრებით



ჯადოსნურ ზღაპრებში (მაგ., “ზუთკუნჭულა”, “ნაცარქექია” და სხვ.). ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ცალთვალა გოლიათის ფოლკლორულ სახეზე.

თავდაპირველად უნდა განვმარტოთ, რომ ცალთვალა პერსონაჟები, როგორც წესი, გოლიათები ან დევები არიან, რომლებსაც შუბლში ერთი თვალი აქვთ. ეს მათთვის დამახასიათებელი გარეგნობაა, რომელიც მათ სახელებში აისახა და რომელიც მათ მითოლოგიური ბიოგრაფიიდან მოჰყვებათ.

ბევრი ხალხის მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, დედამიწის პირველ მოსახლეობას წარმოადგენდნენ გოლიათები, შემდეგ კი მოხდა თაობათა ცვლა. მომდევნო თაობები ზომით უფრო პატარები ჩნდებოდნენ და ბოლოს ადამიანის ზომაზე მოდგნენ.

ქართულ მითოლოგიაშიც სამყაროს შექმნის ხანა გოლიათური ნიშნით ხასიათდება. ესენი იყვნენ ცალთვალა გოლიათები, რომელთა ეპოქა გამოირჩეოდა განსაკუთრებული ბარაქიანობით. მიწას ცხიმი გასდიოდა. დედამიწის მამინდელი მკვიდრნი ერთ მუჭა მიწას წვენს გამოადენდნენ, სვამდნენ და ეს საკვები დიდხანს ჰყოფნიდათ. ძილიც გოლიათური იცოდნენ – ერთი კვირა ეძინათ. მათ ჰქონდათ ყველა სიკეთე: ცეცხლი, საქონელი, სიმდიდრე. ისინი ძირითადად მწყემსების ამპლუაში გვევლინებიან, რადგან მათი მთავარი სიმდიდრე ცხვრის ფარაა. ფიქრობდნენ, რომ დიდი ციხეები მათი აშენებულია. ამოღრმავებული დიდი ქვები თითქოს მათი ჯამები იყო და ა.შ. გოლიათები ადამიანებზე ბევრად ადრე ცხოვრობდნენ დედამიწაზე. მათ მოიპოვეს (ან ღმერთებმა მისცეს) არსებობისთვის ყველა აუცილებელი საშუალება. დროთა განმავლობაში ამ მითოლოგიურმა პერსონაჟებმა ტრანსფორმაცია განიცადეს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ზეპირსიტყვიერებაში. როცა იცვლება რელიგიური წარმოდგენები, მკვიდრდება ახალი ტიპის აზროვნება, ძველი სისტემის სახეები ან იკარგებიან, ან იცვლიან სახეს. მაგალითად, თუშური გადმოცემით, ცალთვალა გოლიათი ავსულთა უფროსია და მას “შუბლში თვალსაცრიანს” უწოდებენ. კავკასიაში ასეთ პერსონაჟებს ასევე გარეგნობიდან ამ სახელებში მითითებება მრგვალ თვალზე, რასაც ბერძნული გოლიათის სახელიც აღნიშნავს: ციკლოპი ანუ “მრგვალი თვალი”.

ასე გადაიქცნენ გოლიათები უარყოფით პერსონაჟებად, ბოროტ არსებებად, ბევრმა ურჩხულის სახეც მიიღო. ახალი, უფრო მოხერხებული თაობის მოსვლით მათ დაკარგეს ძველი ღირსება და იქცნენ ბოროტ არსებებად, რომლებსაც საკუთრებას ძალით ართმევენ. ისინი უპირისპირდებიან მომდევნო თაობის გმირებს, არ თმობენ თავიანთ პოზიციას და ახალი დროის გმირებს ბრძოლით უწევთ გოლიათების სიმდიდრის მოპოვება. თურქული ეპოსის პერსონაჟი თეფეგიოზიც ამ პერიოდის ცალთვალა ურჩხულს განასახიერებს, რომლის მთავარ სიმდიდრეს ხარკად მიღებული ცხვრის ფარა წარმოადგენს.

ბერძნულ მითოლოგიაშიც არიან ციკლოპები – ცალთვალა გოლიათები. ერთ მათგანს, სახელად პოლიფემს, გადაეყარა ოდისევსი. მან თავი იმით გადაირჩინა, რომ მძინარე ციკლოპს ერთადერთი თვალი გამოთხარა და ცხვრის ფარაში შერეული გამოქვაბულიდან გამოიპარა. მსგავსი სიუჟეტი გვხვდება ქართულ ფოლკლორში. ამ თარგზუა აგებული ბასატისა და თეფეგიოზის ორთაბრძოლის სცენაც. ბასატი ცხვრის ტყავში გახვეული შეიპარა თეფეგიოზის სამფლობელოში და ამოთხარა თვალი. დაბრმავებული თეფეგიოზი ეშმაკობით ცდილობს მის დაღუპვას. ყოველ მომდევნო ეტაპზე ბასატი ახერხებს დაბრკოლების გადალახვას, მაგრამ აქ გამძაფრებულია სიტუაცია იმით, რომ გმირი კლავს თეფეგიოზს მისივე ხმლით.

გოლიათები დევების სახელით საზღაპრო ეპოსშიც დამკვიდრდნენ, მაგრამ, რასაკვირველია, შეცვლილი სახით. თუკი მითოლოგიური გოლიათები პირველყოფილ ცოდნას ფლობდნენ და ერთი თვალი მათ განსაკუთრებულობაზე მიუთითებდა, მოგვიანებით სახე იცვალეს. ძველი პლასტები რუდიმენტების სახითაა წარმოდგენილი, როგორცაა ცხვრის ფარა, ჯადოსნური ნივთების ფლობა. მხოლოდ ფიზიკური ძალა და სიმდიდრე შერჩათ, ჰკუთნებდათ კი დიდად ვერ დაიტრახებენ. ზღაპრებში სწორედ ამაზეა დაფუძნებული გმირის გამარჯვება, რომელსაც აქვს გონების ძალა და ბრიყვ დევს ამარცხებს. ამგვარ დაპირისპირებას ვხედავთ როგორც თურქულ ზღაპრებში, ისე დედე ქორქუთის ეპოსში.

ქართულ ფოლკლორში დევები მრავლად არიან და მათი ერთგვარი კლასიფიკაციაც ხერხდება. მითოლოგიურ გადმოცემებში ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ უკვე აღარ აქვთ ძველი გარეგნობა, ჩვეულებრივ, ორი თვალი აქვთ. მართალია, ბოროტი არსებები არიან, ადამიანებს ჩაგრავენ და ღვთისშვილებს უპირისპირდებიან, მაგრამ აქ მათ მითოლოგიური დევების ნიშნები აქვთ. ისინი მჭედლები არიან. მათი გამოჭედილი იარაღით დამუშავებული მიწა განსაკუთრებულად ბარაქიანია. ასევე გააჩნიათ ზებუნებრივი თვისებები. ადამიანები მათ ვერ უწევენ წინააღმდეგობას და ღმერთს სთხოვენ შველას. ამ დევების დამარცხება მხოლოდ ღვთისშვილებს შეუძლიათ.

ზღაპრებში განსხვავებულია დევების სახე. აქ ისინი ბრიყვები და კაციჭამიები არიან და მათთან გამკლავება ჭკვიან ადამიანსაც შეუძლია. თითო-ორთა ზღაპარში კეთილი დევიც გვხვდება, რომელიც გმირს მამობას უწევს და თავის სიმდიდრეს აძლევს. მაგალითად, ზღაპარი “ზრმა დევი და ფეიქრის ვაჟი”, რომელშიც დევის სიბრმავე მისი უძველესი ნიშნის – ცალთვალობის გამოძახილი უნდა იყოს, მაგრამ ასეთი სიუჟეტები ძალზე ცოტაა. ცალთვალა დევი ქართულ ზღაპრებშიც ფიგურირებს და ის განსაკუთრებით საშიშია, რადგან სხვა დევებს აღმატება თავისი სიმდიდრით. ესეც ალბათ ძველი მითოლოგიური გოლიათის ნიშანი გადმოჰყვით ზღაპარში.

ქართულ ფოლკლორულ მასალაში ვხედავთ გოლიათის სახის როგორც უძველეს, ისე გვიანდელ შრეებს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ცალთვალა გოლიათის სახე ორგანულია ქართული ფოლკლორისთვის. დევი თურქულ ჯადოსნურ ზღაპრებშიც ხშირად გვხვდება და მას იგივე ფუნქცია აქვს, რაც ქართულ თუ სხვა ხალხთა ზღაპრებში. ეს არის ამ სახის შედარებით გვიანდელი ფორმა, ცალთვალა კი მხოლოდ ოლუზურ ეპოსში გვხვდება თეფეგიოზის სახით.

როგორც ვხედავთ, ცალთვალა გოლიათები თურქულ ეპოსსა და ქართულ ფოლკლორში სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში ფიგურირებენ და განსხვავებული ფუნქციებიც ეკისრებათ, მაგრამ როგორც მხატვრული სახეები, ერთმანეთს ჰგვანან. დღეს ძნელია მათ გენეტიკურ ნათესაობაზე საუბარი. შესაძლოა მათ ერთი წყარო ჰქონდეთ, აქ შეიძლება ტიპოლოგიასთანაც გვექონდეს საქმე, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს მსგავსებები ქართველი და თურქი ხალხის მეზობლობისა და ხანგრძლივი ურთიერთობების შედეგაც არის.

### ლიტერატურა:

1. დედე ქორქუთის წიგნი (თურქულიდან თარგმნეს, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთეს ე. ჯაველიძემ და გ. შაყულაშვილმა), თბ., 1987.
2. სიხარულიძე ქ., კავკასიური მითოლოგია, 2006.
3. ხალხური სიბრძნე, ქართული ზღაპრები, ტ. I, თბ., 1963.

## ცხინვალის 1728 წლის “თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის” მიხედვით

### გიორგი სოსიაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

ცხინვალის მოსახლეობის შესახებ საისტორიო წყაროებში ცნობები ერთობ მწირია. თუ არ ჩავთვლით XVIII საუკუნის II ნახევრის დოკუმენტურ მასალებს, რომლებიც წარმოდგენილია როგორც წყალობისა და ნასყიდობის სიგელების სახით, ასევე მოსახლეობის აღწერის მასალებით. აღწერებიდან განსაკუთრებით ფასეულია 1770 წლის 5 აპრილის ქართლ-კახეთის დემოგრაფიული ნუსხა. ეს ნუსხა, როგორც ცნობილია, ერეკლე II ინიციატივით წარუდგინეს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელს ანტონ მოურავოვს [10; 191]. ამ ნუსხის მიხედვით ცხინვალში 700 კომლი მოსახლე ყოფილა, მათ შორის ქართველები, სომხები და ებრაელები [10; 191]. ცხინვალის მოსახლეობის შესახებ ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი, იგი აღნიშნავს: “დიდის ლიახვს კიდევად არს მცირე ქალაქი ქცხილვანი, კეთილ-ჰაოვანი. მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ჰურთანი” [2; 370]. ვახუშტის ცნობას ცხინვალში ებრაული მოსახლეობის შესახებ XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსიც ადასტურებს [5; 149]. მ. ცოტნიაშვილი 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხაზე დაკვირვებით ვარაუდობდა, რომ 700 კომლიან ცხინვალში XVIII საუკუნის II ნახევარში 3500 ადამიანს უნდა ეცხოვრა. როგორც ჩანს, მკვლევარი კომლზე 5 სულს ანგარიშობს. მისი აზრით მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ცხინვალს საქართველოს სხვა ქალაქებს შორის მეორე ადგილი ეკავა [10; 193]. მკვლევარს ასევე მოჰყავს XVIII საუკუნის II ნახევარში შედგენილი (სავარაუდოდ ერეკლე II დროს) დავთარი, რომელიც დაცულია ვ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ამ დავთრის მიხედვით ცხინვალში 129 კომლს უცხოვრია, სადაც გაერთიანებული ყოფილა 193 ოჯახი, რომელთა სულადობრივი რაოდენობა სავარაუდოდ 965 შეადგენდა. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, რაც

1794 წლის ერთ-ერთ სტატისტიკურ ცნობას ემყარება, ცხინვალში 116 კომლს (580 სული მოსახლით) უცხოვრია [10; 197]. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ XVIII საუკუნის II ნახევრის დავთრის მონაცემებსა და ივ. ჯავახიშვილის კვლევის შედეგად მიღებულ განსხვავებულ მაჩვენებლებს მ. ცოტნიაშვილი ასეთ ახსნას აძლევს: “შესაძლებელია ამ შემთხვევაში ივ. ჯავახიშვილს ჩვენ მიერ შემოხსენებული დავთარი არ ჰქონდა ხელთ, ვინაიდან ამ დოკუმენტის ცნობა ცხინვალის მოსახლეობის კომლთა რაოდენობის შესახებ, 129 საკმაოდ განსხვავდება ივ. ჯავახიშვილის მიერ მოცემული სტატისტიკური ცნობისაგან (116) [10; 197].

XVII-XVIII საუკუნეებში შედგენილი დოკუმენტური მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ცხინვალში ქართველები, ებრაელები და სომხები ცხოვრობდნენ. ეს სურათი ოდნავ შეიცვალა XIX საუკუნის დასაწყისში. 1804 წლის სტატისტიკური მონაცემებით სულ ცხინვალში 186 კომლი ცხოვრობდა, აქედან ქართველი - 41 კომლი, სომეხი - 116 კომლი, ებრაელები - 6 კომლი, ოსები - 16 კომლი [10; 201]. ცხინვალის მოსახლეობის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა XIX საუკუნის I მეოთხედში საქართველოში ნამყოფმა გერმანელმა მოგზაურმა - ედუარდ აიხვალდმა, იგი წერს: “ცხინვალში მაშინ 200-მდე სახლი იყო, უმეტესად ქართველებითა და სომხებით დასახლებული. სოფელში გარდა 30 ებრაული ოჯახისა, ცხოვრობს აგრეთვე 3-5 ოსური კომლი [7; 235]. ქალაქ ცხინვალის შესახებ ძალზე საინტერესო ცნობებია დაცული 1728 წელს შედგენილ “თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში”. ოსმალეთის ხელისუფლების მიერ შედგენილ ფისკალურ დოკუმენტში ძალზე საყურადღებო ინფორმაციაა თბილისის ვილაიეთში შემავალი სოფლების მოსახლეობის, მათი სოციალური მდგომარეობის, დაკისრებული გადასახადების შესახებ და სხვ. ქართლის სხვადასხვა სოფლებთან და დასახლებულ პუნქტებთან ერთად დავთარში ცალკე ადგილი ეთმობა ცხინვალს. დავთარში ვკითხულობთ:

#### **სოფელი ცხინვალი ახლოსაა სათესველ ფილ ხილზა ქალაქთან ექვემდებარება ამილახვარს**

ბერი ძე ბირასი, ლაბრიელ ძმა მისი, ბერი ძე ბაბუკასი, გიორგი ძე მისი, დათუნა ძე თამაზასი, ბერი ძმა მისი, ესტატე ძე თამაზასი, გიორგი ძმა მისი, ბერი ძე სეხნიასი, დათუნა ძმა მისი, ბერი ძე იორდანესი, სეხნია ძე დათუნასი, ბერი ძე მისი, იორგი ძე ნასყიდასი, იასე ძმა მისი, ივანე ძე გენებასი, დიმიტრი ძმა მისი, დიმიტრი ძე ბერისა, დიმიტრი ძმა მისი, გარსევან ძე ბერისა, ბირა ძმა მისი, კანდო ძე ლაზარესი, ათანა ძმა მისი, დათუნა ძე გიორგისა, გენება ძე ბერისა, ზაქარა ძე გიორგისა, ნათა ძე მამუკასი, ივანე ძმა მისი, ივანე ძე ბერისა, ნიკოლა ძმა მისი, ბისისკა ძე დათუნასი, ბერი ძმა მისი, ხოსიტა ძე ბარისა, ხოსიტა ძე მისი, თედორე ძმა მისი, შედანა ძე გედევანისა, დიმიტრი ძმა მისი, ზალიკა ძე დათუნასი, მაკრულ ძმა მისი, ქაიხოსრო ძე გიორგისა, გიორგი ძე მისი, ფარსადან ძმა მისი, გივი ძე მანუჭარისა, ლაზარე ძმა მისი, შერმაზან ძე ზუჰრანასი, მელქონ ძე მისი, გაბრიელ ძე ბერისა, ბერი ძე მისი, დავით ძე ოჰანისა, ლაზარე ძე მისი, გიორგი ძმა მისი, ხოსიტა ძე დათუნასი, ხისიკა ძე მისი, ზათუნა ძმა ფირკულისა, ნასყიდა ძმა მისი, ბირა ძე მისი, მახარა ძე აბრამისა, ოთარა ძე ბასილასი, გივი ძმა მისი, ოთარა ძე ხოსიასი, სიმონ ძე მისი, როსტომ ძე ბეჟანისა, ზაალ ძმა მისი, იორამ ძე მამუკასი, დათუნა ძე ივანესი, ბერი ძმა მისი, დათუნა ძე პეტრესი, ბერი ძე ნონიასი, გიორგი ძე მისი, სეხნია ძე დათუნასი, ბერი ძმა მისი, ხოსიტა ძე კამისტასი, ბერი ძე მისი, ბერი ძე თამაზასი, მამ კარდი ძე დათუნასი, გიორგი ძე მახარასი, ესტატე ძმა მისი, ბერი ძე ხოსიტასი, იოკიმე ძმა მისი, სეხნია ძე გიორგისა, ბერი ძე გელიასი, სულავერ ძე ივანესი, აბრამა ძე კორკმაზისა, მახარა ძე ივანესი, მახარა ძმა მისი, ცახუნა ძე სუხიტასი, ხოსია ძე ზაქარასი, ბერი ძმა მისი, ბერი ძე კოკიასი, ხოსია ძმა მისი, გიორგი ძე ბერისა, ბაბურ ძე მისი, დათუნა ძე გელიასი, ნავაზ ძმა მისი, გივი ძე ივანესი, ბერი ძე მისი, გითა ძე ბერისა, დათუნა ძე ივანესი, ხოსიტა ძე მისი, თანდილა ძე თაბათასი, ალხაზა ძე მისი, ლომისა ძე ბერისა, სეხნია ძმა მისი, კათისა ძე იორგისა, თედორე ძე სუხიტასი, ოთარა ძე მისი, თამაზა ძმა მისი, საქანა ძე ხოსიტასი, ალიკა ძე დერლასი, ივანე ძე ბასიასი, თამაზა ძმა მისი, შიო ძე ბერისა, ბერი ძე ბადანისა, ბაბუნა ძე მამუკასი, შიო ძმა მისი, ბაბუნა ძე კაბისიასი, ივანე ძმა მისი, ბაბუნა ძე ჩალასი, გელიკა ძმა მისი, მამუკა ძე აბოსი, გიორგი ძმა მისი, ადინა ძე ხოტასი, ბერი ძე დათუნასი, ოთარა ძე ნასყიდასი, ნასყიდა ძმა მისი, საბურა ძე შალვასი, ოთარა ძმა მისი, ძაღლუა ძმა მისი, გითა ძე ივანესი, ნასყიდა ძე სეხნიასი, ივანე ძმა მისი, ანდრამ ძე ზალიკასი, მოვსეს ძე მისი, ზალიკა ძე ნათასი, ოთარა ძმა მისი, ზურაბ ძმა მისი, ესტატე ძე ზალასი, გიორგი ძე მისი, მამუკა ძე დათუნასი, ალიკა ძე მისი, სურბეთ ძმა მისი, მადია ძე მამუკასი, გივი ძე დალიასი, იოსებ ძმა მისი, თამაზა ძე ბერისა, ზუჰრანა ძე თამაზასი, ასატურა ძმა მისი, ხოსია ძე აბუასი, ნაზარა ძე ანისა, შიო ძე დათუნასი, ბერი ძე მისი, ხოსიტა ძე ბაბუნისა, ოთარა ძმა მისი, ლევანა ძე გიორგისა, გიორგი ძე მისი, ბირა ძე ბაბუნასი, დარჩია ძმა მისი, ბერი ძე ნასყიდასი, გითიკა ძმა მისი, თედორე ძე ბერისა, თამაზა ძე ალასი, ბაბუნ ძე გიუნასი, დათუნა ძე სეხნიასი, ერეკლე ძე ბაბუნასი, ბასილა ძე ბაბუნასი, დათუნა ძე კოგისა, იორგი ძმა მისი, მამუკა ძე კოჯკადრასი, ოსიყმა ძე ბაბუნასი, ასილ ბერდ ძმა მისი, გიორგი ძე

კოგინასი, შერმაზან ძე კვალარასი, დათუნა ძე დათუნასი, დათუნა ძმა მისი, ნონია ძე დათუნასი, შიო ძე ბაბუნასი, რევაზ ძე ბათასი, ფირენ ძე ხოსიასი, ნათა ძმა მისი, ბერი ძე თაყასი, კაზარა ძე მისი, მორდუხა ძმა მისი, ხოსია ძე ოქრუასი, ოქრა ძე მისი, იოსება ძე მივალასი, ხოსია ძე მისი, დავით ძე დანიელასი, დანიელა ძმა მისი, შიო ძე გიორგისა, ესტატე ძე თედორესი, დათუნა ძმა მისი, ხოსია ძე ბერისა, ბაბუნა ძე კათისასი, ხასნია ძე ჩალასი, ჩალხამ ძე ბაბუნასი

**კაცი 205**  
**სახლი 116**  
**მიწის დღიური მფლობელობა 180**  
**სამეუფეო ველის დღიური მფლობელობა 20**  
**სამეუფეო ვენახის დღიური მფლობელობა 15**  
**ბაზრის ბაჟი**  
**დუქნები თვალი 20**  
**ცარიელი ადგილები 20**  
**ბაღების რაოდენობა 112**  
**ეკლესიის რაოდენობა ერთი**  
**ჯამი მარცვლეულისა**

ისფენჯი კაცი 205, ახჩა 24600

ხორბალი ქილა 700, ახჩა 14000

ქერი ქილა 500, ახცა 7500

ჭვავი ქილა 120, ახჩა 1800

ფეტვი ქილა 200, ახჩა 3000

უშრის გადასახადი ვენახზე დონუმი 250, თითოეულს 40, ახჩა 10 000

გადასახადი ერბოზე 1200

გადასახადი სკაზე 800

არუსანეს გადასახადი 180

გადასახადი ცხვარზე 990

დემთიბანი, მიწაზე თაფუს გადასახადი 350

გადასახადი ღორზე 680, მურახ ხასიე გაბრანის გადასახადი, თითოეულ სახლზე 2-2, 232

წისქვილი თვალი 4, სრული წლით, გადასახადი 480

ხსენებული სოფლის ბაზრის ბაჟი 500 ბადიჰავა, ჯურუმ ჯიბაიეთ, იავა ვე კაჩკუნ, ბეთალმალი ამე ვე ხასე, მალი გაიფ მალი მეფკუდ დიმედიეთ 520

ჯამი 66832 [1; 356-359].

თურქულ წყაროზე დაყრდნობით რთულია, ამ დროის ცხინვალის ეთნიკური სურათის სრულყოფილი აღდგენა, თუმცა, დავთრიდან ნათლად ჩანს მოსახლეობის საერთო რაოდენობა, რაც 116 სახლს შეადგენდა. წყაროში მოხსენიებულია ასევე 205 კაცი. შედარებით გვიანდელი ხანის დოკუმენტური წყაროებით, შესაძლებელია განსაზღვრულ იქნეს კომლში შემავალი ადამიანების საშუალო მაჩვენებელი. მაგ., XIX საუკუნის დასაწყისში გენერალ ლაზარევის ინფორმაციით ქართლ-კახეთის სამეფოში 40 კომლი ცხოვრობდა, ხოლო კომლში საშუალოდ 4 მამაკაცი იყო. 1804 წლის ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც შეიცავს ცნობებს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის შესახებ, თითო კომლზე ნაანგარიშებია 5 მამაკაცი. აფხაზეთის მოსახლეობის გამოთვლის დროს (XIX საუკუნის დასაწყისი), ს. კაკაბაძე თითო კომლზე 8 სულს ვარაუდობდა [13; 42.] ვ. ჯაოშვილის გამოკვლევით, რაც 1832 წლის კამერალური აღწერის მასალებს ეყრდნობა, მამაკაცთა საშუალო რაოდენობა გორის მაზრაში 4.11 სულს შეადგენდა [13; 43]. მთისა და ბარის მოსახლეობის მონაცემთა შეჯერებით XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედსა და XIX საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში კომლზე საშუალოდ 4.01 მამაკაცი მოდიოდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ მთიან რაიონებში 3. 64. ამ მონაცემების შესახებ ვ. ჯაოშვილი წერს: “ეს მონაცემები შეიძლება მივიღოთ XIX საუკუნის I მესამედის საქართველოს მოსახლეობის ერთ-ერთ დემოგრაფიულ მაჩვენებლად, მაგრამ ნახევარი საუკუნით ადრე, ანუ, უფრო ზუსტად 1770-იან წლებში კომლის საშუალო სულადობა რამდენადმე უფრო მეტი იქნებოდა” [13; 44]. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ XVIII საუკუნის მოსახლეობის აღწერებში გამოიყენებოდა ტერმინი “თავი”, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილი კომლში ოჯახის უფროსად მიიჩნევდა. მისი აზრით, კომლში შესაძლებელია რამდენიმე ოჯახიც ყოფილიყო და თითოეული ოჯახის სათავეში “თავი” იდგა [11; 10-11]. აღმოსავლეთ საქართველოს XVIII საუკუნის ხალხის

აღწერის დავთრებში, ხშირად ერთ კომლში ორი, სამი, ან უფრო მეტი თავი შედიოდა [12; 212-213]. თუ დავუშვებთ იმ გარემოებას, რომ დავთარში მოხსენიებული ტერმინი “სახლი,” ეს იგივე კომლია, ხოლო წყაროში მითითებული “კაცი” XVIII საუკუნის აღწერებში გავრცელებული ტერმინის “თავის” იდენტურია, მაშინ XVIII საუკუნის I მესამედში ცხინვალში სულ 116 კომლს და ამ კომლებში გაერთიანებულ 205 ოჯახს უცხოვრია. თუ საშუალოდ ოჯახზე 7 სულს ვიანგარიშებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დროის ცხინვალში 1435 მოსახლე ყოფილა. ცხინვალის მოსახლეობა კიდევ უფრო გაზრდილი ჩანს 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხის მიხედვით, საიდანაც ჩანს, რომ ცხინვალში იმ დროს 700 კომლი ცხოვრობდა. მოსახლეობას შეადგენდნენ ქართველები, სომხები და ებრაელები [10; 193] თურქულ წყაროში მითითებულია, რომ სოფელი ცხინვალი ამილახვარს ექვემდებარებოდა. ამ დროის ქართული დოკუმენტური მასალებიდან ჩანს, რომ ცხინვალში ყმებს ფლობდა სამეფო ხელისუფლება და რამდენიმე ფეოდალური საგვარეულო (მათ შორის: მაჩაბლები, თარხნიშვილები, ხერხეულიძეები, და სხვ.). აღსანიშნავია, რომ გივი ამილახვარი დავთარში შემთხვევით არ იხსენიება. გივი ამილახვარი ერთი პერიოდი აქტიურად ებრძოდა თურქებს, ხოლო შემდეგ მათ ორიენტაციაზე დადგა. ამის შესახებ ცნობები მოიპოვება როგორც ქართულ, ისე თურქულ წყაროებში. თურქი ისტორიკოსი გურჯი ზადე წერს, რომ გივი ამილახვარი თურქებს ეხმარებოდა და მათ სხვადასხვა სახის ინფორმაციას აწვდიდა [4; 36]. ამას ადასტურებს ვახუშტი ბატონიშვილიც [2; 508]. თურქეთის სულთანმა ერთგულებისათვის გივი ამილახვარს ჯერ ზემო ქართლი გადასცა, შემდეგ კი ცხინვალი [8; 82] ამ ფაქტს ადასტურებს 1727 წლით დათარიღებული სიგელი, რომლის მიხედვით, სულთანმა ამილახვარს თბილისის სანჯაყი და გორის ნიჰიში მდებარე სოფ. სინვალი (იგივე ცხინვალი) უბოძა 66 832 ახჩის შემოსავლით [9; 222]. სიგელში აღნიშნულია, რომ გივი ამილახვარ ოფლი ერთგულად ემსახურა სულთანს და მან დიდი შრომა გასწია ლეკების შემოსევის დროს გორის ციხის დაცვაში [9; 222]. გივი ამილახვარს არა მარტო ცხინვალი გადაეცა, არამედ დიდი ლიახვის ხეობის სოფლებიც, რომლებიც მაჩაბელთა ფეოდალურ გვარს ეკუთვნოდა. ამას ადასტურებს თბილისის ვილაიეთის დავთარში არსებული ცნობები. დავთარში ძალზე საინტერესო ინფორმაციაა იმ დროის ცხინვალში განვითარებული სოფლის მეურნეობის შესახებ. როგორც წარმოდგენილი გადასახადებიდან ჩანს, ცხინვალის მოსახლეობა აქტიურად მისდევდა მიწათმოქმედებას, მოჰყავდათ: ქერი, ხორბალი, შვრია, ჭვავი, ფეტვი, განვითარებული იყო მევენახეობა. ცხინვალში საკუთარი ვენახები და სახნავი მიწა გააჩნდა სამეფო კარს. ცხინვალში განვითარებული იყო მეფულტკრეობა და მესაქონლეობა. გადასახადი იყო ვენახებზე, ოღონდ წყაროში არ ჩანს ვენახის გადასახადი ფულადი რენტით იყო წარმოდგენილი, თუ ნატურის სახით. მოსახლეობას დაკისრებული ჰქონდა ასევე ერბოს გადასახადი. მარცვლეულისა და საქონლის პროდუქტების გარდა თითოეულ “სახლს” გადასახადი ფულადი სახითაც უნდა გაეღო. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის გარდა მოსახლეობა მისდევდა მებაღეობას. დავთარში დასახელებულია 112 ბაღი. ცხინვალში ამ დროს მოქმედებდა ბაზარი, ამის საფუძველს გვაძლევს დავთარში ნახსენები “ბაზრის ბაჟი”. ეს გადასახადი ცხინვალში უფრო ადრეც არსებობდა. 1639 წლის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ როსტომ მეფემ იერუსალიმის ჯვრის მონასტერს შესწირა გორელი ვაჭარი, რომელიც სხვადასხვა სახის გადასახადისგან, მათ შორის “კრცხილვანის ბაჟისაგან” გაათავისუფლა [10; 182]. ცხინვალის ბაჟი იხსენიება ასევე 1634 წლის დოკუმენტში, საიდანაც ჩანს რომ მარიამ დედოფალმა თბილელი ეპისკოპოსის ყმებს კრცხილვანის ბაჟი მოუხსნა [10; 183]. ბაზრის არსებობა ცხინვალში სხვა წყაროებითაც დასტურდება. XVIII საუკუნის დოკუმენტური მასალის მიხედვით ცხინვალში განვითარებული იყო სავაჭრო საქმიანობა. აქ იყიდებოდა ადგილობრივი ხელოსნური ნაწარმი, ასევე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, ხე-ტყე [10; 118-119]. ცნობები ცხინვალში არსებული ბაზრის შესახებ უფრო გვიანდელ წყაროებშიც გვხვდება. გერმანელი მოგზაურის ედუარდ აიხვალდის ცნობების (XIX საუკუნის I მეოთხედი) მიხედვით ცხინვალში ძველი ეკლესიის გვერდით ფართე მოედანზე წელიწადში ორჯერ იმართებოდა ბაზრობა, სადაც ყოველი მხრიდან მოდიოდნენ მყიდველები [7; 234] ცხინვალში დავთრის შედგენის დროს ყოფილა ასევე 4 წისკვილი, რომელიც აქ მოწეული მარცვლეულისათვის იყო განკუთვნილი. მდ. დიდი ლიახვი ცხინვალის მოსახლეობისათვის შესანიშნავ რესურსს წარმოადგენდა იმისათვის, რომ მათ წისკვილები გაემართათ და მოწეული მარცვლეული დაეფქვათ. ცხინვალში წისკვილების არსებობა სხვა დოკუმენტური მასალითაც დასტურდება [14; 674]. დავთარში მოხსენიებულია 20 დუქანი, რაც ცხინვალში ვაჭრობის განვითარებაზე უნდა მიუთითებდეს [1; 359]. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა ცხინვალი აღმოსავლეთ საქართველოში ებრაელთა მთავარი ადგილსამყოფელი იყო ისეთ დასახლებებთან ერთად, როგორცაა: სურამი, მძოვრეთი, ატენი, ახალდაბა. ცხინვალი სავაჭრო-სახელოსნო პუნქტს წარმოადგენდა [3; 251]. დუქნების არსებობა ცხინვალში უფრო

გვიანდელი წყაროებითაც დასტურდება. მაგ., 1807 წლის დოკუმენტის მიხედვით ცხინვალში დუქნებს ფლობდნენ ელიოზიძეები, რომელთა ქონება შემდეგ ხახანაშვილებს შეუსყიდათ [10; 240].

ცხინვალში რამდენიმე მართლმადიდებლური ტაძარი იყო [6; 165-167], მაგრამ როგორც წყაროდან ჩანს, იმ დროისათვის მხოლოდ 1 ეკლესია მოქმედებდა.

ამრიგად, თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დავთარი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ცხინვალის ისტორიის შესახებ. დავთარი დახმარებას გვიწევს ცხინვალის მოსახლეობის სულადობრივი მაჩვენებლებისა და მათი სამეურნეო საქმიანობის უკეთ შესასწავლად.

#### **ლიტერატურა:**

1. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილურით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ, წ. I თბ., 2010.
2. ბატონიშვილი ვახუშტი., აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
3. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966.
4. გურჯი ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ცისანა აბულაძემ თბ., 1975.
5. იაკობ რაინეგის, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.
6. მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1984.
7. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005.
8. ოთხმეზური გ., აღმოსავლეთ საქართველო 1723-1735 წ.წ. “ოსმალთა,” ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1975.
9. შენგელია ნ., XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.
10. ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986.
11. ჯავახიშვილი ივ., ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში, ჟურნ. “მომამბე”, IV, 1901.
12. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967.
13. ჯაოშვილი ვ., საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1984.
14. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. V, თბ., 1972.

### **თურქული ინვესტიციები ქართულ ეკონომიკაში**

#### **ლალი სრესელი**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, უფროსი მასწავლებელი

საქართველოში უცხოური კერძო კაპიტალის შემოსვლის ერთადერთ ფორმად, დღეისათვის, პირდაპირი რეალური ინვესტიციები გვევლინება.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ პრობლემის ოპტიმალურად გადაწყვეტაზე დამოკიდებული ეკონომიკაში რეალური გარდაქმნების განხორციელება და საქართველოს ეკონომიკის ორგანული ჩართვა მსოფლიო მეურნეობაში.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემის აქტუალურობას ზრდის საქართველოს ეკონომიკაში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა: მნიშვნელოვანი საგარეო ვალი, უმუშევრობის მაღალი

დონე, ხალხის ცხოვრების დაბალი დონე, ინვესტიციური აქტიურობის დაბალი დონე, წარმოების ასამოქმედებლად საკუთარი სახსრების პრაქტიკულად უქონლობა.

უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმდები ქვეყნების ეკონომიკაზე დამოკიდებულია მის ეკონომიკურ პოტენციალზე, ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათზე, საბაზრო მექანიზმის განვითარების ხარისხზე, საკანონმდებლო ნორმებსა და სხვა პარამეტრებზე. მეორეს მხრივ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ინვესტორის თავისებურებებს, ინვესტიციების განხორციელების ფორმებსა და სფეროებს.

მიმდებ ქვეყანაში ინვესტიციების გავლენა ვლინდება შემდეგში: ეკონომიკური ზრდის ტემპზე პოზიტიური გავლენა, ქვეყანაში საერთო ინვესტიციური აქტიურობის გაძლიერება მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტექნოლოგიურ პროცესებში და ქვეყნის შრომითი და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების ამაღლებაში; მიმდები ქვეყნის მეურნეობის პროგრესულ ტერიტორიულ და დარგობრივ სტრუქტურის ხელის შეწყობა; და ბოლოს, უცხოური ინვესტიციები მოქმედებენ ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც ვლინდება მის საექსპორტო პოტენციალში, მოქმედებს სავაჭრო და საგადასახადო ბალანსზე.

არსებითია ის, რომ ინვესტიციებს ახასიათებს მულტიპლიკატორის ეფექტი, ე.ი. გარკვეულ დარგში მიმართული ინვესტიციები იწვევენ მომიჯნავე დარგების განვითარებას.

უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია დასაქმებისა და ეროვნული რესურსების გამოყენება.

ეროვნული რესურსების გამოყენების შედეგად მიღებული „პირდაპირი“ ეფექტის ძირითად ნაწილს იღებს თვით ინვესტორი, მაგრამ მთელი „არაპირდაპირი“ ეფექტი რჩება ინვესტორების მიმდებ ქვეყანას: ათვისებული საბადოები, თანამედროვე ტექნოლოგიებით მომუშავე სამუშაო ძალა, დაბეგვრის სისტემით მიღებული შემოსავლები, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერება. თვით მუშაკები არიან დაინტერესებული უცხოელ ინვესტორებთან მუშაობით, რადგან მათ საწარმოებში უფრო მაღალი ანაზღაურების სიდიდე და სოციალური პირობებია.

კრიზისის შემდეგ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა კვლავ საქართველოს მთავრობის მთავარ გამოწვევად რჩება. ქვეყანა იბრძვის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კრიზისის წინა დონეს მიაღწიოს. საქართველო დიდწილად არის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე დამოკიდებული, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის საკმაოდ არასტაბილური წყაროა. ჩვენ მომსწრე გავხდით იმისა, თუ როგორ გამოიწვია ბევრ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებამ სერიოზული მაკროეკონომიკური პრობლემები. კრიზისის შემდეგ კონკურენცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში კიდევ უფრო გამწვავდა. გარდა ამისა, თავისუფალი კაპიტალის ხელმისაწვდომობამ იკლო იმის გამო, რომ განვითარებული კაპიტალის ბაზრის მქონე ქვეყნებს დიდი ვალები წარმოეშვათ.

2011 წლის 1-კვარტალში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 174 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2009 და 2010 წლის ანალოგიურ მონაცემებზე, შესაბამისად, 1,5-ჯერ და 2,3-ჯერ მეტია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობიდან 67% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა და ამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი სამიზნე მრეწველობა და ფინანსური სექტორი იყო.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ, სადაც ბიზნესებს ხელსაყრელ ბიზნეს-კლიმატს, სტრატეგიულ გეოგრაფიულ მდებარეობას, ლიბერალურ სავაჭრო რეჟიმს, კვალიფიციურ სამუშაო ძალას და, ამავე დროს, გადასახადებისაგან განთავისუფლებას სთავაზობენ. ამჟამად სამი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა მოქმედებს – ფოთში, ქუთაისსა და თბილისში. ეს ზონები ჯერ კიდევ ინვესტორთა მოზიდვის და, ძირითადად, მრეწველობის დარგში საწარმოების შექმნის პროცესში არიან.

2009 წლის განმავლობაში, გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკური კრიზისის შედეგად, ყველა სექტორში მკვეთრი კლება აღინიშნა. ვითარება მნიშვნელოვნად არც 2010 წელს შეცვლილა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორში, ასევე სამთომოპოვებით და წარმოების სექტორებში მიედინება, ხოლო სოფლის მეურნეობა, ინვესტორებისათვის ყველაზე ნაკლებმომზიდველ სექტორად რჩება. უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი ბოლო წლებში ტრანსპორტის სექტორზე მოდის (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობ და გაზსადენის პროექტის ჩათვლით).

მდგომარეობა იდენტურია 2011 წლის I კვარტალში, სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის მთავარ სექტორებად სამთო მოპოვება და წარმოება რჩება (47%), ასევე მიმზიდველია სამშენებლო სექტორი (23%), ტრანსპორტი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებული ლიბერალური პოლიტიკა უცხოური ინვესტიციების მიმართ მოგების თავისუფალი რეპატრაცია (გატანა) მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს სტატუსის მოპოვება, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობა და ინფლაციის დონის მდგრადობა, პოზიტიურ გარემოს ქმნის ინვესტირებისათვის.

ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია ბოლო წლებში საქართველო-თურქეთს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობები, რომელიც უდაოდ პოზიტიურ გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე.

2000–2008 წლებში თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში განხორციელდა 518,3 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია. ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაიდო თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების მშენებლობაში, ასევე სოფლის მეურნეობის, ტექსტილის წარმოებისა და სამშენებლო სექტორში.

თურქული ინვესტიციები საქართველოში (მლნ აშშ დოლარი)

წლები	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	იკვარტ.
მოცულობა	8,46	8,85	17,28	33,93	21,81	129,73	93,87	164,5	97,9	91,8	
წილი %	7,7%	5,3%	5,1%	6,8%	4,8%	10,9%	4,7%	10,52%	15%	16,8	
ზრდა %	-70,4%	4,6%	95,3%	94,4%	-35,7	492,7%	-27,6%	75,27%	-40,5%	26,8	

საქართველოში 2010 წელს განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მიხედვით თურქეთი მეორე ადგილზეა 11 %-ით. (I ადგილზე აშშ 17%-ით).

საქართველოში თურქული ინვესტიციები ძირითადად განთავსებულია სატელეკომუნიკაციო, სამრეწველო, სამშენებლო, საბანკო, ტექსტილის სფეროებში. საქართველოში მოქმედი მსხვილი თურქული კომპანიებია: „თურქეთის ავიახაზები“, „ჯეოსელი“, „TAV Urban“-ის კონსორციუმი „შიშე ქამინა“ და სხვა.

პირველად თურქული ინვესტიცია საქართველოში მინის წარმოებაში 1998 წელს ჩაიდო. 2002 წელს კომპანია „შიშექამმა“ სს „მინა“-ში დამატებით 7 მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა, ოთხი წლის შემდეგ კვლავ დადგა წარმოების გაფართოების საკითხი, რაც ბაზრის მზარდმა მოთხოვნებმა განაპირობა.

ბოლო წლების განმავლობაში თურქეთი გადაიქცა საქართველოსათვის მთავარ სავაჭრო პარტნიორად. ყველაზე დიდი ექსპორტი თურქეთიდან გვაქვს და ყველაზე დიდი იმპორტი იქიდან მოდის. გარდა ამისა თურქეთი საქართველოში ენერჯეტიკის, ტურიზმის, ბიზნესის და სხვა სფეროებში ძალიან დიდი ინვესტიციების წყაროა.

საქართველო-თურქეთს შორის ვაჭრობაში ყოველწლიური ზრდა არის საშუალოდ 46%, საქართველო თურქეთის ექსპორტში ყოველწლიურად ზრდა არის საშუალოდ 29%, ბოლო წლების განმავლობაში თურქეთი მე-2, მე-3 ადგილზეა ჯამური ინვესტიციების რაოდენობით და თითქმის მილიარდ დოლარამდე აქვს საინვესტიციო პროექტები. განხორციელდა ისეთი უაღრესად რთული სტრატეგიული პროექტები, როგორცაა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“ და „ბაქო-თბილისი-ერზურუმი“.

ორიოდე წლის წინ ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ახალი ჰესების მშენებლობის შესახებ, თურქულ კომპანიებთან ჰიდროენერჯეტიკა ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სფეროა საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია 500 კილოვატიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობა საქართველო-თურქეთს შორის. ეს საშუალებას მისცემს საქართველოს დამატებით 1000 მეგავატამდე ელექტროენერჯის ექსპორტი გაკეთდეს საქართველო-თურქეთს შორის.

საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც ხალხს დაასაქმებს და გაზრდის ექსპორტის პოტენციალს.

საქართველო რამდენიმე ეკონომიკურ რეგიონს აკავშირებს და იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა. ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მყოფი ქვეყანა ბუნებრივი სატრანსპორტო დერეფნის როლს ასრულებს. საქართველო ყველაზე მოკლე სატრანზიტო მარშრუტია დასავლეთსა და ცენტრალურ აზიას შორის როგორც ნავთობისა და გაზის, ასევე მშრალი ტვირთის ტრანსპორტირებისათვის. „ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა“ არა მარტო ჩვენს რეგიონში, არამედ მთელს



კონტინენტზე ერთ-ერთი უმთავრესი სატრანსპორტო პროექტია, რომელიც დააკავშირებს ერთმანეთთან აზიასა და ევროპას შორის ვაჭრობას.

ბოლო წლებში საქართველოში შემოსული ინვესტიციების 75% თურქულია. უცხოური ინვესტიციები – ეს არის დამატებითი წარმოება, დამატებითი სამუშაო ადგილები და დასაქმებული ადამიანები.

მიმდინარე წელს აჭარაში თურქული კომპანია სამი ელექტრო სადგურის მშენებლობას დაიწყო. აღნიშნული ჰესები იმ 15 ჰიდროელექტროსადგურში შედის, რომელთა მშენებლობის შესახებ მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ინფორმაციით, „Adjar Energy 2007“ აჭარაში „ხელვაჩაური ჰესი 1“-ს, „ხელვაჩაური ჰესი 2“-ს და „კირნათი ჰესს“ ააშენებს. თურქული ინვესტიციების სავარაუდო ჯამური ღირებულება 196 032 494 აშშ დოლარია. სამივე ჰესის მშენებლობა თურქულმა კომპანიამ 2016 წლის დეკემბერში უნდა დაასრულოს და 2017 წელს ექსპლუატაციაში შევიდეს.

ორ ქვეყანას აკავშირებს დინამიური თანამშრომლობა, რომელმაც განსაკუთრებით ბოლო პერიოდში კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული სახე მიიღო:

- მნიშვნელოვანია თანამშრომლობა საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და რეგიონის ენერგეტიკული და სატრანსპორტო პოტენციის სრულად გამოყენების თვალსაზრისით. ორ ქვეყანას ერთმანეთთან აკავშირებს ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორებიცაა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენი და „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ გაზსადენი. წარმატებით ვითარდება თანამშრომლობა ელექტროენერგეტიკის სფეროშიც. ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დივერსიფიკაციის კუთხით მნიშვნელოვანია „ბაქო-თბილისი-ყარსის“ (სამთავრობათაშორისო შეთანხმებას ხელი მოეწერა 2007 წლის 7 თებერვალს) სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელება;
- სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა – სავაჭრო ბრუნვის მოცულობის მიხედვით თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი პარტნიორია. 2008 წლის მონაცემებით ორ ქვეყანას შორის სავაჭრო მოცულობამ შეადგინა 1202,8 მილიონი აშშ დოლარი. ფუნქციონირებს ერთობლივი სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისია და თურქულ-ქართული ბიზნეს საბჭო;
- ბათუმის აეროპორტის ერთობლივი გამოყენების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა (2006 წ. 14 მარტი), ორ ქვეყანას შორის 3 თვიანი უვიზო რეჟიმის შემოღება (2006 წ. 10 თებერვალი), შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ (2007 წ. 11 ნოემბერი) შეთანხმების, აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (2007 წ. 11 ნოემბერი) შეთანხმების გაფორმება ბოლო პერიოდის ის მნიშვნელოვანი მოვლენებია, რომლებიც ხელს უწყობს საქართველო – თურქეთის შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას;
- თანამშრომლობა კულტურის სფეროში – აქტიური კულტურული კონტაქტები ორი ქვეყნის მეგობრულ ურთიერთობებს ეფექტურად ასახავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობის შემდგომი განვითარება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით.

თურქეთი საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში პირველობას ინარჩუნებს. 2011 წლის იანვარი-მარტის მონაცემებით სამი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 36,5% შეადგინა. კვლავ ლიდერობს თურქეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი. თურქეთს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 15,3% ხვედრითი წილი უკავია 285,7 მლნ. აშშ დოლარით. ექსპორტმა 52,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის პირველ ხუთ სასაქონლო პოზიციას უკავია ექსპორტის 77,9%. ეს პოზიციებია: შავი ლითონების ჯართი – 58,9%, ელექტროენერგია – 7,8%, მსუბუქი ავტომობილები – 4,1%, სპილენძის ჯართი – 3,9%, ახალი თევზი – 5,2%.

იმპორტმა შეადგინა 232,9 მლნ. აშშ დოლარი. იმპორტის პირველი ხუთი სასაქონლო პოზიცია უკავია იმპორტის 15,9%-ს. ეს პოზიციებია: სამკურნალო საშუალებები – 4%, ქაღალდი სამეურნეო – 3,4%, იზოლირებული სადენები, კაბელები – 3,3%, კარტოკელი – 2,9%, შავი ლითონის მეტალო კონსტრუქციები – 2,3%.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო თურქეთი, თურქეთიდან კაპიტალის გადინებამ გასულ წელს 9,7 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მრეწველობის მაჩვენებელი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მკვეთრად – 21,3% დაეცა. გლობალური ფინანსური კრიზისის მიუხედავად თურქეთი საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში პირველობას ინარჩუნებს: თურქი ინვესტორების მხრიდან საქართველოს ეკონომიკისადმი ინტერესი იზრდება. ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, გემთმშენებლობა, ტექსტილის წარმოება – ეს მცირე

ჩამონათვალია იმ მიმართულებებისა, რომელთა განვითარებითაც თურქი ბიზნესმენები საქართველოში დაინტერესდნენ.

შეთანხმება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელმოწერილია ქ. თბილისში 2007 წლის 21 ნოემბერს, ხოლო შეთანხმება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ ხელმოწერილია 2007 წლის 21 ნოემბერს.

**საქართველო – თურქეთის სავაჭრო ბრუნვა (მლნ აშშ დოლარი)**

წლები	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
ბრუნვა	321	404,9	647,49	899,68	1202,8	1014,23	587,3
ზრდა %	72,2	26,1	60	38,9	33,7	-15,7	-0,4
წილი %	12,9	12,1	13,9	13,9	15,9	18,4	16,4
ექსპორტი	118,7	121,8	124,96	171,77	262,91	226,2	138,4
ზრდა %	50,4	2,6	2,6	37,5	53,1	-14,0	-3,5
წილი %	13,3	14,1	12,6	13,9	17,6	19,9	16,3
იმპორტი	202,3	283	522,98	727,91	939,87	788,03	448,9
ზრდა %	88,1	39,9	84,8	39,2	29,1	-16,2	0,6
წილი %	11,0	11,4	14,2	14,0	15,5	18,0	17
სალდო	-83,6	-161,2	-398,0	-556,1	-4560,4	-561,8	-310,5

2003 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად გააღრმავა საქართველო-თურქეთს შორის ამ სფეროში თანამშრომლობა, რამაც დადებითი შედეგები გამოიღო, რაც საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებით დასტურდება.

**ლიტერატურა:**

1. ე. ბარათაშვილი, დ. მაგრაქველიძე, საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები, თბ., 2009.
2. ლ. ქოქიაური, ინვესტიციების ბარათი. თეორია, პოლიტიკა, პრაქტიკა, თბ., 2002.
3. საქართველოს პარლამენტის აპარატი, კვლევითი დეპარტამენტი, ანალიტიკური მიმოხილვა – ქვეყნის საინვესტიციო რეიტინგის შესახებ.
4. „საქართველო-თურქეთის ბიზნეს-ფორუმი“, 2009 წ. 24 თებერვალი, თბილისი.
5. „თურქული ინვესტიციების „მოზღვაება“ საქართველოში“ – საზოგადოებრივ ინტერნეტ გაზეთი „ახალი 7 დღე“.

**ინტერნეტ-რესურსები:**

- [www.economy.ge](http://www.economy.ge)
- [www.investinggeorgia.org](http://www.investinggeorgia.org)
- [www.mof.ge](http://www.mof.ge)
- [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
- [www.mcg.ge](http://www.mcg.ge)
- [www.parlament.ge](http://www.parlament.ge)
- [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
- [www.eprc.ge](http://www.eprc.ge)

სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემების მაღალმა განვითარებამ და მიღწევებმა მნიშვნელოვნად გაადვილა ურთიერთკულტურული კომუნიკაცია. ჩვენი აზრით, გლობალური მშვიდობა ნაწილობრივ ემყარება ურთიერთგაგებას და კულტურული მრავალფეროვნების აღიარება ამდიდრებს პიროვნებებს. უკეთეს კომუნიკაციას ადამიანებს შორის შეუძლია მოაგვაროს ბიზნესის სახელმწიფო საკითხები და გააუმჯობესოს პროფესიული კომპეტენცია საზღვარგარეთ. ა.გ. სმიტი<sup>1</sup> (ა.გ. სმიტი, 1981, 252-262) თვლის პიროვნებათაშორის შეთავსებას, სამსახურებრივ გამოცდილებას და კოსმოპოლიტანიზმს ინტერკულტურული კომუნიკაციის, როგორც დისციპლინის შესწავლის მთავარ მიზეზებად. იგი მომხრეა ინტერკულტურული კომუნიკაციის კურსების მეთოდოლოგიის უფრო საფუძვლიანი შესწავლის, განიხილავს რა ამ სფეროს როგორც პოლიტიკურ მეცნიერებას და არა, როგორც ფსიქოდინამიკის საგანს. ინტერკულტურულ კომუნიკაციას შეუძლია უფრო დიდი პრობლემების გადაჭრა. პოლ როჰლიხი<sup>2</sup> (პ.ს. როჰლიხი, 1987. 123-128) ქვეყნები არასდროს ელაპარაკებიან ერთმანეთს; ზოგ ეტაპზე კომუნიკაციის პროცესში ქვეყნებს შორის ურთიერთობები გადადის პიროვნებებს შორის ურთიერთობის ფაზაში.

რატომ არის ინტერკულტურული კომუნიკაცია მნიშვნელოვანი? ის გვეხმარება შევიცნოთ სამყარო ჩვენს გარშემო და ამავე დროს ჩვენი თავიც შევიცნოთ. ანთროპოლოგ ედუარდ თ. ჰოლის აზრით კულტურა აისბერგია, რომლის წვერი (გარეგანი კულტურა) მის ძალიან პატარა ნაწილს შეადგენს. კულტურის უდიდესი ნაწილი კი არის ჩვენს თავში და ქვეცნობიერი - წყლის ზედაპირის ქვეშ, ანუ ცნობიერების მიღმა. ეს არის შინაგანი კულტურა. ჰოლი აგრეთვე მიიჩნევს, რომ შინაგანი კულტურა, ანუ „გონება“ დომინირებს გარეგან კულტურაზე. თუ ჩვენ გვინდა გავიგოთ, თუ რა არის ჩვენი ქცევის მამოტივირებელი, ჩვენ უნდა შევისწავლოთ შინაგანი კულტურა.<sup>3</sup>


საერთოდ, პარადოქსალურია ის, რომ კულტურას უკეთესად ვეცნობით მაშინ, როდესაც მას ვტოვებთ და ვიწყებთ ურთიერთობას სხვა კულტურის მატარებლებთან. ასე, რომ თუ გვინდა ჩვენი კულტურის გათვინობიერება, უნდა წავიდეთ მისგან შორს.

კულტურის ეს ვერტიკალური მოდელი გვამცხვავს საშუალებას შევისწავლოთ სხვა კულტურის ასპექტები. ჩვენ შეგვიძლია უფრო მეტ დონეებად დავყოთ კულტურის აისბერგი და გავიგოთ, თუ რა ხდება, როდესაც სხვადასხვა კულტურების წარმომადგენლები ურთიერთობენ. როდესაც აისბერგები დაცურავენ ოკეანეში, ჩვენ ჯერ შევნიშნავთ ცალ-ცალკე მათ წვერებს წყლის ზედაპირზე, ხოლო წყლის ქვეშ ხდება მათი შეჯახება. როდესაც სხვადასხვა კულტურის მატარებელი ხალხი ხვდება ერთმანეთს, ისინი შებოჭილობას გრძნობენ, რათა არ დაუშვან შეცდომა კულტურის გარეგან დონეზე - არ თქვან სიტყვა შეცდომით, ან ჩაიცვან შეუფერებელი ტანსაცმელი. მაგრამ საქმე ისაა, რომ ნამდვილი კონფლიქტი ხდება შინაგანი კულტურის დონეზე, როდესაც ფასეულობები, აზროვნება, რწმენა, აღქმა და მიდგომები ეჯახება ერთმანეთს.

<sup>1</sup> A.G. Smith, "Content Decisions in Intercultural Communications". Southern Speech Communication Journal 47 (1981): 252-262.

<sup>2</sup> P.E. Rohrllich, "Why do We Study Intercultural Communication" International Journal of Intercultural Relations 2(1987): 123-128, Oxford, England

<sup>3</sup> Edward T. Hall, "Beyond Culture", Garden City, New York, 1976.



ყველა კულტურას აქვს გარეგნულად გამოხატული (explicit) და ცნობიერი ბიჰევიორული ასპექტები ისეთი, როგორცაა ენა ან ვერბალური კომუნიკაცია, ჩვევები, ტრადიციული ჩაცმულობა, სამზარეულო. კულტურის ამ ნაწილს უწოდებენ გარეგანს, რაც შეიძლება ათვისებულ იქნას დაკვირვებით, განათლებით და ტრეინინგით. ეს ასპექტები ადვილად ასათვისებელია, მაგრამ ნაკლებად მნიშვნელოვანი.

იმდენად, რამდენადაც ჩვენი ქვეცნობიერი განსაზღვრავს ძირითადად ჩვენ ქცევას, აზროვნებას, ფიქრებს, გრძნობებს, შინაგანი კულტურა განსაზღვრავს და მოტივაციას უწევს ჩვენს გარეგან კულტურულ ქცევას. იმისათვის, რომ ავხსნათ ერთი და იგივე კულტურის მატარებელი ხალხის ქცევა, ჩვენ უნდა შევისწავლოთ მათი შინაგანი კულტურა. ეს მოგვეხმარება ბიზნესის წარმოებაში, სამთავრობო, საგანმანათლებლო და ენობრივი ჩვევების, თუ გამოცდილების დაუფლებაში, ყველა სფეროში, რაც დამყარებულია ადამიანთა ურთიერთობაზე.

დღევანდელ დღეს, დიდად მნიშვნელოვანია ორმხრივი ურთიერთობები ქვეყნებთან. ასეთი ქვეყნების რიცხვში საქართველოც არის მოხვედრილი. ქართულ-თურქული ურთიერთობები მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო თვალსაზრისით, განსაკუთრებით ჩვენთვის, აკადემიური საზოგადოებისათვის. ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე თურქეთმა ყველა ზემოჩამოთვლილ სფეროში უდიდესი დახმარება გაუწია საქართველოს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თანამშრომლები ამის მომსწრენი ვართ 1995 წლიდან, მას შემდეგ რაც დაარსდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (შზსუ) საქართველოში. ამ უნივერსიტეტის მისიაა განავითაროს საგანმანათლებლო, კულტურული, ეკონომიკური, და სოციალური ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის. უნივერსიტეტი ამყარებს დიალოგს და მშვიდობიან გარემოს ამ ორ ქვეყანას შორის. ვმუშაობ რა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში დაარსების დღიდან, მოწმე ვარ მისი სწრაფი აღმავლობისა და განვითარების ორ-სართულიანი ძველი შენობიდან ორ შესანიშნავ შენობად, რომელსაც აქვს უაღრესად თანამედროვე ინფრასტრუქტურა და ყველა აუცილებელი აღჭურვილობა. თუ რამდენად მიმიზიდა ამ უნივერსიტეტის განათლების სისტემად შეიძლება მოვიყვანო პირადი მაგალითი: თავდაპირველად ვასწავლიდი ინგლისური ენის სხვადასხვა ასპექტებს ამ უნივერსიტეტში, შემდეგ მოსამზადებელი და ტესტების განყოფილებების უფროსად. იმ დროს არ არსებობდა შზსუ-ში ჰუმანიტარული ფაკულტეტი. იმ პერიოდში ვიყავი ორი სახელმწიფო უნივერსიტეტის: ილიას და ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ინსტიტუტის პროფესორი; ოთხი წლის შემდეგ დავტოვე ეს თანამდებობები და მთელი დატვირთვით გადავედი სამუშაოდ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში.

მე მომწონს ამ უნივერსიტეტის სისტემა, სტრუქტურა და მეგობრული ატმოსფერო, რაც სუფევს ქართველ დ თურქ კოლეგებსა, თუ სტუდენტებს შორის.

დიდას საქართველოში დაფუძნებული „ჩალლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფონდის“ და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წვლილი ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტის გახსნაში.

საქართველოში პირველად შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, რომელიც ემყარება გლობალიზაციის და ინტერნაციონალიზაციის პრინციპებს. ამ დეპარტამენტის დაარსებას თავისი

ისტორია აქვს. 2001 წელს ოთხ ქართველ პროფესორთან ერთად (ეს ჯგუფი შერჩეულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ) მიწვეულ ვიყავი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებში პროგრამით „ამერიკისმცოდნეობის კურიკულუმის დიზაინის პროგრამა“. ეს პროექტი მოიცავდა ჩვენს მოგზაურობას ვაშინგტონში, ენ არბორში (მიჩიგანის შტატი), ალბუკერკეში (ნიუ მექსიკოს შტატი), მემფისში (ტენესის შტატი), ფილადელფიაში (პენსილვანიის შტატი) და ნიუ-იორკში რათა გავცნობოდით ამ შტატების უნივერსიტეტების ამერიკისმცოდნეობის პროგრამებს მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული თვალთახედვით. მიზეზი, თუ როგორ მოვხვდი ამ ჯგუფში, იყო ის, რომ იმ პერიოდში ჩემი ინიციატივით ჰუმანიტარულ ინსტიტუტში ვკითხულობდი კურსს „ამერიკის კულტურა და საზოგადოება“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მოვამზადე ამერიკისმცოდნეობის პროგრამა და დავაფუძნე უნივერსიტეტის მესვეურების დიდი მხარდაჭერით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ვინაიდან მომწონდა განათლების სისტემა ამ უნივერსიტეტში და ყველა ის პირობა, რაც აუცილებელია სრულყოფილი ფაკულტეტის დასაფუძნებლად. ჩემი მოსაზრება დაემთხვა ამერიკის საელჩოს მაშინდელი კულტურის და განათლების ატაშეს შერონ ჰადსონ დინის მოსაზრებას, რომელმაც ჩათვალა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ყველაზე კარგად უპასუხებდა უმაღლესი განათლების თანამედროვე მაღალ სტანდარტებს.

ამგვარად დაფუძნდა საქართველოში პირველად ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტი და დავინიშნე დეკანად და პროგრამის კოორდინატორად. საინტერესო ფაქტია ის, რომ ამ დეპარტამენტის პირველი ჯგუფის სტუდენტი გახდა მუჟეინ აქდადი, ოთხი შვილიშვილის ბებია, უნივერსიტეტის რექტორის მეუღლე. ეს იყო შესანიშნავი მაგალითი ამერიკული სისტემის „ზრდასრული განათლებისა“.

მინდა გამოვთქვა დიდი მადლიერება „ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ფონდის“ და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიმართ დიდი მხარდაჭრისათვის იმ დეპარტამენტის გახსნის საქმეში, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ჩვენ გვჯერა, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მეშვეობით დამყარებული ურთიერთობა თურქეთსა და საქართველოს შორის ხელს უწყობს ურთიერთგაგებას, რაც აუცილებელი პირობაა ხალხებს შორის წარმატებული ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის.

## ქართულ-თურქულ ანდაზათა შედარებითი ანალიზის სხვადასხვაგვარი ასპექტები

*ჰარუნ ჩიმქე*

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი

ანდაზები უკვდავყოფილი აზრები – ფორმულებია, რომლებშიც მოცემულია ცხოვრებისეული გამოცდილებით მიღებული სიბრძნე. შეიძლება ითქვას, რომ ეს სიბრძნე ისეა გადმოცემული ენაში სიტყვებით, როგორც აზრი ფიზიკასა და მათემატიკაში ფორმულებით. ანდაზა დიდი დაკვირვებისა და გონებაგახსნილობის საუკეთესო ნიმუშია. იგი არის ბრძნული გამოთქმა, რომელიც მოკლე სიტყვიერი ფორმით ახდენს მოქმედების, მდგომარეობის ან ურთიერთობის მხატვრულ განზოგადებას (მ. ჩიქოვანი, 1956: 294).

ანდაზა სხვისი ნათქვამის, საყოველთაოდ განმტკიცებული აზრის გამეორებაა. ანდაზა ერთბაშად იპყრობს ყურადღებას მოხდენილი მხატვრული ფორმით, რაც აზრს უფრო მკაფიოსა და ადვილად დასამახსოვრებელს ხდის. ანდაზის მთქმელი თავისი აზრის დასადასტურებლად ყველაზე დიდ ავტორიტეტს — ხალხს იშველიებს. სწორედ ესაა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ანდაზის ფართო გავრცელებისა (ზ. ჭუმბურიძე, 1965: 4).

ანდაზას თავისებურად განმარტავენ თურქი მეცნიერები (Ömer Asım Aksoy, 1993: 56-101; H. Fethi Gözler, M. Ziya Gözler, 1982: 7). მათი აზრით, ანდაზა არის ჩვენი პაპების მიერ საუკუნეების მანძილზე მიღებული გამოცდილების შედეგად დაგროვილი ცოდნა. ანდაზაში სურვილი გადატანით, მოკლედ და გადაჭრით გამოითქმება. ანდაზები ზეპირსიტყვიერების გზით გადაეცემა თაობიდან თაობას (H. Fethi Gözler, M. Ziya Gözler, 1982: 16).

ძალიან ძნელია იმის გარკვევა, თუ სად წარმოიშვა ანდაზები თავდაპირველად და რა გზით გავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა ენაში, როგორც აზრობრივად ერთმანეთთან ახლოს მდგომი ან თუნდაც ერთმანეთის იდენტური მხატვრული გამონათქვამები... მაგრამ საინტერესო და მნიშვნელოვანია ის, რომ კაცობრიობის ხანგრძლივი გამოცდილების, სიბრძნისა და ასოცირების ძალის შედეგად მიღებული ანდაზები მსოფლიოს აბსოლუტურად ყველა ენას აქვს (Doğan Aksan, 2009: 38-39).

ანდაზა ყოველ ერს საკუთარი აქვს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ისინი იმდენად ჰგვანან ერთმანეთს, რომ ხშირ შემთხვევაში საერთო საკუთრებადაც ქცეულან ბევრი ერისათვის. ქართული ანდაზების სხვა ერის ანდაზებთან შედარებისას მრავალი საინტერესო ასპექტი ჩნდება. მაგალითად, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ქართული, ინგლისური, თურქული და რუსული ენები არამონათესავე ენებია, მაგრამ „ოთხივე ენაში შეიძლება არსებობდეს უნივერსალური ანდაზები, რომლებიც სრულიად იდენტურია როგორც სემანტიკური, ასევე პრაგმატიკული თვალსაზრისით. ასეთ შედეგს გვიჩვენებს, ვთქვათ, ქართული ანდაზის „მეგობარი გაჭირვებაში იცნობაო“ შედარება სხვა ენათა მონაცემებთან. მოცემული ანდაზის ექსპლიციტური და იმპლიციტური მნიშვნელობები ზუსტად ემთხვევა ინგლისურ „A friend in need is a friend indeed“, თურქულ „Dost kara günde belli olur“ და რუსულ «друг познаётся в беде» ვარიანტებს. აშკარაა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ოთხი სხვადასხვა ერის ცნობიერება უნივერსალურია და მათი დამოკიდებულება ცნების – მეგობრობა – მიმართ სრულიად იდენტურია“ (ლ. ჭყონია, ც. ჭყონია, 2010: 96-97).

ანალოგიურ ვითარებას წარმოაჩენს ქართულ-თურქულ ანდაზათა სხვადასხვა ასპექტით შეპირისპირება. ვგულისხმობთ სტრუქტურულ-სემანტიკურსა და გრამატიკულ ასპექტებს. თურქულ ანდაზებს პარალელი მრავლად მოეპოვება სხვა ენებში, მათ შორის, ქართულშიც. გამოიყოფა სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად იდენტური (ბუნებრივია, სრულიად განსხვავებულიც) ან სემანტიკურად მსგავსი და სტრუქტურულად განსხვავებული ანდაზები.

#### ა. იდენტური:

- ქართული: „კაცი კაცის სარკეაო“.  
თურქული: “İnsan insanın aynasıdır”.
- ქართული: „ვირზე შეჯდომა ერთი სირცხვილი და ჩამოვარდნა მეორეო“.  
თურქული: “Eşeğe binmek bir ayıp , düşmek (inmek) iki”.
- ქართული: „სიტყვა ვერცხლია, დუმილი ოქროა“.  
თურქული: “Söz gümüşse, sükut altındır”.
- ქართული: „ვინც ბოლოს გაიცინებს, კარგად ის გაიცინებს“.  
თურქული: “Son gülen – iyi güler”.
- ქართული: „ხმლით დაჭრილი განიკურნება, ენით დაჭრილი კი – არა“.  
თურქული: “Kılıç yarası sağ olur, dil yarası sağ olmaz”.

ზემოთ ჩამოთვლილ ანდაზებში, როგორც ქართულში ისე თურქულში, გატარებულია ერთი აზრი და ეს სხვადასხვა ენაზე ზუსტად ერთნაირი ყალიბით არის გადმოცემული.

ანდაზებში სხარტად არის გამოთქმული ბრძნული აზრი, განზოგადებულია ხალხის ხანგრძლივი დაკვირვების შედეგი, ჩამოყალიბებული შეხედულება ამა თუ იმ მოვლენაზე, ცხოვრების ავ-კარგზე. ამ მზა ფორმულის სახით არსებულ აზრს საჭირო შემთხვევაში იყენებს ენამჭევრი მოუბარი. თავის დროზე და მოსწრებულად ნათქვამი ანდაზა ის იარაღია, რომელიც მახვილზე უკეთ ჭრის. ამიტომ მას ხშირად მიმართავენ ორატორები, მწერლები, ჟურნალისტები, დიპლომატები (ზ. ჭუმბურიძე, 1965: 3).

#### ბ. სემანტიკა მსგავსი, სტრუქტურა განსხვავებული:

- ქართული: „მულო, შენ გეუბნები, რძალო შენ გაიგონეო“.  
თურქული: “Kızım sana söylüyorum, gelinim sen işit” (ქალიშვილო, შენ გეუბნები, რძალო, შენ გაიგონე);
- ქართული: „ქაჩალმა რომ წამალი იცოდეს, თავის თავს უწამლებდაო“.  
თურქული: “Kelin ilacı olsaydı başına sürerdi” (ქაჩალს წამალი რომ ჰქონდეს, თავის თავს წაუსვამდა);
- ქართული: „ხარს რქებით დააბამენ, დედაკაცს ენითაო“.  
თურქული: “İnsanı sözünden, öküzü boynuzundan tutarlar” (კაცს ენით, ხარს რქებით დააბამენ);
- ქართული: „დღევანდელი კვერცხი მირჩვენია ხვალინდელ ქათამსაო“.  
თურქული: “Bugünkü tavuk yarınki kazdan iyidir” (დღევანდელი ქათამი სჯობია, ხვალინდელ ბატს);
- ქართული: „ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო“.  
თურქული: “Gülme komşuna, gelir başına” (ნუ დასცინი მეზობელს, გადაგხდება თავსაო);

- ქართული: „*ძალი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირე*“.  
თურქული: “*İti an, çomağı hazırla*” (ძალი ახსენე, ჯოხი მოუმზადე);
- ქართული: „*ვირი ვირად დარჩება, ვარსკვლავებით რომ შემოსო*“.  
თურქული: “*Eşeğe altın semer de taksan eşek yine eşektir*” (ვირს ოქროს უნაგირი რომ გაუკეთო, ვირი ისევ ვირია);
- ქართული: „*ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო*“.  
თურქული: “*Eşek ne anlar hoşaftan*” (ვირი რას გაიგებს კომპოტის გემოს);
- ქართული: „*უთავო თავმა ფეხებს ძალა დაატანაო*“.  
თურქული: “*Akulsız başın cezasını ayakları çeker*” (უთავო თავის ჯარიმას ფეხები მოიხდისო);
- ქართული: „*ზოგჯერ ჭირიც მარგებელია*“.  
თურქული: “*Her işte bir hayır vardır*” (ყოველ საქმეში ხეირია);
- ქართული: „*მელა ქათმის კარზე მოკვდებაო*“.  
თურქული: “*Su testisi su yolunda kırılır*” (წყლის დოქი წყლის გზაზე გატყდება);
- ქართული: „*ჭამის დროს ძალსაც არ გალახავენო*“.  
თურქული: “*Su içene yılan bile dokunmaz*” (ვინც წყალს სვამს, იმას გველიც არ შეეხება);
- ქართული: „*მართლის მთქმელს სცემე*“.  
თურქული: “*Doğru söyleyeni dokuz köyden kovarlar*” (მართლის მთქმელს ცხრა სოფლიდან გააგდებენ);
- ქართული: „*ორმა იცის, ღორმა იცის*“.  
თურქული: “*Sırrını söyleme dostuna, o da söyler dostuna*” (საიდუმლო არ გაუმხილო მეგობარს, ისიც ეტყვის თავის მეგობარს);
- ქართული: „*კარგი ქენი, ქვაზე დადევო, გაიარე, წინ დაგხვდებაო*“.  
თურქული: “*İyilik yap denize at, kul bilmezse hak bilir*” (კარგი ქენი, ზღვაში ჩააგდე, კაცი თუ ვერ გაიგებს, ღმერთი გაიგებს).

ეს ანდაზა თურქულში ღმერთთანაა დაკავშირებული, ე.ი. რელიგიური საფუძველი აქვს. მსგავსი ანდაზები ყველა ენაში არის. ასეთია ქართულში ბიბლიურ თემაზე შექმნილი ანდაზები, რომლებიც ქრისტიანული ხანიდან მომდინარეობენ: „*ავი კაცი აღდგომასაც ავია*“, „*დიდ მარხვას უთქვამს: ისე მალე გავიბრუნო, რომ ქვრივმა პერანგი ვერ გამოიცვალოსო*“ (ქს. სიხარულიძე, 1960: 322).

მართალია, ჩვენ მიერ განხილულ ბევრ ქართულ ანდაზას თურქულში მოეპოვება ზუსტი ან შედარებით ახლოს მდგომი შესატყვისი, მაგრამ სტატისტიკური ანალიზი მოწმობს, რომ რაოდენობრივად უფრო მეტია განსხვავებული სტრუქტურის მქონე ერთი და იმავე სემანტიკის გამომხატველი ანდაზა.

ზოგჯერ ერთი ანდაზის რამდენიმე ვარიანტიც დასტურდება. მაგალითები:

- ქართული: 1. „*კაცს კაცობა უნდა, თორემ უღვაში კატასაც კი აქვს*“ // 2. „*კაცი კაცი უნდა იყოს, თორემ ქუდი სოკოსაც კი ხურავს*“.  
თურქული: “*Her gördüğün sakallıya dede deme*” (ყველა წვეროსან კაცს „ბაბუას“ ნუ დაუმახებ);
- ქართული: 1. „*მითხარი ვინაა შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენ*“ // 2. „*თუ კაცის ცნობა გინდა, ჯერ იმის მეგობრებში იკითხო*“.  
თურქული: “*Arkadasını söyle sana kim olduğun söyleyeyim*” (მითხარი შენი ამხანაგი, გეტყვი, შენ ვინა ხარ).

თუ გრამატიკულ ასპექტს შემოვიტანთ ქართულ-თურქულ ანდაზათა შედარებით ანალიზში, განსხვავებულ ვითარებას შექმნის დროის კატეგორია. მართალია, ქართულ ანდაზებში გრამატიკულად დრო გამოხატულია, მაგრამ ეს დრო მარადიულია, ადრინდელ ცხოვრებაშიც იყო ძალაში, დღესაც არის და მომავალშიც იქნება.

თურქულში არის ქართულისაგან განსხვავებით მეოთხე გრამატიკული დროც, რომელსაც ჰქვია აწმყო-მყოფადი ანუ აწმყო განუსაზღვრელი დრო. თურქულ ანდაზებში უმეტესად გამოყენებულია სწორედ ეს დრო. მაგალითად:

- ქართული: „*სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი*“.  
თურქული: “*Kismetinizde varsa karşınıza çıkar*” (თუ ბედი გვაქვს, იგი წინ დაგხვდება).

თურქულ ზმნაში *çıkır*-ar სუფიქსი აწმყო-მყოფადი დროის ნიშანია. ქართულში აღნიშნული დრო უფრო აწმყოსა და მყოფადის მწკრივთა ფორმებით გადმოიცემა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომლის ავტორსაც შესწავლილი აქვს თურქულ ანდაზებში დროის გამოხატვის საკითხი. მას მიაჩნია, რომ ანდაზებში ყველაზე მეტად აწმყო-მყოფადის დრო არის გამოყენებული. ამას ისიც ადასტურებს, რომ მის მიერ შესწავლილი თურქული ანდაზებიდან 1481

ანდაზას აქვს აწმყო-მყოფადის გაგება, ხოლო აქედან 1069 ანდაზაში აწმყო-მყოფადის დროში არის მოცემული. აწმყო-მყოფადი დროის შემდეგ დანარჩენი გრამატიკული დროებიდან ყველაზე მეტად გამოყენებულია წარსული დრო. წარსული დროის 143 შემთხვევაა დაფიქსირებული. რაც შეეხება ახლანდელსა და მომავალ დროს, ასეთი თითო ანდაზაა. როგორც ავტორი მიუთითებს, „ანდაზის ბუნებიდან გამომდინარე ახლანდელისა და მომავალი დროის გამოყენება იშვიათი უნდა იყოს“ (Osman Çakmak, 2006: 237-238).

მართალია, ქართულ ენაში განუსაზღვრელი დრო ცალკე არ არის გამოყოფილი, როგორც გრამატიკული კატეგორია, მაგრამ კონტექსტის მიხედვით იგულისხმება. ამასთან დაკავშირებით ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ახლანდელი და მომავალი დროის ფორმები საერთოდ კარგადაა ერთმანეთისაგან გარჩეული, მაგრამ ზმნის ზოგიერთი ფორმა დროის გაგებას მხოლოდ კონტექსტის მიხედვით გვაძლევს; მაგალითად, ზმნები: ვჭამ, ერთვის, ამოდის, ჩადის, ტრიალებს და მისთანანი ხან ახლანდელია, ხან მომავალი და ხან გაურკვეველ დროს გამოხატავს“ (ა. შანიძე, 1973: 203-204; ო. გაჩეჩილაძე, 1992: 179).

მაშასადამე, თურქულში ანდაზა ძირითადად გადმოცემულია აწმყო-მყოფადი დროით, ქართულში კი, მართალია, სხვადასხვა დროით, სხვადასხვა მწკრივის ფორმით, მაგრამ შინაარსობრივად მაინც აწმყო-მყოფადის გაგებაა ჩადებული. მაგალითები:

**აწმყო:** „*ძალი ჰყევს, ქარავანი მიდის*“;

**უწყვეტელი:** „*ვინც მიდიოდა, ფქვავდა, ვინც არა და – ჯერს კითხულობდა*“;

**აწმყოს კავშირებითი:** „*მეზობელს მუცელი რომ სტკიოდეს, შენ მუცელზე ხელს უნდა ისვამდეო*“;

**მყოფადი:** „*სანთელი თავის ქვეშ არ გაინათებსო*“;

**ხოლმეობითი:** „*კურდღელს სანამ დაიჭერდნენ, შიშმა უფრო დალიაო*“;

**წყვეტილი:** „*ობოლო, ვის აგინებ და ვინც გამზარდაო*“;

**II კავშირებითი:** „*ისეთი ტყუილი უნდა თქვა, ფეხები ჰქონდეს – დადგომაც შეეძლოს და გაქცევაც*“;

**I თურმეობითი:** „*ძილის წინ სიზმარი ვის გაუგონია*“;

**II თურმეობითი:** „*ნაცარქექია ცხენიდან ჩამოვარდა და მაინც უნდა ჩამოვსულიყავიო*“.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალზედ იშვიათია: მყოფადის კავშირებითი და III კავშირებითი. ამ მწკრივთა ფორმები ჩვენს საანალიზო მასალაში არ დადასტურდა.

ქართველებისათვის, უფრო ზუსტად იმისთვის, ვისაც საკუთარ ენაში არ გააჩნია თურქული ე.წ. „მეოთხე“ დრო, ანუ აწმყო-მყოფადი, ანუ განუსაზღვრელი დრო, ძნელია მისი აღქმა. გაგებით კი იგებენ, მაგრამ გამოყენებით ვერ იყენებენ. ეს ბუნებრივია, ქმნის წინააღმდეგობას ქართულ-თურქულ ენობრივ კონტაქტებში.

ანდაზა დახვეწილი მეტყველების მთავარი ძარღვია. ანდაზების სიუხვე ხალხის კულტურის, მაღალი განვითარების მაჩვენებელია. ანდაზა არის უზარმაზარი განძი, რომელშიც ყველა იპოვის თავის ინტერესებს.

### **ლიტერატურა:**

1. გაჩეჩილაძე ო., ქართული ენა: თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1992.
2. სიხარულიძე ქს., ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ნაწილი I: თბ., „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1960.
3. ქართული ანდაზები, ლია ანდრინიკაშვილის რედაქციით: თბილისი, 2008.
4. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1973.
5. ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია: თბ., „სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა“, 1956.
6. ჭუმბურიძე ზ., ქართული ანდაზები, თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1965.
7. ჭყონია ლ., ჭყონია ც., უნივერსალური ანდაზების მნიშვნელობა კულტურათა შორის კომუნიკაციებში: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, მასალები, ქუთაისი, 2010.
8. Açıklamalı Türk Atasözleri Sözlüğü / H. Fethi Gözler; M. Ziya Gözler ”İnkilap ve Aka Kitapevleri”, İstanbul, 1982.
9. Aksan Doğan, Her Yönüyle Dil: “Türk Dili Kurumu Yayınları”, Ankara 2009.
10. Osman Çakmak, Türk Atasözlerinde Kelime Grupları Kip ve Şahıs İfadesinin İncelenmesi: Sakarya, 2006.
11. Ömer Asım Aksoy, Atasözleri ve Deyimler Sözlüğü I: “İnkilâp Kitabevi“, 7. baskı, İstanbul, 1993.



## „თურქეთი“, „თურქნი“ „მეფეთა ცხოვრებაში“

მამუკა ჯოღობორდი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სრული პროფესორი

"ქართლის ცხოვრება" შუა საუკუნეების ქართული საისტორიო აზროვნების მაღალი დონის დამადასტურებელი თხზულებაა. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია როგორც ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის, ისე მისი მეზობელი ქვეყნებისა და ხალხების წარსულის ცალკეული ფაქტების შესასწავლად (12:3-5).

ვფიქრობთ, გასაზიარებელია ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ "ცხოვრება ქართველთა მეფეთა" მრავალი ცნობა ადრე მხოლოდ ლეგენდარულად რომ იყო მიჩნეული, დადასტურდა არქეოლოგიური კვლევა-ძიებითა და ეპიგრაფიკულ ძეგლთა აღმოჩენებით, რამაც ძირფესვიანად შეცვალა ადრე გამოთქმული სკეპტიკური დამოკიდებულება საშუალო საუკუნეების იმ ქართული საისტორიო წყაროების მიმართ, რომელშიც წარმოდგენილია წინაქრისტიანული ხანის საქართველოს (ქართლის სამეფოს) ისტორია (4:25). ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილის მიერ დამკვიდრებული "ქართლის ცხოვრების" უძველესი და ძველი ისტორიის ცნობებისადმი ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება "უკრიტიკო დამოკიდებულებამ არ შეცვალოს" (3:84;1:549).

ამჯერად შევჩერდებით "მეფეთა ცხოვრებაში" რამდენჯერმე ნახსენებ ეთნიკურ ტერმინებზე "თურქნი", "თურქეთი" და მათ სავარაუდო მნიშვნელობაზე. სავარაუდო ვამბობთ იმიტომ, რომ ეს ეთნიკური ტერმინები ლეონტი მროველის თხზულებაში სპარსელთა და თარგამოსიანთა ურთიერთობების ისეთ ქრონოლოგიურ კონტექსტშია მოხსენებული (ნაბუქოდონოსორის მიერ ებრაელთა დეპორტაციამდე), როცა არ არსებობდა არც ეთნიკური ერთობა "თურქნი" და მითუმეტეს არც სახელმწიფო "თურქეთი". ლეონტი მროველი წერს: "და შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა გამოგზავნა ქეკაპოს, სპარსთა მეფემან, ძე მისი, რომელსა ერქუა ფარბოროტ, სპითა დიდითა სომეხთა და ყოველთა თარგამოსიანთა ზედა. ხოლო შეკრბნეს ყოველნი თარგამოსიანნი, მიეგებნეს და ეწყვნეს ადარბადაგანს, სძლიეს და იოტეს ფარბოროტ, და მოსრეს სპაჲ მისი. შემდგომად ამისა მცირედთა წელთა კუალად გამოგზავნა ამანვე ქეკაპოს ძმისწული (დისწული?) მისი, ძე შიომ ბედნიერისაჲ, რომელი მოიკლა თურქეთს (ე.ი. თურქების ქვეყანაში, მ. ჯ.), ვითარცა წერილ არს წიგნსა სპარსთა ცხოვრებისასა" (6:34). შემდგომში, იმავე ლეონტი მროველის თანახმად, შიომ ბედნიერის მემკვიდრემ - ქაიხოსრომ ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ძალები დაამარცხა, აიღო მათი ციხეები, მოარბია ქართლი და სომხეთი და "აღაშენა ადარბადაგანს სახლი სალოცველი სჯულისა მათისაჲ და წარვიდა და შემდგომად ამისა რამდენთამე წელიწადთა უცალო იქმნა ქაიხოსრო მეფე, და იწყო ბრძოლა თურქთა და ეძიებდა სისხლსა მამისა მათისასა. და პოეს ჟამი სომეხთა და ქართველთა, განუდგეს სპარსთა და მოსრნეს ერისთავნი სპარსთანი და განთავისუფლდეს (6:35).

ქართველი მემატიანის ცნობით, სწორედ ამ დროს მოვიდნენ ქაიხოსროს მიერ დამარცხებული და დევნილი თურქების 28 სახლი გურგანის (კასპიის) ზღვის ამოვლით მცხეთაში და მცხეთის მამასახლისს შესთავაზეს კავშირი სპარსთა წინააღმდეგ. შეთანხმება შედგა - თურქთა ნაწილი მამასახლისმა მცხეთის ერთ-ერთ უბანში-სარკინეში დაასახლა. როგორც ჩანს, სამშორეობა რეალური იყო, ამიტომ ქართველებმა თურქებთან ერთად მოსალოდნელი აგრესიის მოსაგერიებლად მზადება და ციხესიმაგრეების მშენებლობა დაიწყეს. სწორი გადაწყვეტილება მიიღო მამასახლისმაც: ქართულ-სომხურმა კოალიციამ სწორედ თურქების დახმარებით მოიპოვა საბოლოო გამარჯვება სპარსელებზე: "შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა აღმოვიდა ძე სპარსთა მეფისა ვაშტაშაბისა, სახელით სპანდიატ რვალი, რომელმაც ადარბადაგანში მოსვლისას გაიგო ამბავი, რომ მისი მამა თურქებმა მოკლეს და შეესივნენ სპარსეთს და უკან გაბრუნდა. ამით ისარგებლეს სომეხებმა და ქართველებმა და თავი გაინთავისუფლეს (6:36).

"მეფეთა ცხოვრების" ჩვენს მიერ მოტანილი ცნობები, ვფიქრობთ საინტერესოა რამდენიმე ასპექტით: 1) გაირკვეს ქართველი მემატიანის ცნობების რეალურობა და მისი სავარაუდო წყაროები და 2) მემატიანის ფაქტობრივი ცოდნისა და თვალსაწიერის გათვალისწინებით მოხდეს მისი მოღვაწეობის პერიოდის დაზუსტება.

გ. მელიქიშვილი ვარაუდობდა, რომ "მეფეთა ცხოვრების" ავტორმა გამოიყენა "მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს არა შატბერდულ და ჭელიშურ კრებულებში დაცული "ქრონიკა", არამედ მისი სრულყოფილი ვარიანტი, რომელიც შექმნილი იყო უფრო ძველი ე.წ. "სამშენებლო მატიანის"

საფუძველზე (16:26-28). არსებობს მოსაზრება, რომ "ქართლის ცხოვრების" ავტორი საქართველოს უძველესი ისტორიის გადმოცემისას ეფუძნებოდა VII საუკუნის ქართულ მატთან, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია (10:47-65).

ჯერ კიდევ XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის ქართველი მკვლევარები (დ. ბაქრაძე, ალ. ხახანაშვილი, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილი და სხვ.) თვლიდნენ, რომ "ქართლის ცხოვრების" უძველესი ნაწილი ზღაპრულია და ჩვენს დრომდე მოაღწია ზეპირსიტყვიერების გზით. ამ აზრს იზიარებდა ივ. ჯავახიშვილიც. ბევრი ქართველი და უცხოელი მკვლევარი (ვ. მილერი, მ. ჯანაშვილი, ალ. ხახანაშვილი, ნ. მარი, ე. თაყაიშვილი, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, მ. ანდრონიკაშვილი, გ. მამულია და სხვ.) ჩვენთვის საინტერესო ცნობებთან დაკავშირებით ფიქრობს, რომ ლეონტი მროველის "სპარსთა ცხოვრების წიგნში" სპარსული ზეპირსიტყვიერებისა და საგმირო ეპოსის კვალი ჩანს. მატთანში მოხსენიებული ირანული ეპოსის "შაჰ-ნამეს" ცნობილი პერსონაჟები: ქეკაპოსი, აფრიდონი, შიომ ბედნიერი, ქაიხოსრო, ფარაბოროტი, სპანდიატ რვალი, არდაშირი, ბამანი, და ა. შ. თითქოს სწორედ ამ ფაქტზე უნდა მიუთითებდეს. ვ. მილერი მიიჩნევდა, რომ "შაჰ-ნამე" "ქართლის ცხოვრების" უშუალო წყარო არ არის (17:86). ამის არგუმენტად იგი თვლიდა იმ ფაქტს, რომ "ქართლის ცხოვრების" აფრიდონი, ქეკაპოსი და ა.შ. "შაჰ-ნამეში" ფერიდუნად, ქაიქოსად და სხვ მოიხსენიებიან.

რაც შეეხება მ. ჯანაშვილს, იგი გამორიცხავდა ლეონტის მიერ "შაჰ-ნამეში" სარგებლობის ფაქტს, რადგან ქართველ მემატთანეს სპარსეთის მეფეთა სია სრულად არ აქვს გადმოცემული, არ ახსენებს პოემის ერთ-ერთ მთავარ გმირს როსტომს და სხვ (11:102).

ვ. გაბაშვილი "სპარსთა ცხოვრებაში" ვარაუდობდა კონკრეტულ ადმოსავლურ წყაროს - ტაბარის თხზულებას - "ისტორია მოციქულთა და მეფეთა" (2:33-45), ხოლო გ. მამულიას დასკვნით, ქართველი მემატთანის პირველწყარო "ვალაური ეპოსის" ერთ-ერთი ვერსიაა (5:241-275).

ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია მკვლევართა დაკვირვება: "მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს იმ უცილობელ ფაქტზე, რომ მემატთანე (ლეონტი მროველი, მ.ჯ.) ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ დაწვრილებით აღწერს ცალკეულ მოვლენებს, სხვაგან კი მხოლოდ მეფის მოხსენიებით იფარგლება და არაფერს იუწყება მისი საქმიანობის ან მის დროს მომხდარი საგარეო თუ საშინაო მოვლენების შესახებ. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ძველი ისტორიკოსი ობიექტურად სარგებლობდა მის ხელთ არსებული წყაროების ჩვენებებით, რაც უთუოდ აძლიერებს "ცხოვრება ქართველთა მეფეთა" ცნობების მეცნიერულ ღირებულებას (4:25).

